ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №1 (2019) 03.02.2006 • ფასი 30 თეთრი

ხელის შემბრუნებელნი ვართ!

მე-2-4 გვ.

ვინ და როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში

მე-7-12 გვ.

ეუთო „პერსონა ნონ გრატა“ უნდა გამოცხადდეს

ქათმის გრიპი — არასაქმიო თვალით

(და ცოტა სკეპტიკური თვალით)

(ინტერვიუ სახალხო ფრონტის ლიდერთან ნოდარ ნათაძესთან)

მე-13 გვ.

მე-14-15 გვ.

მოდის ახალი სუპერძალა

ცენზურა — ინგლისში?

მე-16 გვ.

„ოლონდ არ ჩავიჭრა!“ — რეალურ საქმეზე არავინ ფიქრობს

მე-6 გვ.

პუტინის ეშმაკობა ესმით. ირანისაც, მაგრამ ბოლომდე?

ᲞᲐᲖᲐᲠᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲓᲘᲓ ᲦᲐᲚᲐᲢᲖᲔ

1. როგორც ცნობილია არაოფიციალურად, სეპარატისტული ანტიქართული ჯგუფის დღვანდელმა მეთაურმა ბალაფშმა პუტინს საყვედური ჰკადრა, თუ ჩვენი აღიარება არ შეგიძლიათ, რატომ გვაომეთო. ასევე ჯერ არაოფიციალური, ახლა კი უკვე ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთმა ძალიან მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა, საქართველოს ვცნობთ მის დეფაქტოდ არსებულ საზღვრებშიო, რასაც მსოფლიოს დღეს, საბედნიეროდ, მმართველი დიდი ძალების კატეგორიული პროტესტი მოჰყვა იქვე. ასევე, არსებობს (არაოფიციალური) ცნობა, რომ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი უყოყმანოდ ითხოვს საქართველოზე რუსეთის ბატონობის დაუყოვნებლივ აღკვეთას. საქართველოს ხელისუფლების რეაგირება კი შემოიფარგლა პრეზიდენტის ზეპირი გამოსვლით, რომელშიც მან რამდენიმე მკვახე სიტყვით მოიხსენია რუსეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. არც ერთი იურიდიული ან პოლიტიკური ნაბიჯი მომხდართან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ გადადგმულა (სახელდობრ: არც ესენგედან გამოსვლა, არც რუსეთის ბაზების დაუყოვნებლივ გაყვანის გადაწყვეტილება და მისი რუსეთისათვის უწყება, არც რუსების „სამშვიდობო“ მანდატის გაუქმება, არც რუსეთთან „ჩარჩო ხელშეკრულების“ რატიფიკაციის გაუქმება), არ გაკეთებულ;ა განცხადება საერთაშორისო ორგანიზაციებში და არ გაგზავნილა ნოტა რუსეთის სახელზე.

2. რუსეთში მოხდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დივერსიები — გაზსადენის აფეთქება. მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა ამ აგრესიას ფართო რეზონანსი მისცა. ამ ფონზე, ნაცვლად საქართველოში რუსეთის აგრესიული ზეწოლის აღკვეთის ზემოხსენებული ნაბიჯის გადადგმისა, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე თარგამაძე აცხადებს, რომ რუსეთს აქვს შესუსტებული სახელმწიფოებრიობა, რის გამოც მასში სხვა, არასამთავრობო ძალებს მოქმედების ფართო ასპარეზი აქვთ, და ამ ვითარების შედეგია გაზსადენის აფეთქებები. ამით ქართველი პარლამენტარი ათავისუფლებს რუსეთის ხელისუფლებას იმ ლოგიკურად აუცილებელი ბრალდებისაგან, რომ აფეთქება მან (რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ) მოაწყო.

ორივე ხსენებული ფაქტი მე მიმაჩნია სახელმწიფოს პირდაპირ ღალატად ხელისუფლების მხრიდან, რაც ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლება რუსეთის ნების ამსრულებელია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ რუსეთისადმი თავისი პირადი დაქვემდებარებულობის გამო. ეს ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ როგორც სახელმწიფო ღალატი.

მიმაჩნია, რომ საქართველოს ბუნებრივმა სტრატეგიულმა მოკავშირემ, დასავლეთმა უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის უკვე საკმარისად მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დაპირისპირებაში საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს. ერთია ქართველი ერი საქართველოს ყველა იმ მოქალაქის სახით და ყველა იმ მოქალაქესთან ერთად, ვისაც საქართველოს მომავალზე პასუხისმგებლობის ცნობიერება აქვს. მეორეა საქართველოს პოლიტიკურად აქტიური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც აღინიშნება „საქართველოს პატრიოტის“, სხვა ტერმინოლოგიით — „ქართველი ნაციონალისტის“ სახელით.

ნოდარ ნათაძე

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲑᲠᲣᲜᲔᲑᲔᲚᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ!

არვინ ჩანს ხელის შემქცევი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა.
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

„ადამიანის უფლებათა დაცვა“ (უფრო ზუსტად — „ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვა“, რადგან ამ ტერმინში, Human Rights, იგულისხმება ის უფლებებიც, რომლებიც ადამიანს ეკუთვნის, როგორც ადამიანს, და არა მხოლოდ ცოცხალ არსებას) დღევანდელი კაცობრიობის ერთ-ერთი სიამაყეა და მისი ცხოვრების წესის ერთ-ერთი ბურჯია. არის რაღაცა ზღვარი, რომლის იქითაც ადამიანის, ანუ გონიერი და თავისუფალი არსების, ინტერესთა და შესაძლებლობათა ხელყოფა დაუშვებელია. (გარდა ამისა, არის, რა თქმა უნდა, ყველა ცოცხალი არსების რაღაც ისეთი ინტერესებიც, რომელთა ხელყოფას დაუშვებლად ვთვლით. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში არ იკრძალება საქონლის დაკვლა, მაგრამ იკრძალება ცხოველების წვალება). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც გამოაჩინა, რომ მეცნიერული და ტექნიკური წინსვლა, თურმე, ვერ იცავს კაცობრიობას ულმობელობისა და „მხეცობისაგან“ სხვა ადამიანის მიმართ, შემოვიდა სიტყვახმარებაში ტერმინი „დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ“ (რასაც ჩვენს პრაქტიკაში არასწორად თარგმნიან ხოლმე, როგორც „დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ“) და ჩაითვალა (ნახევრად ოფიციალურად, ნახევრად არაოფიციალურად), რომ ყველა ადამიანის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ჯგუფის, მთლიანად კაცობრიობის უფლებაა და მოვალეობაა, ასეთი დანაშაული აღკვეთოს ყველგან, სადაც კი შეამჩნევს. გარდა ამისა, შედგა (დიდი შრომის შედეგად) „ადამიანის ადამიანურ უფლებათა“ (Human Rights) პირველი ნუსხა, რომელიც სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული იმის განსაზღვრისათვის, თუ რომელი სახელმწიფო ანგარიშს უწევს ჰუმანურობის ამ პრინციპებს, ანუ ორ ფეხზე დადის და ადამიანურად ცხოვრობს, რომელი ფეხებზე იკიდებს მათ, ანუ ოთხ ფეხზე დადის და კაციჭამიურად ცხოვრობს, და რომელი, ასე ვთქვათ, საშუალო პოზიციას იკავებს ამ ორ კიდურს შორის. კომუნისტური რეჟიმები, სადაც არსებობს ადამიანთა განუკითხავი ხვრეტა, აზრისა და სიტყვის ცენზურა, წამებით დაკითხვა და ა.შ., (თუმცა ამავე დროს არ არსებობს, ვთქვათ, კანიბალიზმი, ქალის იძულებითი გათხოვება და ზოგი სხვა ბარბაროსული წესი), ამ საშუალო პოზიციაზე მდგომად ჩაითვალა. ე.წ. თავისუფალი მსოფლიოს, ანუ არაკომუნისტური მსოფლიოს წინაშე დადგა ამოცანა, დედამიწის სივრცის თითქმის ერთ მესამედზე ამ ბარბაროსული სიტუაციის მოხსნისა და ამ ერთი მესამედის (კბილებამდე შეიარაღებულისა და მუდამ მობილიზებულის) შეყვანა კაცობრიობის ადამიანური (ანუ ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ბუნებისადმი შესაბამისი) განვითარების სივრცეში. ამ ამოცანის გადაჭრა თავისთავად გულისხმობდა საბჭოთა კავშირის, როგორც ბოროტების იმპერიის, დემონტაჟს, თუმცა პირდაპირი ლოგიკურად დასაბუთებადი კავშირი ამ ორ მოვლენას შორის არ იყო. ერთერთი (თუმცა, ცხადია, არა ერთადერთი) გადამწყვეტი ნაბიჯი სსრკ-ს დემონტაჟისა გადაიდგა ე.წ. „ჰელსინკის პროცესის“ წყალობით: როცა უკვე არსებობდა ემოციურად დატვირთული ტერმინი „ადამიანის უფლებები“ (იგი მიმოქცევაში შეიყვანა აშშ პრეზიდენტმა კარტერმა), ჰელსინკიში 1975 წელს შემდგარ შეხვედრაზე საბჭოთა ხელმძღვანელობა დაითანხმეს, ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც იგი პასუხისმგებლობას კისრულობდა ევროპის სხვა ქვეყნების, აშშ-სა და კანადის წინაშე, რომ დაიცავდა თავის შიგნით ადამიანის ადამიანურ უფლებებს კონკრეტული ჩამონათვალის მიხედვით. ამით საბჭოთა კავშირმა (რა თქმა უნდა, იძულებით) დათმო ის, რაც მისი ბარბაროსული შიდა წყობის ერთ-ერთი ბურჯი იყო — ბრიყვული განცხადების უფლება „ჩემს შიგნით რა ხდება, ჩემი შინაური საქმეა და მასში არავის ჩაჯრევო“, რასაც იგი იყენებდა ყოველთვის, როცა კი მას ამხელდნენ რომელსამე დანაშაულში ადამიანის ადამიანურ უფლებათა მიმართ. ამ ცნობილი ჰელსინკის დოკუმენტის შექმნით დაიწყო ე.წ. „ჰელსინკის პროცესი“, რომლის ნაყოფი და რეალიზატორია დღეს ეუთო — „ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“. მისი ღვაწლი ისტორიის ამ ეტაპზე განუზომელია. მაგრამ შემდგომში ეუთოს ამ როლს ორი ახალი, პირდაპირ ვთქვათ — არც თუ დადებითი მომენტი დაემატა.

პირველი ეხება ეუთოს დოკუმენტებისა და, ზოგადად, თეორიული პოზიციების შინაარსობრივ ევოლუციას. ამ ევოლუციამ უკვე საკმაოდ გრძელი გზა გამოიარა. ეუთოს ხელთ არსებულ პირველ ჩამონათვალს ადამიანის ადამიანური უფლებებისას თავისი წინაპრები და წინამორბედებიც ჰყავს, მათ შორის — ამერიკის შეერთებული შტატების დეკლარაცია და საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ მიღებული დეკლარაცია. ეუთოს ჩამონათვალი დამუშავების, სახელდობრ, შევსების, მაშასადამე — გაფართოების (ანუ ადამიანის ახალ-ახალ ადამიანურ უფლებათა გაცნობიერების) და სისტემატიზაციის (ანუ კონკრეტულ უფლებათა ურთიერთმორგების და, შეძლებისდაგვარად, ზოგად პრინციპთა გამოკვეთის) პროცესში იმყოფება. როგორც ამ განვრცობის, ისე ამ სისტემატიზაციის პროცესში ყოველთვის შესაძლებელია შეცდომა, ანუ ადამიანის იმ ადამიანურ მოთხოვნილებათა, ინტერესთა და, შესაბამისად, აქსიოლოგიურ (ღირებულებრივ) სისტემათა არარეალისტური (ცალმხრივი, არასრული...) გაგება, რომლებიც ადამიანის უფლებათა საფუძველი არიან. (ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს უკვე მოხდა).

მეორე მომენტი ეხება ჰელსინკის პროცესის პოლიტიკურსა და სტრატეგიულ განვითარებას. იგი მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, ხდება ეუთოს დოკუმენტებთან ახალ-ახალი სუბიექტების მიერთება (მათ შორის — ნაკომუნისტარი ქვეყნებისა) ისე, რომ ისინი არ ღებულობენ მონაწილეობას ამ დოკუმენტების შექმნაში და, ამგვარად, შეიძლება ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული ნორმები პოლიტიკური და ყოფითი ქცევისა მათ მიერ განცდებოდეს როგორც უცხო. ეს ამ პროცესის მცირე მინუსია. მეორეც, ეუთოს დოკუმენტთა მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში ხდება ამ რეალიზაციის სავალდებულოობის წინ წამოწევა, თვით საომარ მოქმედებათა გამოყენების ჩათვლით. ეს ამ პროცესის დიდი მინუსია. ევოლუციის ამ ორი ხაზის ურთიერთ გადაბმულობა ქმნის იმის საშიშროებას, რომ ადამიანის ადამიანურ უფლებათა სავალდებულო ჩამონათვალში აღმოჩნდეს ისეთი მოთხოვნები მონაწილე სახელმწიფოებისადმი (მაგ. მათი მოქალაქეებისათვის ამა და ამ შესაძლებლობათა მიცემის თაობაზე), რომლებიც შეუთავსებადია ამ სახელმწიფოთა ინტერესებთან, და მოხდეს (ვისმე მხრიდან) ამ მოთხოვნათა განხორციელების მცდელობა შეიარაღებული ძალის გამოყენებით ან ზეწოლის რომელიმე სხვა საშუალებით. ეს საშიშროებაც დღეს უკვე რეალიზაციის პროცესშია.

ეუთოს დოკუმენტთა შინაარსობრივი განვითარება, ზოგადად, მიდის, როგორც ჩანს, სახელმწიფოებში ცენტრიდანული ძალების ხელშეწყობა-სტიმულირებისა და ცენტრისკენული ძალების დათრგუნვის მიმართულებით. გარდა ამისა, არის შემთხვევა (შემთხვევები), როცა ეუთოს პრაქტიკაში ხდება მცირე სახელმწიფოებისადმი იმგვარი (დესტრუქციული) მოთხოვნების წაყენება, „რეკომენდაციების“ ფორმით, რომლებიც არ გამომდინარეობს ეუთოს დოკუმენტთა (სახელდობრ, საერთაშორისო კონვენციათა) არც ასოდან, არც სულისკვეთებიდან. ეუთოს საქართველოს მისიის პრაქტიკა ამგვარი დესტრუქციული ჩარევის მკვეთრ მაგალითს მოიცავს. სახელდობრ, მისია ურჩევს (რეკომენდაციას აძლევს) საქართველოს, შექმნას საქართველოში ტერიტორიული პოლიტიკური ერთეული „სამხრეთ ოსეთი“ (ეგებ რესპუბლიკის სახითაც კი) და ამით კაცობრიობის წინაშე დააყენოს იმპერატიული ამოცანა, მიაღწიოს ადრე თუ გვიან ორი „ოსეთის“ „გაერთიანებას“, ანუ საქართველოსგან მისი ტერიტორიის ერთი ნაწილის მოცილებას (რასაც ვერ შენიღბავს და ხელს ვერ შეუშლის ის გარემოება, რომ დღეს მისია რუსეთის მიერ მართულ ოს სეპარატისტებს ურჩევს, ხელი აიღონ საქართველოსაგან გამოყოფის გეგმაზე და დასჯერდნენ „ოსეთის“ შექმნას მაღალი უფლებრივი სტატუსით ქართული სახელმწიფოსა და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის საზარალოდ). ამ „რეკომენდაციის“ პროცესში ეუთოს მისია არ ერიდება არც ისეთი წინამძღვრების გამოყენებას თავისი პოზიციის დასაბუთებისათვის, რომლებსაც საქართველოს მიერ ხელმოწერილი კონვენციების ტექსტები არ შეიცავს, არც საკაცობრიო პასუხისმგებლობის უგულებელყოფას.

პირველი დაურიდებლობის მაგალითია, სხვა მრავალთა შორის, ასეთი მსჯელობა: **„ეს დასახელება („სამხრეთ ოსეთი“) იწვევს მრავალი ქართველის აღშფოთებას ნაკვეთი II-ის მეორე პუნქტში მოხსენიებული მიზეზების გამო (იქ „მრავალი ქართველის“ აღშფოთების მიზეზები ასე იყო გადმოცემული: „ისინი ამბობენ, რომ სამხრეთ ოსეთი (ქართველები ხშირად უწოდებენ მას „სამაჩაბლოს“) მდებარეობს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე და ამიტომ იგი, უბრალოდ, შიდა ქართლის რეგიონის ნაწილია. ისინი ამბობენ, რომ სამხრეთ ოსეთის ეთნიკური შემადგენლობა შეიცვალა ცოტა ხნის წინანდელი ოსური იმიგრაციის შედეგად, XIX საუკუნის შუიდან დაწყებული, რასაც ხელი შეუწყო რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლებამ. მათ ოსების სამშობლოდ მიაჩნიათ ჩრდილოეთ ოსეთი“. რედ.). მიუხედავად იმისა, რომ მათი არგუმენტების დამაჯერებლობის ხარისხი სადავოა, უეჭველია, რომ უკვე რამდენიმე თაობა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე სხვაგან ამ ტერიტორიას, რომელსაც საუბარი ეხება, უწოდებს „სამხრეთ ოსეთს“. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა და ეუთს-ის (ეუთო-ს წინაპარი) პრინციპები მოითხოვენ, რომ გათვალისწინებული იქნეს ფაქტები და არა მათი ისტორიული ხასიათი. ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ისტორიული ერთეული, რომელსაც ეწოდება „სამხრეთ ოსეთი“, რომლის მოსახლეობაშიც ოსები ჭარბობენ. მისიის აზრით, ამ ტერიტორიული ერთეულის უფლება, შეინარჩუნოს თავისი სახელი ან თავისუფლად შეცვალოს იგი, კითხვის ქვეშ არ უნდა დადგეს“.** (ეს მსჯელობა სიყალბეს შეიცავს: სახელი „სამხრეთ ოსეთი“, რომელიც რუსმა ოკუპანტებმა შექმნეს 1922 წელს, ციტირებული დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის აღარ არსებობს: იგი გაუქმებულია საქართველოს კანონიერად არჩეული პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს). როგორც ვხედავთ, ეუთოს მისიის ციტირებული რეკომენდაცია არ ემყარება არც ერთ სამართლებრივად ძალაში მყოფ ნორმატიულ აქტს. არც „საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკა“, არც „ეუთოს პრინციპები“ არ შეიძლება იყოს იურიდიული საფუძველი საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს შინაგანი მონყობის საკითხთა გადაწყვეტისათვის). მეორე დაურიდებლობა კი, სახელდობრ, ანგარიშის გაუწევლობა საკაცობრიო პასუხისმგებლობისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ეს რეკომენდაციები უგულებელყოფს იმას, რომ ამა თუ იმ ტერიტორიის პოლიტიკური და უფლებრივი სტატუსის ცვლა მისი მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის, სახელდობრ, მასში არსებული ეთნიკური პროპორციების ცვალებადობის მიხედვით ობიექტურად ნიშნავს ეთნიკური წმენდისა და გენოციდის, როგორც მისი მეთოდის, სტიმულირებას მთელს მსოფლიოში, ანუ ყოველი ეთნიკური ჯგუფის ცნობიერებაში შიშის ჩანერგვას ყოველი სხვა ეთნიკური ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე).

ეუთოს მისიის რეკომენდაციებში არის პირდაპირი წინააღმდეგობები, რომელთა შემოთავაზების უფლებას მისია თავისთავს, როგორც ჩანს, იმიტომ აძლევს, რომ საქმე აქვს პატარა და განსაცდელში მყოფ ქვეყანასთან საქართველოს სახით. მაგალითად, „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის მართებულობის არგუმენ-

ტად იგი იმოწმებს იმ ფაქტს, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ოსური მოსახლეობა ჭარბობს ქართულს. მაგრამ ამავე დროს უარს ამბობს ამ ხელოვნურად შექმნილი ერთეულიდან იმ რაიონების გამორიცხვაზე, სადაც ქართველი მოსახლეობა უმრავლესობაა, რადგან „საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურა არ უნდა იქნას შედგენილი ეთნიკური პრინციპების მიხედვით". ეუთოს მისია პირდაპირ შანტაჟს ეწევა საქართველოს მიმართ არგუმენტით, თუ ოსებს არ დაუთმობთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღდგებაო, თუმცა არ სთავაზობს მას არანაირ გათვლას ძალთა იმ შეფარდებისა, რომლის გამოც ეს მთლიანობა აღდგება ან ვერ აღდგება. გარდა ამისა, ეუთოს მისია ცნობიერად და მიზანმიმართულად აყალბებს საქართველოს საზოგადოებრიობის პოზიციას (ეს იგივე პოზიციაა, რაც უზენაესი საბჭოს პოზიცია, რომელმაც კანონსაწინააღმდეგო „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" გააუქმა): ქართული მხარის დებულებას, რომ არ შეიძლება კიდევ ერთხელ შეიქმნას უკანონო „სამხრეთ ოსეთი", იგი ნარმოაჩენს, როგორც „კითხვის ქვეშ დაყენებას ოსების უფლებისა, რომ საქართველოში იცხოვრონ".

ეუთოს მისიის ეს უდავოდ მტრული მიდგომა საქართველოსადმი, როგორც პატარა, მაგრამ თავის ტერიტორიასთან და თავის მომავალ ისტორიასთან მიმართებაში თავმოყვარე სახელმწიფოსადმი, ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვან ნაწილში გაბატონებული ხაზია მათი მიდგომისა მსოფლიოსთვის ანგარიშგასაწევი ეკონომიკური და სამხედრო ძალის არმქონე პატარა ქვეყნების მიმართ, ფუკი ეს უკანასკნელნი სრულფასოვან ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნებას ან, მით უმეტეს, შექმნას ლამობენ. საქართველოსადმი, მისი სპეციფიკური გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის და რიგი სხვა ფაქტორების გამო, მტრულ დამოკიდებულებას სხვა, დამატებითი სტიმულებიც აქვს.

ამ განწყობილების შედეგად ხელშეწყობის ობიექტი ხდება (საქართველოს გარედან ფინანსდება) არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო ქსელი, რომელიც აქტიურად ეწევა ყველა სახისა და ელფერის ცენტრიდანული ძალების ლობირებას. ხელი ეწყობა (და, ფაქტობრივად, მონოპოლიური მდგომარეობა ექმნება) ტელევიზიებს, რომლებიც მაყურებლის ცნობიერების მანიპულირებას ეწევიან სახელმწიფოებრიობის სიცოცხლისუნარიან პრინციპთა საწინააღმდეგო მიმართულებით. ხდება (ტიპური შტრიხი!) აქტიური ლობირება ომბუდსმენებისა, რომლებიც თავის ამოცანას ხედავენ არა სახელმწიფოსგან უკანონოდ დაჩაგრულ ინდივიდთა დაცვაში, არამედ სახელმწიფოს დაბეზღებაში მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე თითქოსდა არადემოკრატიული ნაბიჯების გამო, რადაც ისინი თვლიან ყველა ნაბიჯს, რომელიც სახელმწიფოს ეფექტიანი ორგანიზაციისკენაა მიმართული (და ამავე დროს არ იმჩნევენ დემოკრატიის ანბანური მოთხოვნების სისტემატურ დარღვევებს მოსახლეობის ფართო მასის მიმართ, ინდივიდთა ათასების სახით). ხდება ლობირება და ქმედითი მრავალმხრივი დახმარება უმაღლესი ხელისუფლების იმგვარი პრეტენდენტებისაც კი (ინდივიდებისა და დიდი პოლიტიკური ჯგუფების, მათ შორის — პარტიების სახით), რომლებიც თანახმანი არიან პოლიტიკა წარმართონ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური, ენერგეტიკული, სასურსათო, საგანმანათლებლო და სხვა საფუძვლების მორყევისაკენ. ერთის მხრივ, ამ დესტრუქციულ საქმიანობაში საქართველოში არსებული ყველა სახის ცენტრიდანული ძალების გასამაგრებლად და ახლების შესაქმნელად შემთხვევათა დიდ ნაწილში იგულისხმება დღესდღეობით საქართველოს ყველაზე ძლიერი და აგრესიული მტრის — რუსეთის — სპეცსამსახურების ხელი. მაგრამ, მეორეს მხრივ, აქ თვალსაჩინოა იმ იდეოლოგიის ფაქტორიც, რომელიც საქართველოს შინაგან ცხოვრებაში დღეს მსოფლიოში ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის მოძრაობის სახელით შემოდის, თუმცა ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ დაზუსტებით იმის შესახებ, თუ სად გადის საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე მიმართული ამ ზეწოლის მცდელობებში ზღვარი შესაძლო რუსულ ზეგავლენასა და ადამიანის უფლებათა დაცვის

ეს რუკა-პროექტი გამოქვეყნებულია, სხვათა შორის, სახელმწიფო გაზეთში. რუსეთის ხელისუფლება კონვულსიურად ცდილობს შეინარჩუნოს ის, რასაც თვითონ იცის, რომ ვერ შეინარჩუნებს – აფხაზეთი და, როგორც მინიმუმი, ჩრდილოეთი კავკასიაც. მაგრამ ამ „კონვულსიის" გარდა რუსეთის პოლიტიკაში სხვა, უფრო რეალისტური, თუმცა ნაკლები ამბიციაც დევს: იგი ფიქრობს ჩრდილოკავკასიური (სახელდობრ, ადიღეური) გავლენის შენარჩუნებას აფხაზეთში, ხოლო თავისას – ადიღეში.

მსოფლიო მოძრაობის ევოლუციის საკუთარ ტენდენციებს შორის.

საქართველო ვერ მოახდენს კაპიტულაციას ამ მიზანდასახული შემოტევის წინაშე, რომელიც მიმართულია მისი ჯანსაღი სახელმწიფოებრიობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის სამომავლოდ შენარჩუნების წინააღმდეგ. საქართველოში ისტორიულადაც და დღესაც ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ინტერესები, — არა მხოლოდ მოქალაქეთა სრული თანასწორუფლებიანობის ჩათვლით, არამედ აგრეთვე არაქართულ მიკრო და მაკროჯგუფთა ეთნიკური (ეროვნული) იდენტობის დაცვის, მათი კულტურული დამოუკიდებლობის დაცვისა და მათი ყველა სხვა სპეციფიკურად ეთნიკური (ეროვნული) ინტერესების დაცვის ჩათვლით, — უფრო იყო (და არის) გარანტირებული, ვიდრე მსოფლიოს რომელსამე სხვა ქვეყანაში. საქართველო ასრულებს და მუდამ შეასრულებს მის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულ ყველა სხვა მოვალეობებს ეთნიკურ (ეროვნულ) უმცირესობათა ინტერესების დაცვის საქმეში (ეს მოვალეობები მხოლოდ მცირე ნაწილია უმცირესობათა დაცვის იმ ტრადიციული ფორმებისა, რაც საქართველოს პრაქტიკაში აქვს, როგორც მისი ყოველდღიური ცხოვრების ელემენტი). მაგრამ საქართველოს საზოგადოებრიობა არ დაუშვებს მისთვის პოლიტიკის ისეთი ნორმების კარნახს ვისიმე მხრიდან (ამ შემთხვევაში — ეუთოს საქართველოს მისიის მხრიდან), რომლებიც არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო კონვენციებით, არ არის შეთავსებადი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან და არ არის ზოგადმნიშვნელადი ანუ მთელი კაცობრიობისათვის ნაგულისხმევი, არამედ შეთხზული და ფორმულირებულია (ამ შემთხვევაში — ეუთოს საქართველოს მისიის მიერ) ad hoc, მხოლოდ საქართველოსთვის მის სასიცოცხლო ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული ამა თუ იმ დათმობის გამოძალვის მიზნით.

გაზეთ „საქართველოს" რედკოლეგია რაცხს, რომ საქართველოს სახელმწიფოს უფლება და ამავე დროს ზნეობრივი მოვალეობაა არა მხოლოდ ეუთოს მოღვაწეობის შედეგად შექმნილ ადამიანის უფლებათა დოკუმენტებში, არამედ ყველა ანალოგიურ დოკუმენტებში გათვალისწინებულ ნორმათა პრაქტიკული მიყოლა, არამედ მონაწილეობაც ამ ნორმათა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. მას მიაჩნია, რომ დღესდღეობით ეუთოს მიერ მიღებული პრაქტიკა და იდეოლოგია ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვისა, სამწუხაროდ, ორი ფუნდამენტურად მიუღებელი (არარეალისტური) პრინციპის შემცველია:

ა) ამ უფლებადაცვითს მოძრაობაში მკაფიოდ და ცალსახად არის აღიარებული, რომ იგი ორიენტირებულია ინდივიდის დაცვაზე, რაც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მის დაცვას სახელმწიფოსმიერი და ამ უკანასკნელის აპარატისმიერი შევიწროებისაგან. მაგრამ უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ ადამიანს (პრაქტიკულად, — თითქმის გამონაკლისის გარეშე) ჰყავს თავისი შიდაჯგუფები (in-groups) ანუ ისეთ ადამიანთა ერთობლიობები (ჯგუფები), რომლებთანაც იგი თავს აიგივებს (თვითიდენტიფიკაციას ახდენს), მათ შორის — ისეთი ჯგუფებიც და ისეთ ინდივიდთა ჯგუფებიც, რომლებიც მას საკუთარ თავზე მეტად ულირს, რომელთა კეთილდღეობა საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა ულირს, სიცოცხლე — სიცოცხლეზე და ა.შ.. ადამიანი (რომელიც, როგორც ცნობილია, თავისი ქვეცნობიერების სიღრმეში თავს უკვდავად თვლის და თავის მომთხოვნელობას სამყაროსადმი თავისი სიკვდილის მომენტის მიღმაც ავრცელებს), „ცოცხლობს" (თავის განცდაში, რომელიც არსებობს მანამდე, სანამ თვით ეს ადამიანი არსებობს) იმ ადამიანებში, ვისთანაც მან თავი გენუინურად (გულწრფელად) გააიგივა და ვინც მას თავისთავზე მეტად ულირს (მაგ. შვილებში და უახლოეს მეგობრებში), და იმ ჯგუფში (როგორც მთლიანში), რომელიც მან თავისად აღიარა და რომლის ელემენტიც არის (მაგ. ოჯახი, მეგობართა წრე, გვარი, ტომი, ერი, ქვეყანა, რელიგიური კრებული, რასა, კაცობრიობა...). ამ და ამგვარ აქსიოლოგიურად ნიშანდებულ შიდაჯგუფებში ერთერთი ყველაზე ძლიერთაგანი თავისი მოწოდებლობით (appeal), ან ყველაზე ძლიერი, არის საკუთარი ერი (და, აქედან გამომდინარე, ამ ერის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა — სახელმწიფოებრიობა მისი მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ქვეფორმებითურთ). ერი იმგვარი შიდაჯგუფია, რომელშიც ადამიანი, თავისი განცდით, „ცოცხლობს" თავისი სიკვდილის შემდეგ და რომლის მდგომარეობა (სადღეისო და სამომავლო) არანაკლებ განსაზღვრავს მის ადგილს ბედნიერებისა და უბედურების შკალაზე, ვიდრე მისი პირადი კეთილდღეობა, დაუჩაგრაობა, სიტყვის თავისუფლების ხარისხი, სიცოცხლის უსაფრთხოების ხარისხი და ა.შ.. ერის დაცულობის ცნობიერება (მისი ღირსების, სიამაყის, სუფთა სვინდისის და სხვა როგორც „ძლიერი" ღირებულებების, ისე „მაღალი" ღირებულებების დაცულობის ჩათვლით) იმგვარადვე აუცილებელია ტიპიური ინდივიდის დამაკმაყოფილებელი თვითგანცდისათვის (დამაკმაყოფილი მდგომარეობისათვის ბედნიერება-უბედურების შკალაზე), რამდენადაც საკუთარი დაცულობის ცნობიერება ამავე პარამეტრებში. ტიპიური ინდივიდი თანამედროვე (უფრო და უფრო გლობალიზებადი) პოლიტიკის და კაცობრიობის ისტორიის მონაწილეა მხოლოდ თავისი ერის შემადგენლობაში და მასთან ერთად (და, ამდენად, ბარბაროსობაა ერისათვის, მაშასადამე — ერის შემადგენელ ინდივიდთათვისაც ისტორიული მეხსიერების უფლების წართმევა, როგორც ეუთოს საქართველოს მისია ცდილობს თავის რეკომენდაციებში ცხინვალის რეგიონის თაობაზე). რამდენადაც ერი ადამიანთა ბუნებითი შიდაჯგუფიცაა („სისხლით ერთობის" თუნდაც არა სავსებით ჭეშმარიტი ცნობიერებით), კულტურული ერთობაცაა, თავისუფალი ნებით დადასტურებული ერთობაცაა (ყოველი ინდივიდი თავისი ნებით იღებს თავზე ერისადმი სამსახურის მოვალეობას) და გლობალურ პოლიტიკასა და ისტორიაში საკუთარი ბუნებითი სახელით მონაწილეობის პრაქტიკულად ერთადერთი საშუალებაცაა, აგრეთვე საკუთარი ბუნებითი და კულტურისმიერი მახასიათებლების მიხედვით საკუთარი საზოგადოების (საკანონმდებლო და ყოფითი) მოწყობის ერთადერთი საშუალებაცაა, პრაქტიკულად ნულია იმის ალბათობა, რომ უახლოეს საუკუნეებში ადამიანთა ეროვნულ თვითიდენტიფიკაციას, როგორც მათი სოციალური, პოლიტიკური და მილიტარული ქცევის აქსიოლოგიურად განმსაზღვრელ ფაქტორს, სხვა რომელიმე განჭვრეტადი თვითიდენტიფიკაცია ჩაენაცვლოს. ერთა კონფლიქტები ერთსა და იმავე დედამიწაზე თვითდამკვიდრების სფეროში, ისევე როგორც ინდივიდთა კონფლიქტები, დღეს და პერსპექტივაში, ცნობიერი დარეგულირების (კეთილმოსურნე მართვის) ერთადერთი ფორმითაა შესაძლებელი — დავის საგნის სამართლიანი განაწილებით მოდავეთა შორის. სამართლიანობა, დღეს შესაძლებელი ყველა ან თითქმის ყველა განსაზღვრებითვე, გულისხმობს, სხვა ფაქტორთა შორის, დამსახურების ფაქტორსაც, ანუ მონაწილეთათვის (რაციონალურ ფარგლებსა და ფორმებში) ისტორიული მეხსიერების უფლების აღიარებას (ისევე, როგორც ინდივიდთა დავებში აღიარებულია წარსული შრომის გათვალისწინების უფლება დღეს არსებული ღირებულსაგნების განაწილების პროცესში, ანუ საკუთრების უფლება). (წინამდებარე „ა" პუნქტში გადმოცემული საკითხებისათვის უფრო ვრცლად იხ. „ნ. ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, თბილისი. 1984").

ეუთოს იდეოლოგიასა და პრაქტიკაში (ყოველ შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი თავს იჩენს საქართველოში არსებულ გარედან მართულ კონფლიქტებთან მიმართებაში) ეროვნული მოტივაციის ეს ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი როლი ინდივიდის ქცევის წარმართვაში უგულებელყოფილია. ეს იმას ნიშნავს, რომ არც მის მცდელობას, შეიმუშაოს ადამიანის ადამია-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

ხელის შემბრუნებელნი ვართ!

ნურ უფლებათა დაცვის ნორმები კაცობრიობისათვის (კერძოდ, სახელმწიფოს შიგნით ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების ურთიერთმიმართების განსაზღვრის სფეროში), არც მის მცდელობას, ევროპის სივრცეში შექმნას ურთიერთობათა ისეთი სისტემა, რომელიც, ერთის მხრივ, მიმზიდველი იქნება მსოფლიოსთვის, როგორც მაგალითი, მეორეს მხრივ კი თავისი რაციონალურობისა და რეალისტურობის წყალობით (ანუ ადამიანის რეალური ბუნებისადმი შესატყვისობის წყალობით) ძალის წყარო იქნება ევროპული ცივილიზაციისათვის, — თუკი ეუთოს ძალისხმევა მართლაც ამ ამოცანებისკენ წარიმართება, — პერსპექტიული არ არის.

ბ) ეუთოს იდეოლოგიასა და პრაქტიკაში, ისევე როგორც, სამწუხაროდ, ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვისაში საერთოდ, დღესდღეობით გათვალისწინებულია სამყაროს (დედამიწის) განაწილება ადამიანებს შორის (ამა თუ იმ წესით), როგორც თავის რჩენის ბაზისა და როგორც თავშესაფართა სისტემისა (ადამიანს ეკუთვნის ბინა, დაცული საკუთარი სივრცე და ა.შ.), მაგრამ უგულებელყოფილია იმის საჭიროება, რომ იგი განაწილებული იყოს, აგრეთვე, როგორც მართვის ობიექტი. ეს უგულებელყოფა ვლინდება იმაში, რომ ადამიანის ადამიანურ უფლებათა შორის არ არის არც აღიარებული, არც ნაგულისხმევი იმის უფლება, რომ იბრძოლოს და იშრომოს მისთვის მისაწვდომი საშუალებებით იმისათვის, რომ სამყაროს (დედამიწას, დედამიწის ნაწილს, თავის უბანს...) იმგვარი სახე მისცეს, რომელიც უმჯობესად მიაჩნია (თავისი ზოგადი შეხედულებებიდან და მორალური ცნობიერებიდან გამომდინარე) თვით ამ ობიექტისათვის, და არა თავისათვის. ეს ფუნდამენტური ადამიანური ინტერესი — მისი მოთხოვნილება სამყაროს (დედამიწის, უბნის...) თანამმართველად ყოფნისა (იდეალურ თანამმართველად მაინც) — ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია და სამყაროში მისი, როგორც ჰომო საპიენსის, სტატუსის ერთერთი ძირითადი განმსაზღვრელია. (ფორმულირებაც, რომ ადამიანი შექმნილია „სახედ და ხატად" ღმრთისა, მის ამ სტატუსს გულისხმობს). ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ისევეა ამა და ამ ინდივიდის ადგილის განმსაზღვრელი ბედნიერებისა და უბედურების შკალაზე, როგორც მისი ყველა სხვა მოთხოვნილებები, და მისი დაკმაყოფილება, ისევე როგორც ყველა სხვისა, რეგულირდება მხოლოდ სამართლიანობის პრინციპით, ანუ იმით, რომ მისი შეზღუდვა იწყებოდეს იქ, სადაც მისი დაკმაყოფილება წინააღმდეგობაში მოდის სხვა ინდივიდთა ამავე მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან. ეუთოს (და ადამიანური უფლებისათვის მებრძოლი სხვა ორგანიზაციების) იდეოლოგია და პრაქტიკა, რომელიც ადამიანის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთადერთ ბერკეტს, ფაქტობრივად, მის ხმის უფლებაში ხედავს, ადამიანის ამ მოთხოვნილებას და, შესაბამისად, მის უფლებას, რომ ეს მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, ეწინააღმდეგება (ჩრდილში აქცევს) ორგვარად: ჯერ ერთი, იგი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებს (სხვადასხვა მაკროსაზოგადოებებს) — ქვეყნებს, ერებს, ცივილიზაციებს, — სხვადასხვა მდგომარეობაში აყენებს ზოგადსაკაცობრიო (ფაქტობრივად — სავალდებულო. იხ. ზემოთ) სამოქმედო ნორმების შემუშავების პროცესთან და უფლებასთან მიმართებაში (მაგ. ლაპარაკობს „დასავლური ღირებულებების" აღიარების საჭიროებაზე იმის ნაცვლად, რომ ილაპარაკოს „თანამედროვე ცოდნისა და განვითარების დონეზე მეცნიერულად ფორმულირებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების" და „კაცობრიობის წიაღში დღემდე შემუშავებული ყველაზე რაციონალური და ჰუმანური ღირებულებრივი სისტემების" აღიარების საჭიროებაზე). მეორეც, იგი მოცემული კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით თავის გავლენასა და პრესტიჟს მიმართავს იქითკენ, რომ გაზარდოს ინდივიდის უფლებამოსილებები და შესაძლებლობები ზოგადის (სახელმწიფოსა და მისი აპარატის) პირისპირ, და არა იქითკენ, რომ, რაციონალური ბალანსის შექმნის მიზნით, გააცნობიეროს აგრეთვე ამავე ინდივიდის უფლებები, როგორც სახელმწიფოს (იდეალური) თანამმართველისა, ანუ აღიაროს მისი უფლება, საკანონმდებლო ინიციატივით ითხოვოს სახელმწიფო უფლებამოსილებათა გაფართოება ისეთი მიმართულებით, რომელიც, მისი აზრით, სახელმწიფოსთვის, ერისთვის, კაცობრიობისთვის უმჯობესია (იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკაში, როგორც წესი, უგულებელყოფილია იმის განსაზღვრის საჭიროება, თუ რომელ ადამიანურ უფლებას რომელი მოვალეობა შეესაბამება ბუნებრივი წესით და ვის მიმართ აქვს ინდივიდს უფლება, თავისი ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოითხოვოს, აქ არ ვმსჯელობთ მიუხედავად იმისა, რომ ვითარების ეს მხარე ადამიანურ უფლებათა დაცვის დღევანდელი იდეოლოგიისა და პრაქტიკის ერთერთი ძალიან სუსტი ადგილია). შედეგად ვიღებთ ისეთ ვითარებას, როცა ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკა ასტიმულირებს ინდივიდის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როგორც მომხმარებლისა და სოციალური დაცულობის მაძიებლისას, მაგრამ თრგუნავს (ფაქტობრივად და პრინციპულად) მისსავე მოთხოვნილებას, როგორც სამყაროს (ქვეყნის, უბნის...) მმართველისას, ანუ მისი ბუნების შედარებით ნაკლებ სპეციფიკურ ადამიანურ ნაწილს („ძლიერი" ანუ საარსებო ღირებულებებზე ორიენტირებულს) ახარებს მისივე ბუნების მეორე, უფრო სპეციფიკურად ადამიანური ნაწილის („მაღალ" ღირებულებებზე ორიენტირებულის) ხარჯზე. ეს იდეოლოგია და პრაქტიკა პრინციპულად არაელიტარულია, შეიძლება ითქვას — ანტიელიტარულია, თუკი „ელიტის" ცნებაში ე.წ. სულისა, გონებისა და მორალური პასუხისმგებლობის ელიტას ვიგულისხმებთ. ამ პოზიციის გავრცელებასაც ზოგადსაკაცობრიო პოზიციის სტატუსამდე, უნდა ვივარაუდოთ, პერსპექტივა არა აქვს, მით უმეტეს, რომ კონკრეტულ მცირე ეროვნულ სახელმწიფოებში. ეს პოზიცია, პრაქტიკულად, ეროვნული ამოცანებისკენ მიმართული სახელმწიფოებრივი ძალისხმევის დათრგუნვისკენაა მიმართული.

„დასავლური ღირებულებების" ხსენებას ამ კონტექსტში პროცესის ქართული მხარისაგან კომენტირება სჭირდება. „დასავლური ღირებულებები", რომლებზეც აქ ლაპარაკია, საქართველოსთვის არაფერს მოიცავს პრინციპულად ახალს, რადგან ეს იგივეა, რაც საქართველოსთვის ტრადიციული ღირებულებები: პიროვნების აღიარებისა შეუვალ, სხვა ღირებულებებზე არადახურდავებად ღირებულებად, თავისუფლებისა, ადამიანთა პრინციპული და ფუნდამენტალური თანასწორობისა (ანუ ადამიანში მისი იმ მხარეების მიჩნევისა ყველაზე არსებითად, რომელშიც ყველა ადამიანები თანასწორნი ვართ), სამართლიანობისა, როგორც აგრეთვე დაუხურდავებადი ადამიანური უფლების, შემწყნარებლობისა, შემნდობლობისა, აზრისა და სიტყვის თავისუფლებისა და მრავალი სხვა. ეს ბუნებრივიცაა: საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა, ფეოდალური ისტორიული ფონის ქვეყანაა, რელიგიურად და კულტურულად რადიკალურად უცხო გარემოცვაში ცხოვრებას და თავის დაცვას ჩვეული ქვეყანაა, რის გამოც მას საკუთარი არა მხოლოდ ეროვნებისა და

რელიგიის, არამედ კულტურული იდენტობის ღირებულების მძაფრი ცნობიერება აქვს (ისტორიულადვე), განათლებაზე ორიენტირებული ქვეყანაა, რის გამოც მას თავი, ისტორიულად, ტიპოლოგიურად დასავლურ ქვეყნად მიაჩნია, რომელსაც საკუთარი ღირებულებითი სისტემების დაცვა ჰმართებს, და არა აღმოსავლურ ქვეყანად, რომელსაც დღეს ახალი, დასავლური ღირებულებების გაცნობისა და ათვისების შესაძლებლობა ეძლევა. ამდენად, საქართველოში არ არსებობს და ვერ იარსებებს ახალი უცხო ღირებულებების ათვისება, როგორც დემოკრატიას ზიარების ამოცანა.

აქვე ზემოთ მოხსენიებულ „თავისუფლებასთან" დაკავშირებითაც შენიშვნა გვმართებს. „თავისუფლების" ცნების მიწოდება დემოკრატიის პროზელიტებად მიჩნეულ საზოგადოებათათვის (მათ შორის, ნასაბჭოვარ-ნაწამები საქართველოსთვისაც) დასავლეთის უფლებადაცვითი ორგანიზაციების მხრიდან ისე არ ხდება, როგორც შეეფერება ამ ცნების ნამდვილ შინაარსს და კაცობრიობის მდუღარე სულიერი და სოციალური განვითარების ინტერესებს. თავისუფლების ცნება ნახევარსაუკუნოვანი, საუკუნოვანი და ორსაუკუნოვანი (გამონაკლისის სახით — სამსაუკუნოვანი) დესპოტიური ჯოჯოხეთიდან თავდაღწეულ საზოგადოებებს მიეწოდებათ მხოლოდ როგორც ინდივიდის მიერ საკუთარი მოტივირებული თუ არამოტივირებული შინაგანი სტიმულების მიშვების თავისუფლება სახელმწიფოსმიერი (აპარატისმიერი) კონტროლის შეძლებისდაგვარად სრული გამორიცხვის პირობებში (რაც ამ ცნებით აღნიშნული მოვლენის მხოლოდ ნეგატიური მხარეა, „თავისუფლება რისგან", Freiheit von), — მაგრამ არა როგორც ინდივიდის მიერ სამყაროს (ქვეყნის, უბნის...) მართვის, ანუ საკუთარი შეხედულებისა და არჩევანისებრ მოწყობის თავისუფლება, პასუხისმგებლობით აღჭურვილი პოზიტიური თავისუფლება („თავისუფლება რისთვის", Freheit zu), რომლის სრულყოფილი ასპარეზი სახელმწიფოა. ამგვარი დეზინფორმაცია ამ ერთერთი ძირითადი ჰუმანიტარული ცნების შინაარსის შესახებ იწვევს ქაოსს ნაკლებ ინფორმირებული პოსტკომუნისტური საზოგადოების ცნობიერებაში. მაგალითად, ახალგაზრდას, რომელიც მონდომებულია თავის ქვეყანაში დემოკრატია შემოიყვანოს, უქმნის შთაბეჭდილებას, რომ სხვა თანასწორ პირობებში დემოკრატიასთან უფრო ახლოა ის ქვეყანა, სადაც დაკანონებულია პროსტიტუცია, ვიდრე ის, სადაც იგი დაკანონებული არ არის, და ამით ამ ახალგაზრდას კაცობრიობის ამ ერთერთი უსაზიზღრესი სენის და უბინძურესი მორალური ლაქის მხარდამჭერად ხდის. ამ ახალგაზრდისთვის, თუკი იგი ზემოხსენებული ორგანიზებული დეზინფორმაციის ორბიტაში დარჩა, უცნობი რჩება, რომ პროსტიტუციის თავისუფლებაც თავისუფლებაა, მაგრამ მასზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თავისუფლებაა სახელმწიფოსთვის იმგვარი კანონის მოაზრება და გატარება, რომელიც არ ხელყოფს ადამიანის უფლებას, თუკი თავმოყვარეობა არ უშლის და გაჭირვება აიძულებს, თავისი სხეული ღია ბაზარში გაიტანოს, მაგრამ ამავე დროს მაქსიმალურად ზღუდავს და სოციალურ (და ეკონომიკურ) იზოლაციაში აქცევს ამ მოვლენის მორალურად ყველაზე მიუღებელ მხარეს — სხვისი სხეულით ვაჭრობას მოგების მიზნით. ზემოხსენებული ენთუზიასტი ახალგაზრდა არ არის ინფორმირებული (და ნასაბჭოვარი ქვეყნის „დემოკრატიზაციის" უხვად დამფინანსებელი უცხოელი არ ზრუნავს, რომ იგი იყოს ინფორმირებული) იმის თაობაზე, რომ გაერთიანებულ სამეფოში, რომელიც თანამედროვე დემოკრატიის სამშობლოა, ამ ამოცანას რაციონალური ამოხსნა აქვს მოძებნილი: ქალი, რომელიც პროსტიტუციას ეწევა, არ ისჯება, მაგრამ ის, ვინც მისი ამ საქმიანობის ორგანიზაციულ მოგვარებას ცდილობს მოგების მიზნით, მკაცრად ისჯება. ასევე, პოსტკომუნისტურ სამშობლოში მაცხოვრებელმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს და დიდი ხანია იცის კიდეც (იცოდა მაშინაც, როცა დისიდენტობდა, და მაშინაც, როცა დისიდენტობა სიცოცხლის ფასად ჯდებოდა), რომ ადამიანობასთან შეუთავსებადია ინდივიდთა მოქალაქეობრივი უფლებების დიფერენცირება მათი ეროვნების მიხედვით. თუ არ იცის, მას ამ ჭეშმარიტებას სიამოვნებით მიაწოდებს მსოფლიოს რომელიმე ორგანიზაციიდან, მათ შორის — ადამიანის უფლებათა დამცველი რომელიმე ორგანიზაციიდან დაფინანსებული ქართული „ენ-ჯი-ო" (არასამთავრობო ორგანიზაცია). ამგვარად, მან იცის (და თუ არ იცის, ეცოდინება) ისიც, რომ არ შეიძლება საქართველოში ეროვნებით ქართველს სხვა მოქალაქეობრივი უფლებები ჰქონდეს და ოსს — სხვა. მაგრამ იგივე ენ-ჯი-ოები და მათი დამფინანსებლები დაუმალავენ (და უმალავენ) იმ ახალგაზრდას, რომ არ შეიძლება იმის გამო, რომ საქართველოს ერთ რომელსამე ნაწილში ოსურმა შემოსულმა მოსახლეობამ 1922 წელს, 51% შეადგინა, ხოლო 1989 წელს 60%, ამ ტერიტორიაზე ამოიჭრა და „სამხრეთ ოსეთი" ეწოდოს, ანუ იგი აღიარებულ იქნას ოფიციალურად მეზობელი ქვეყნის სამხრეთ ნაწილად, რომ ეს უსამართლობაა იქ მყოფი ქართველი მოსახლეობის მიმართ და საერთოდ ქართველი ერის მიმართ. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ: ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის იდეოლოგია და პრაქტიკა დღეს (ხაზს ვუსვამთ: დღეს, მოცემულ ისტორიულ მომენტში) ვერ იცნობიერებს და არ ცნობს, რომ ეროვნული უფლება (ანუ უფლება, რომ გარანტირებულად ეგულებოდეს თავისი ქვეყნის, როგორც თავისი სამშობლოს, არსებობა განჭვრეტადი მომავლის მანძილზე პრინციპებით: „ჩემი ქვეყნის ტერიტორია, როგორც დედამიწის ერთერთი ნაწილი, ჩემი ერის, როგორც კაცობრიობის ერთი ნაწილის, ქვეყანაა. მასში ყველა მოქალაქე თანასწორია. მაგრამ ამ ქვეყნისა და სახელმწიფოს, როგორც მისი მმართველი ორგანიზაციის, ერთერთი შეუვალი მიზანია ობიექტური პირობების შექმნა და კონტროლი იმისათვის, რომ ეს ტერიტორია დარჩეს ამ ქვეყნად, ამ საზღვრებში მყოფად და თავის მოქალაქეებთან ამ ენაზე მოლაპარაკედ) ყოველი ინდივიდის (ყოველი პიროვნების, როგორც ასეთის), უფლებაა და, აქედან გამომდინარე, — ერის უფლებაც. ეს ინდივიდის — ე.წ. „საშუალო ადამიანის" — ონტური (არსებობითი) მოთხოვნილებაა, ისევე როგორც მისი მოთხოვნილება, რომ იარსებოს პირადად, სიკვდილის შემდეგ „იარსებოს" თავის შვილებში და ა.შ. იგი (ეს მოთხოვნილება) არ ექვემდებარება არც უარყოფას, არც უგულებელყოფას. შესაძლებელია მისი განშლა, განმარტება, როგორც ფაქტისა (ფილოსოფიური ჰერმენევტიკა), მაგრამ ამ განმარტებით თვით ფაქტს არც ემატება რა და არც აკლდება, ფაქტი ფაქტად რჩება. ფაქტი ისაა, რომ ადამიანი თავს იცნობიერებს (თავის მე-ს ადგენს) მხოლოდ სხვათა ფონზე. როგორც სოციალურად (და, მით უმეტეს, გლობალურად) ქმედუნარიან ძალას. იგი თავს ადგენს ისევ სხვების ფონზე, მაგრამ ამავე დროს სხვებთან ერთად (იგი თავს იაზრებს, როგორც თავისი „ჩვენ-ჯგუფის" ნაწილს) და, ამავე დროს, თავის პირად თვითმოაზრებასაც და თავის კოლექტიურ თვითმოაზრებასაც (თავისი „ჩვენ-ჯგუფის", we-group, in group) მოაზრებასაც იგი ახდენს სხვებთან ერთად (პრინციპში — მთელ კაცობრიობასთან ერთად) შემუშავებული შეფასებითი კრიტერიუმების მიხედვით. ერს, როგორც იმ მაკროჯგუფს, რომელთან ერთადაც (რომლის შემადგენლობაშიც) ადამიანს შესწევს ძალა იყოს „უკვდავი", იყოს კაცობრიობის დღევანდელი ზოგადპოლიტიკური (გლობალური) ცხოვრების მონაწილე სუბიექტი და ისტორიის მონაწილე სუბიექტი, დღევანდელ და განჭვრეტად კაცობრიობაში „კონკურენტი" და „ალტერნატივა" არ მოეპოვება ადამიანთა მაკროჯგუფებად დაყოფისა და თვითორგანიზაციის სხვა რამე ფორმის სახით. (ყველაზე ძლიერი „კონკურენტული" ფორმებია „რასა" და „რელიგიური კრებული", მაგრამ რეალურად კონკურენტუნარიანნი პერსპექტივაში არც ისინი არიან). ამიტომ ეს ფორმა დარჩება. კაცობრიობა იარსებებს და იცხოვრებს ერებად და როგორც ინდივიდუალურ ადამიანს ვერავითარი ძალა ვერ ააღებინებს ხელს საკუთრების იდეაზე (ანუ იდეაზე, რომ თავისი დღევანდელი

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

ეუთო „პერსონა ნონ გრატა“ უნდა გამოცხადდეს

გარჯის ნაყოფი ხვალისთვის შეინახოს და შვილებს შეუნახოს), ისევე ერებს ვერაფერი ააღებინებს ხელს იმაზე, რომ საკუთარი ტერიტორია შეინახონ და შთამომავლობას შეუნახონ.

ჩვენი შთაბეჭდილებაა (უფრო ზუსტად — თვალსაჩინო რეალობაა), რომ ეუთოს იდეოლოგია ამ ფილოსოფიურ კატეგორიებს არ ფლობს (და, შესაძლოა, ფიქრობს, რომ არც სჭირდება). დღეს ასეა და ეს სამწუხაროა, რადგან დღევანდელი ფილოსოფია, თავისი ძირითადი მიმართულებით, ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებაა და მისი კონსულტაციის გარეშე ძნელია მასობრივი ადამიანის ქცევის, მათ შორის — მისი პოლიტიკური და მილიტარული ქცევის პროგნოზირება. ეუთოს დღევანდელი სხვა მხრივ ნაყოფიერი პრაქტიკა რომ მსოფლიოს დიდ ძალებს ვერ ააღებინებს და არ ააღებინებს ხელს ადამიანის ადამიანური უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობასთან ერთად საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრივი პრობლემების გონიერი მოგვარებისთვისაც ზრუნვაზე, ეს უეჭველია. ამგვარად, ეუთოს მცდელობა ისტორიის მიმართულების ამოცნობისა და, ამასთან ერთად, განსაზღვრისა ეროვნულ მოტივაციათა პრაქტიკული უგულებელყოფის მიმართულებით გლობალური მასშტაბით უპერსპექტივოა. (ეს მცდელობა, როგორც ითქვა, ვერც რიგორისტულ მორალთან ჰარმონიულობას დაიტრაბახებს) დიდ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ეუთო ამ მიმართულებით არ უტევს (მათგან სახელმწიფოებრივი დისციპლინის შესუსტებას და, მით უმეტეს, პარალიზაციას არ ითხოვს). სახელმწიფოზე უფრო მცირე ერთეულები (რეგიონები), რომლებიც სახელმწიფოთა ნაწილები არიან, ეუთოს მზრუნველობის საგანნიც არიან ამ სახელმწიფოთა შიგნით მათი უფლებამოსილების გაფართოების მიმართულებით. ეუთოს მოღვაწეობა სახელმწიფოს შიგნით ადამიანის ადამიანურ უფლებათა დაცვის სახელით ცენტრიდანული ძალების სტიმულირებისაკენ მიმართულია **პირველ ყოვლისა და ყველაზე მეტად მცირე სახელმწიფოებზე,** მათ შორის — საქართველოზე. ჩვენ არ ვაპირებთ პასიურ მაყურებლებად დავრჩეთ ამ შემოტევისა, არამედ ვფიქრობთ, საქართველოს საზოგადოებრიობის ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, მოვახდინოთ საზოგადოებაში არსებული დარგობრივი ცოდნის მობილიზაცია იმისთვის, რომ ეს პირველ ყოვლისა იდეოლოგიური შემოტევა მოვიგერიოთ ჩვენი ქვეყნისადმი მიდგომაში ეუთოს მისიის — და არა მხოლოდ მისი — პოზიციის სიყალბე და ამორალობა ვამხილოთ. დღეს ვაქვეყნებთ პირველ მასალას ამ მიმართულებით — პროფესორ ბიძინა სავანელის წერილს იმ იურიდიულად სრულებით არაკონსისტენტური რეკომენდაციების შესახებ, რომელსაც ეუთოს საქართველოს მისია იძლევა „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ მოსაგვარებლად იმის სრული უგულებელყოფით, რომ ამ კონფლიქტს თავისი ინსპირატორი და ორგანიზატორი ჰყავს, რომლის ძალა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, როგორც მოვლენათა განვითარების მძლავრი უარყოფითი ფაქტორი.

„საქართველოს“ რედკოლეგია
საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის რწმუნებით

ეუთოს პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში კარგად ჩანს მის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში, რომლის სათაურია: „სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციური სტატუსი“. ამ დოკუმენტის მთავარი მიზანი აშკარავდება მის მეცამეტე გვერდზე, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „უკვე რამდენიმე თაობა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მთელ მსოფლიოში, ტერიტორიას, რომელზედაცაა საუბარი, უწოდებს „სამხრეთ ოსეთს“. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა და ეუთოს პრინციპები (ეს უფლების ლეგიტიმური წყაროება? რა მხრიდან შეიძლება ეხებოდეს ჩვენს კონფლიქტებს საერთაშორისო სამართლის ნორმები? როგორც კონვენციების ხელმომწერებს?) მოითხოვენ, რომ ფაქტები, და არა მათი ისტორიული ხასიათი, ვითარების შესაფასებლად მხედველობაში იქნას მიღებული. ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ტერიტორიული ერთეული, რომელსაც ეწოდება „სამხრეთ ოსეთი“, რომლის მოსახლეობაში ჭარბობენ ოსები. ეუთოს აზრით, ამ ტერიტორიული ერთეულის უფლებაა შეინარჩუნოს ან თავისი ნებით შეიცვალოს სახელწოდება“.

1. ეუთოს მიერ შემოთავაზებული „სამხრეთ ოსეთის“ კონსტიტუციური სტატუსის განსაზღვრის წინადადებათა ციტირებული მონაკვეთიდან გამოდის, რომ ქვეყნის დაპყრობის შედეგად დამპყრობლის მიერ დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას, როგორც ფაქტს, ეძლევა იურიდიული ძალა და დაპყრობილი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მას ესპობა უფლება მოახდინოს თავისი ტერიტორიის სახელმწიფოებრივი მოწყობის ორგანიზაცია და თვითეულ რეგიონს აღუდგინოს ან მიაკუთვნოს სახელი. ეს არის ხალხის და სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელყოფის კლასიკური და აღმაშფოთებელი ნიმუში. ნიშანდობლივია, რომ ამავე დოკუმენტის მომდევნო გვერდზე ეუთო მიმართავს საქართველოს მთავრობას შემდეგი წინადადებით: „გამოიჩინოს სულგრძელობა და დაუტოვოს სამხრეთ ოსეთს თავისი სახელი“ (ციტატის დასასრული). ისმის კითხვა: შემდეგ რა მოხდება? შემდგომ ეტაპზე საქმეში ჩართვება რუსეთი, რომელიც ძალის გამოყენებით გააერთიანებს „სამხრეთ“ და ჩრდილოეთ ოსეთს, და ამის შემდეგ ეუთო ისევ მიმართავს საქართველოს მთავრობას: „შეეგუოს ფაქტიურ მდგომარეობას, გამოიჩინოს სულგრძელობა და აღიაროს გაერთიანებული ოსეთის სტატუსი“.

2. ეუთოს არ შეიძლება არ ესმოდეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მის მიერ შემოთავაზებულ „სამხრეთ ოსეთის“ კონსტიტუციური სტატუსის რეალიზაციას ევროპული, და არა მარტო ევროპული, მასშტაბით. სახელდობრ, ამას მოჰყვება ის, რომ ნებისმიერი ქვეყნის უმცირესობა, რომელიც შესაბამის რეგიონში არის კომპაქტურად დასახლებული უმრავლესობა, ჩაატარებს ეთნიკურ წმენდას და გამოაცხადებს დამოუკიდებლობას. ოდნავ მოგვიანებით ეუთო არსებულ ფაქტს მიანიჭებს ნორმატიულ ძალას და მხარს დაუჭერს შესაბამისი უმცირესობისათვის ფართო სახელმწიფოებრივი ავტონომიის მინიჭებას, მომავალში მისი სრული დამოუკიდებლობის აღიარების პერსპექტივით იუგოსლავიის მოდელის გამოყენებით.

საქართველოსთან მიმართებაში ეს ნიშნავს ქართველთა ეთნიკური წმენდის წაქეზებას ქვემო ქართლში და ჯავახეთში, შესაბამისად, აზერბაიჯანთან და სომხეთთან მათი მიერთების პერსპექტივით, ხოლო დღეს აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ რუსეთთან მიერთების ხელშეწყობას.

3. და მაინც, ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ ეუთო, ეს ვითომდა „მშვიდობის მტრედი“, არც ხსენებულ ტექსტში აფხაზეთის და ცხინვალის კონფლიქტებთან დაკავშირებით არც ერთ სხვა დოკუმენტში, კრინტსაც არ ძრავს ქართველთა ეთნიკურ წმენდაზე ამ რეგიონებში. სწორედ რომ ადამიანის უფლებების ფუძემდებლური საერთაშორისო აქტები, საერთაშორისო პრაქტიკა და ეუთოს პრინციპები გმობენ გენოციდს და ეთნიკურ წმენდას, დამოუკიდებლად იმისა, ასეთი წმენდა ეთნიკური უმრავლესობის თუ უმცირესობის მიმართ იქნება განხორციელებული.

ეუთომ ესეც არ იკმარა. ის თითქმის მისტირის „ბოროტების იმპერიის“ — საბჭოთა კავშირის დაშლას, და, დე-იურე ძალას ანიჭებს რა ანექსიის შედეგად საქართველოს ხელოვნურ ავტონომიებად დაქუცმაცების ფაქტს, ამით შეფარულად ამართლებს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას. არადა, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დღევანდელი ეუთოსეული სტატუსი არის საბჭოთა კავშირის ნარჩენი, იმ საბჭოთა კავშირისა, რომელიც, საბედნიეროდ, ბუნებაში აღარ არსებობს, და ამიტომ ამ ნარჩენების იურიდიული ძალა ნულის ტოლია.

უფრო მეტიც, ეუთო უგულვებელყოფს საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის ძირითად მოთხოვნას ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალთა უპირობო დაბრუნების შესახებ.

აშკარაა, რომ ეუთომ (და სხვა ორგანიზაციებმა) 1994 წლიდან ჩაგვითრია დავაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ, რის გამოც უმთავრესი საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტი — საქართველოში ქართველთა ეთნიკური წმენდა — ჩრდილში მოექცა. ამ უმთავრეს საერთაშორისო არგუმენტს არ ვიყენებთ, არ „ვუმტვრევთ“ კარებს საერთაშორისო ორგანიზაციებს და დაკავებული ვართ სახელმწიფო მოწყობის სოფისტიკით. ამ დროს, სამართლის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ლტოლვილთა დაბრუნებასთან სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას არავითარი კავშირი არ აქვს. ლტოლვილთა დაბრუნება ერთა თანამეგობრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. „გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სტატუსის“ მუხლი პირველის თანახმად: „გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ფუნქცია სრულიად არაპოლიტიკური, ჰუმანიტარული და სოციალურია. ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მთავარი ამოცანაა... ლტოლვილთა ნებაყოფლობითი რეპატრიაცია“. რაც შეეხება პოლიტიკურ მოწყობას, იგი ნებისმიერი ქვეყნის საშინაო პოლიტიკის საქმეა და დაკავშირებულია ხალხის სუვერენიტეტთან, მთელი მოსახლეობის ნებასთან. მოსახლეობის ნება კი მხოლოდ მაშინ იქნება ლეგიტიმური, როდესაც ლტოლვილები დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრისს.

ამრიგად, თუ ეუთო, მისივე აღიარებით, ორიენტირებულია შედეგზე, როგორც ფაქტზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორგანიზაცია უგულვებელყოფს საერთაშორისო სამართლის როლს კონფლიქტის პრევენციის და კონფლიქტის შედეგად დარღვეული უფლებების რესტიტუციის დარგში. გამომდინარე აქედან, რამდენად პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს ეს, მხოლოდ შედეგზე, როგორც ფაქტზე, ორიენტირებული ეუთო ნებით თუ უნებლიედ გვევლინება, როგორც ეთნიკური კონფლიქტების და ეთნიკური წმენდის წამქეზებელი და ხელშემწყობი ევრაზიულ სივრცეში, ხოლო პერსპექტივაში — მთელ მსოფლიოში. ეს არის ეუთოს რეალური პორტრეტი.

ისმის რიტორიკული, მაგრამ აქტუალური კითხვა: სად არის გამოსავალი?

ჩვენ უნდა დავიწყოთ ეუთოს მიერ მიჩუმათებული ფაქტის მაქსიმალური აქტუალიზებით: 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩატარდა ქართველთა ეთნიკური წმენდა. ვინ მოახდინა ეს სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში? აფხაზებმა და ოსებმა? არა. ყველამ იცის, რომ რუსეთმა, რომელმაც სხვა შეფარული აქციების პარალელურად, დაუფარავად ორივე მხარეს დაურიგა იარაღი! ამ დროს დასავლეთი გამუდმებით გვირჩევს, რომ საერთო ენა კვლავ რუსეთთან მოვნახოთ. ვკითხულობთ: როგორ მოვნახოთ საერთო ენა, როდესაც სოხუმის და ცხონვალის უმთავრესი რეგიონებიდან ქართველები გამოდევნილია და იქ დარჩენილი მოსახლეობის მასიური პასპორტიზაციით რუსეთი ქართველებისაგან გაწმენდილი და დე-ფაქტოდ ოკუპირებული ტერიტორიის დე-იურედ „მცოცავ“ ანექსიას ახდენს? ხოლო დანარჩენ საქართველოში ასეთსავე ეკონომიკურ ანექსიას ახორციელებს. დამფიქრებელია ხელისუფლების დანაშაულებრივი მიმნებებლობა. და ეს მაშინ, როდესაც გენოციდი და ეთნიკური წმენდა უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულია და ხელისუფლება ამ „კოზირს“ ათ წელზე მეტია (საეჭვოდ) არ იყენებს. არადა, თუ ასე გაგრძელდა, მთლიანად ქართველი ხალხი ლტოლვილად იქცევა.

ზოგიერთი პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ ამჟამინდელ აფხაზებს მაქსიმალური ავტონომია უნდა მიეცეს, რადგან მათ სხვა სამშობლო არ აქვთ. ჯერ ერთი, იქ მოსახლე ქართულენოვანი აბაშებისაგან (იგივე აბასხებისაგან, ბასხებისაგან, მესხებისაგან) და მისიმიანებისაგან (სვანებისაგან) განსხვავებით, დღევანდელი აფხაზები დღევანდელი ჩრდილოკავკასიელი აბაზუებუსაგან მოდიან. მეორეც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ათასზე მეტი ეროვნული უმცირესობაა, რომელთა უმრავლესობას სხვა სამშობლო არ აქვთ. წარმოიდგინეთ, რა ბაკხანალია ატყდება მსოფლიოში, ყველა მათგანმა ან თუნდაც ნაწილმა სახელმწიფოებრივი ავტონომია რომ მოითხოვოს?! მესამე. თუ რუსეთის იმპერიული ძალების მიერ წაქეზებული ოსი სეპარატისტების ლოგიკას მივყვებით, მაშინ უნდა შეიქმნას ჩრდილო და სამხრეთ აფზუეთის, ჩრდილო და სამხრეთ სოშხეთის, აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერბაიჯანის, ხოლო „თურქ-მესხების“ ჩამოსახლების შემდეგ — ჩრდილო და სამხრეთ თურქეთის ავტონომიები, შემდგომში მათი (მათ შორის ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის) გაერთიანების პერსპექტივით. რაღა დარჩება საქართველოსაგან?! დამისახლეთ ერი, რომელიც ასე დაუკვირვებელ ნაბიჯზე წასულა ან წავა. არადა, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიხედვით საქართველოში აბზუები და ოსები ისეთივე ეროვნული უმცირესობანია, როგორც ქურთები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ებრაელები და მათი უფლებები თანაბრად უნდა იქნას დაცული. (შეადარეთ მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 1 და 27 მუხლები. იხ. აგრეთვე ევროპის ჩარჩო კონვენცია უმცირესობათა შესახებ). აქედან გამომდინარე, ორი რესპუბლიკა ერთ რესპუბლიკაში სრული აბსურდია!

არსებობს თუ არა ლტოლვოლთა დაბრუნების რეალური საერთაშორისო მექანიზმი?

ეს საერთაშორისო მექანიზმი არსებობს და იგი მდგომარეობს შემდეგში: გაეროს პრაქტიკის მიხედვით კონტროლის ზონაში სამშვიდობო შეიარაღებული ძალები კომპლექტდება ისე, რომ მასში არ შედის არც ერთი სამხედრო ქვედანაყოფი შესაბამისი კონფლიქტური ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყნებიდან. ამიტომ აფხაზეთში არ შეიძლება იყოს ერთი სამხედრო ნაწილიც კი თურქეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. მით უმეტეს, არ შეიძლება ასეთი შესულიყო რუსეთიდან, რომლის იმპერიული ამბიციები საქართველოს მიმართ ისტორიულადაა ცნობილი.

ისმის კითხვა: განა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკური ხერხები არ არსებობს?

მარტო პოლიტიკური ხერხებით რუსეთისაგან ამ რეგიონების დაბრუნებას პერსპექტივა არ აქვს, რადგან იგი გამოუსწორებელი იმპერიალისტია. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის ამოქმედებას, ვინაიდან რუსეთი თავისი ნებით არ დატოვებს კონფლიქტის ზონებს. ამ მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა გადაუდებლად საჭიროა საქართველოს დესეთედან გამოსვლა. გაერო მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დათანხმდება გაეროს მრავალეროვნული ძალებით რუსეთის „სამშვიდობო“ შეიარაღებული ძალების ჩანაცვლებას.

გაეროს მრავალეროვნულმა ძალებმა წარმატებით „იმუშავა“ აზიის და აფრიკის კონტინენტზე, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და სხვა ცხელ წერტილებში. პრაქტიკული შედეგი ის იყო, რომ ანგოლელი, შრი ლანკელი, კონგოელი, ერითრეელი, ბურუნდელი, ტამილელი, ბოსნიელი, ავღანელი, ჰერცოგოვინელი ლტოლვილების უმრავლესობა თავიანთ საცხოვრისს დაუბრუნდნენ. ამჟამად გაერო ახორციელებს სომალელი ლტოლვილების დაბრუნების ოპერაციას. დამფიქრებელია, ჩვენი მთავრობა ხელიდან რატომ უშვებს რეალურ შანსს და არ ახმაურებს თანამედროვე საერთაშორირო პრაქტიკისათვის ისეთ აღმაშფოთებელ ფაქტს, როგორიც არის საქართველოში სახელმწიფოებრიობის მქონე უმრავლესობის ეთნიკური წმენდა?! და, რაც მთავარია, რატომ წინა პლანზე არ აყენებს ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს?!

ამიტომ, გამოსავალი იყო და არის ერთი: საქართველოს მოსახლეობამ სისტემატური, სამშვიდობო აქციებით უნდა აიძულოს პრეზიდენტი და პარლამენტი, რათა მათ მოთხოვონ გაეროსა და ლტოლვილთა უმაღლესი კომისრისაგან, რომ მათ განახორციელონ საერთაშორისო პრაქტიკით მრავალგზის აპრობირებული ხერხი — საქართველოს არამოსაზღვრე სახელმწიფოების სამხედრო ნაწილების ჩაყენება კონფლიქტის ზონაში ანუ სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი უზრუნველყოფენ საერთაშორისო პრაქტიკით აპრობირებულ ლტოლვილთა მშვიდობიან და თანდათანობით დაბრუნებას. ამ მიზნის მისაღწევად პირველ ყოვლისა, ვიმეორებთ, გადაუდებლად საჭიროა დესეთედან გამოსვლა!

ასეთ სიტუაციაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებამ, მათ შორის „არასამთავროებმა“, რათა პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძრას. ქალბატონებო და ბატონებო ბოლოს და ბოლოს გავერთიანდეთ!

ამრიგად, მოთხოვნა ერთია:

ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების მანდატით სოხუმის და ცხინვალის რეგიონებში რუსეთის დე-ფაქტო საოკუპაციო ჯარს ჩაენაცვლოს გაეროს სამშვიდობო შეიარაღებული ძალები საქართველოს არამოსაზღვრე ქვეყნებიდან.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
პროფ. **ბიძინა სავანელი**

„ოღონდ არ ჩავიჭრა!“ — რეალურ საქმეზე არავინ ფიქრობს

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რაც დამოუკიდებელ საქართველოს რუსული აგენტურული ხროვა დაეუფლა (1992) და რაც საქართველომ გულწრფელად, მისმა ხელისუფლებამ კი მხოლოდ გარეგნულად დასვლეთთან დაკავშირებისათვის ზრუნვა და შრომა დაიწყო, ოფიციალურსა და არაოფიციალურ საქმიანობაში დამკვიდრდა ფარისევლობისა და მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი „ჩალიჩის“ კიდევ ერთი ახალი მახინჯი ფორმა: იქმნება რაღაცა ორგანიზაცია, რაღაც ინსტიტუტი, რომელიც ცნობილია და აპრობირებულია დემოკრატიულ მსოფლიოში, ჩნდება საკანონმდებლო ამოცანები, იბადება არასამთავრობო ორგანიზაცია რაღაცა მეტ-ნაკლებად ტიპობრივი პრობლემის გადასაჭრელად და ა.შ., მაგრამ ამ სიახლეთა ქართველი მესვეურები იმ კონკრეტულ ვითარებაზე კი არ იღებენ ორიენტაციას, რომელიც მოგვარებას ელის, არამედ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გამოიყურება მათი საქმე დასავლურ პირველსახეებთან მსგავსების, პრობლემათა მოჩვენებითი ანალოგიურობისა და სულისკვეთების (აგრეთვე მოჩვენებითი) იდენტურობის მხრივ. ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე კარიკატურული გამოვლენა, ალბათ, არის საქართველოში „ომბუდსმენის“ (სახალხო დამცველის) ინსტიტუტი, რომლის განმსახიერებელნი და მეთაურნი (ყოველ შემთხვევაში, ორი უკანასკნელი მაინც — ქ-ნი დევდარიანი და ბ-ნი სუბარი) თავის ფუნქციას იმაში ეფარებ-ნ-დავენ, რომ კონკრეტული ადამიანი დაიცვან დაჩაგვრისგან სახელმწიფო აპარატის, სამართალდამცავი სისტემის, მაფიის, მოძალადე მეზობლის და ფულიანი მეტოქის მხრიდან (როგორც კარგი ექიმი ხედავს თავის ამოცანას იმაში, რომ კონკრეტული პაციენტი მოარჩინოს, და არა იმაში, რომ მეცნიერება წინ წაწიოს), არამედ იმაში, რომ საქართველო დააბეზღონ (როგორც წესი — ყალბად დაბეზღონ) მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, როგორც ამა და ამ თითქოსდა დემოკრატიული მცნების (თუნდაც ჯერ მხოლოდ პროექტის სახით ვიღაცის წარმოსახვაში მყოფის) არშემსრულებელი და დამრღვევი. კანონმდებლობაში ამ კარიკატურულ ვითარებას ვხედავთ ისეთ საპარლამენტო დოკუმენტთა ძიღების სახით, რომლებიც, თავისი ჟანრით, ქვეყნის რეალური მოქმედების ფუძემდებლური პრინციპების განმსაზღვრელნი უნდა იყონ, სინამდვილეში კი მხოლოდ რეალობას მოწყვეტილი სიტყვების რახარუხი არიან. ერთადერთი მიზანი ამ უბადრუკი დოკუმენტებისა ისაა, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ავტორები დემოკრატიულ დასავლეთში არსებული პრობლემებისა და ამოცანების კურსში არიან, იქაური მენტალური ცხოვრებით ცხოვრობენ, იმგვარადვე აზროვნებენ (თუმცა სინამდვილეში საერთოდ არ აზროვნებენ) და იქაური სულისკვეთების მატარებელნი არიან. ნიმუშად კმარა თუნდაც სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფცია — საქართველოს ამ მოწვევის პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე სასკანდალო დოკუმენტი, რომელიც ჩვენმა გაზეთმა კრიტიკულად განიხილა რამდენიმე თვის წინ და რომელიც იმ ანეკდოტს გვაგონებს თავისი შეუსაბამობით, მეგობარმა რომ თავის „ავტობიოგრაფიად“, რომელიც სამსახურში მისაღებად მოსთხოვეს, მეგობრის ავტობიოგრაფია გადაიწერა. ყველა ანალოგიური „კონცეფცია“, რომელსაც, ეჭვს გარეშე, საქართველოს დღევანდელი პარლამენტი მიიღებს, ამავე ღირსებისა და ამავე ხარისხისა იქნება. ასეთივე იქნება, უნდა ვივარაუდოთ (რადგან დღეს ეს ასეა), იმ აურაცხელი ენთუზიასტი ორგანიზაციების პროექტებიც, რომლებიც ცდილობენ ინიციატივა გამოიჩინონ და ხელისუფლებაში გავრცელებული სულისკვეთების ორი წვეთი წყალივით შესაბამისი პროექტები შექმნან.

ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს პროექტები საქართველოს შინაგანი პოლიტიკის იმ უმნიშვნელოვანესი

ბრაიან ჰოუ უკვე წლებია მჯდომარე პროტესტს უცხადებს ერაყის ომს ინგლისის პარლამენტის წინ. ბლეირმა აკრძალა პროტესტები პარლამენტიდან 1 კმ-ის რადიუსში. მაია ეგანი დამნაშავედ ცნეს ერაყში დალუპულ ბრიტანელთა გვარების ხმამაღლა კითხვისათვის ამ ტერიტორიაზე. მაგრამ სასამართლომ ჰოუსთვის გამონაკლისი დაუშვა, რადგან მან თავისი აქცია აკრძალვამდე დაიწყო. (New Statesman)

და უფაქიზესი სფეროსათვის, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 28%-ის (1989 წლის აღწერით) — საქართველოში მცხოვრებელი ეროვნებით არაქართველი პირების მრავალმხრივი ინდივიდუალური და კოლექტიური, მათ შორის, აგრეთვე, ეროვნული და ეროვნულ-კულტურული ინტერესების დაკმაყოფილებას ეხება. საქართველოს ხელისუფლებისათვის რომ ცნობილია მისი „მოვალეობა“ მსოფლიოს აზრის წინაშე, სათანადო პოლიტიკის პრინციპები ჩამოყალიბებული ჰქონდეს, იქიდან ჩანს, რომ პარლამენტში სათანადო კანონპროექტი შევიდა. ხოლო ის, რომ თავის ამ მოვალეობას იგი არანაირად არ აკავშირებს საქართველოს რეალური ვითარების კანონმდებლობითი დარეგულირების ამოცანასთან, იქიდან ჩანს, რომ საქართველო შეუერთდა ევროსაბჭოს ორ დოკუმენტს — „ქარტიას რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“ და „ჩარჩო-კონცეფციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ — ისე, რომ აზრადაც არ მოუვიდა გაეაზრებინა, რას ნიშნავს იქ გამოყენებული სიტყვები (ტერმინები) და რა კავშირი აქვთ მათ ქართულ (თუმცა არა ევროპულ) ვითარებასთან. ხსენებულ ორ დოკუმენტს აქვთ რეალური ამოცანები ამ სფეროში, ისევე როგორც ახლავს რეალური საშიშროებები, რომელიც ჩვენ ამ სფეროში გველის ნაკლებ ინფორმირებული მეგობარი ძალების ან ინფორმირებული მტრული ძალების მოქმედების შედეგად. არც ეს ამოცანები, არც ეს საშიშროებები დღემდე არა თუ გააზრებული, შემჩნეულიც არ არის არც ხელისუფლების მიერ, არც იმ პარლამენტგარე პროექტანტთა მიერ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის პროფ. ტარიელ ფუტკარაძის, სპეციალობით ლინგვისტის ფრიად და ფრიად საგულისხმო წერილი, რომელიც ეძღვნება ევროსაბჭოს ხსენებულ დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის არასწორ ან არასრულ გაგებას, რომელიც მოსალოდნელია საქართველოში ამ დოკუმენტის რეალიზაციის პროცესში. ეს ტერმინებია: ეროვნული უმცირესობა, ეთნიკური ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობა, ეთნიკური უმცირესობის ენა, ტერიტორიის არმქონე ენა, დიალექტი, სახელმწიფო ენა, დედაენა. მათი მნიშვნელობის მკაფიო განსაზღვრის გარეშე საქართველოს ზემოხსენებულ არაინფორმირებულ მეგობარსაც და ინფორმირებულ მტერსაც შეუძლია ჩვენს სახელმწიფოს სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს ორი მიმართულებით. **პირველი.** მას შეუძლია მოგვთხოვოს („გვირჩიოს“), რომ ეროვნულ უმცირესობებად ჩავთვალოთ ყველა მართლაც უცხოენოვანი პირი, ვინც ამა თუ იმ მიზეზით საქართველოში იმყოფება, და მას მივანიჭოთ მოცემული გეოგრაფიული სივრცისათვის თავისი სახის მიცემის უფლება (ფირნიშების გამოკვრა, საქმის წარმოება თავის ენაზე და ა.შ.). ანუ მას შეუძლია ჩვენი ქვეყნის სახის განმსაზღვრელად თავს მოგვახვიოს სხვა ეროვნების (ეთნოსის) ნაწილი, რომელსაც (ამ ეთნოსს) თავისი სრული თვითრეალიზაციის ასპარეზი საკუთარი სახელმწიფოს სახით სხვაგან აქვს, თვითონ კი მხოლოდ იმ თავისი ქვეყნიდან ამა და ამ დროს გამოსულ ჯგუფს (დიასპორას) წარმოადგენს. **მეორე.** მას შეუძლია ასევე „გვირჩიოს“, რომ „უმწერლობო ენებად“ ჩავთვალოთ ყველა ის ენობრივი ერთეულები, რომლებსაც დღეს იყენებს თავის ურთიერთობაში ქართველი ერი თავისი ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის პარალელურად, და ვიზრუნოთ სახელმწიფოებრივად, რათა ეს „უმწერლობო ენები“ თანდათანობით გადავაქციოთ ახალ სალიტერატურო ენებად, რათა ამით დღეს არსებული სალიტერატურო ქართულის, რომელზეც ქართველმა ერმა დღემდე შექმნა თავისი ლიტერატურა და თავისი ერთიანი სახელმწიფოებრიობა, ეს გამაერთიანებელი ფუნქცია გავაუქმოთ. ეს „რჩევა“ რომ არ მოხდეს, ხოლო თუ მოხდება, უარით გასტუმრებულ იქნას, ამისათვის საქართველოს ხელისუფლებას გააზრებული უნდა ჰქონდეს ენობრივ, ეროვნულ და მოქალაქეობრივ ურთიერთობათა მთელი სისტემა, რომელიც საქართველოში არსებობს, სამართლიანია, სიცოცხლისუნარიანია, სახელმწიფოებრივად აუცილებელია და კულტურულად პერსპექტიულია. სახელდობრ, მას გააზრებული უნდა ჰქონდეს (მან უნდა იცოდეს) შემდეგი:

— ენა არ არის მხოლოდ ურთიერთობის საშუალება და აზროვნების იარაღი. იგი ამავე დროს არის ნიშანი და სიმბოლო ერისა. „ჩვენი“ სალიტერატურო ენა, რომელიც „ჩვენ“ ყველას გვაქვს და „სხვას“ არავის აქვს თავის დედაენად, ჩვენი ერად ყოფნის (და არა ადამიანთა შემთხვევით ჯგუფად ყოფნის) განმასახიერებელია.

— ერის მთლიანობას ქმნის არა შინაგანი ერთგვაროვნება (გაუდიფერენცირებლობა), არამედ ერთობლივი მიმართება დანარჩენ კაცობრიობასთან — სხვა ერებთან და კაცობრიობასთან მის მთლიანობაში, როგორც ასეთთან. ქართველების შინაგანი მრავალგვარობა (ლინგვისტური მრავალგვარობის ჩათვლით) მათი სიმდიდრეა და არა მათი სისუსტე, როგორც ერისა. „ერის ერთობლივი მიმართება დანარჩენ კაცობრიობასთან“ იმას ნიშნავს, რომ ეს ერი ერთობლივად ქმნის თავის საზოგადოებას, ცხოვრების წესს, ტრადიციას, კულტურას, ერთობლივად „ჭიდაობს“ საპატიო ადგილისათვის კაცობრიობის მთლიან სისტემაში და ა.შ. ეს ჭიდაობა რომ რეალურად გამაერთიანებელი ძალა იყოს, იგი, დროდადრო მაინც, მოგებით უნდა გვირგვინდებოდეს. ქართველ ერს ასეთ მოგებათა და სუფთად მოგებათა დიდი ფონდი აქვს დაგროვილი (სხვათა შორის, ქართველი ერი თითქმის ერთადერთი მცირე ერია, რომელმაც დიდი ლიტერატურა შექმნა).

— ერი იმიტომ რჩება თავისი სალიტერატურო და სახელმწიფო ენის ჩარჩოში (და არ ცდილობს, ერთის მაგიერ რამდენიმე სალიტერატურო და სახელმწიფო ენა გამოიმუშაოს), რომ მას უნდა **ერად** (ანუ საკაცობრიო ასპარეზზე ჭიდაობისუნარიან სუბიექტად, და არა ადამიანთა უბრალო სიმრავლედ) ყოფნა, ანუ წარმატებული და სამომავლო პერსპექტივის მქონე ჭიდაობა (მოგებებითა და სუფთა მოგებებითურთ) ღირსეული ადგილისათვის კაცობრიობის სისტემაში. თუ მას ეს არ უნდა, მაშინ იგი არც იქნება ერთად (დაიშლება) განურჩევლად იმისა, რამდენად ოგივეობრივნი არიან მისი ნაწილები ენობრივად, კულტურულად, ყოფითად და ა.შ.. უკრაინულსა და რუსულს შორის ძალიან მცირე სხვაობაა გრამატიკით, ლექსიკით და ბგერითი შემადგენლობით, მაგრამ უკრაინული ენა და რუსული ენა ორი სხვადასხვა სალიტერატურო და სახელმწიფო ენაა, რადგან უკრაინელები და რუსები ცალცალკე ხალხები არიან, მათ, თავისი ზომიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, კაცობრიობის მთლიან სისტემაში საპატიო ადგილისათვის ცალცალკე ჭიდაობა უნდათ.

— სახელმწიფო ენის სტატუსი იმას კი არ ნიშნავს, რომ მოქალაქე ვალდებულია იცოდეს (ან, მით უმეტეს, „კარგად იცოდეს“) ეს ენა, არამედ იმას, რომ სახელმწიფოც და ყველა სხვა სუბიექტიც, რომელსაც საჯარო ინფორმაციის გაცემა სჭირდება, მოქალაქეს ამ ენით ელაპარაკება, და რომ მოქალაქეს არა აქვს უფლება ეს ინფორმაცია უგულებელყოს მისი ენის არცოდნის საბაბით (მაგალითად, საფრანგეთში განაცხადოს, „ფრანგული არ ვიცი და ამიტომ ფრანგულ წარწერას „შესვლა აკრძალულია“ უგულებელვყოფ“). შესაბამისად, ყოველგვარი საჯარო შეტყობინება მოსახლეობისათვის (ფირნიში და სხვა), ისევე როგორც ყოველი საჯარო ფუნქციის აღსრულება სხვა ენაზე, გარდა სახელმწიფო ენისა, აქვეითებს სახელმწიფო ენის ამ ფუნქციას და უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ფირნიშების და რომელიმე სხვა ინფორმაციის გამოტანის უფლება საჯარო სივრცეში დასაშვებია მხოლოდ მოცემული ენის ამა და ამ სტატუსის აღიარებულობის შემთხვევაში, და არა ყოველთვის. „სახელმწიფო ენის“ ცნება და სახელმწიფო ენის ინსტიტუტი მუშაობს და ქმედითია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს იმის უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა შესწევს, აღიაროს საკუთარ თავთან და სხვებთან: „ეს ტერიტორია, როგორც დედამიწის ნაწილი, ამ ერის, როგორც კაცობრიობის ნაწილის, ქვეყანაა. აქ მაცხოვრებელი ყველა ყველაფრით თანასწორია, მაგრამ სახელმწიფოს მიზანთა ჩამონათვალშია **ამ** სახელმწიფოს, როგორც **ამ** სახელმწიფო ენით მაცხოვრებელი სახელმწიფოს, მარადიულყოფა, და არა როგორც სხვა რომელიმე სახელმწიფო ენით მაცხოვრებლისა“.

საქართველოს ხელისუფლებას ეს, როგორც იტყვიან, საანბანო გარემოებები გააზრებული არა აქვს. მაგრამ ამ თემის გააზრების გარეშე სახელმწიფოებრივი არსებობა შეუძლებელია.

სამწუხაროდ, ანალოგიურ პრინციპულ საკითხთა გააზრებით არც ხელისუფლების გარეთ წარმოშობილი იმ ზემოხსენებული ტიპის პროექტები ხასიათდება, რომლებიც, ხელისუფლებასავით, საქართველოს ცხოვრებას წარმართვას უცხო ნაბიჯთა კოპირებით, მაგრამ საქართველოს ვითარებაში ჩაუხედავად ფიქრობენ.

ჩვენ წინაშეა არაერთი ასეთი პროექტი, რომელთა სათაურშიც „ეროვნულ უმცირესობათა დაცვისა და ინტეგრაციის პოლიტიკა“ ფიგურირებს. მკითხველს მივაწვდით ხოლმე მათ ჩვენი შენიშვნებით იმის საილუსტრაციოდ, როგორია დღეს ჩვენს ქვეყანაში ამ და ამის ანალოგიურ ძირეულ პრობლემებზე აზროვნების დონე, ერთის მხრივ, და როგორი უნდა იყოს იგი (როგორც მინიმუმი), მეორეს მხრივ. მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს ის, თუ რა ხარისხის იურიდიული და პოლიტიკური „იარაღით“ ფიქრობს არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ საზოგადოებაც, თავისი პოლიტიზირებული ნაწილის ერთი ნაწილის სახით, გამკლავებას იმგვარ შემოტევებთან ჩვენს სახელმწიფოზე, როგორიც მასზე დღეს მსოფლიოს უდიდესი ძალების მხრიდან წარმოებს. მკითხველმა უნდა შეიმუშაოს ან აირჩიოს თავისი პოზიცია ამის თაობაზე, თუ რა იარაღი უნდა იქნას გამოყენებული ამ ბრძოლაში.

რედკოლეგია

ვინ და როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში

რედაქციისაგან. ეს სათაური აქვს თვითმხილველის მოგონებას, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. როგორ და ვის მიერ იქნა ორგანიზებული და ვისი ხელით იქნა განხორციელებული რუსეთის ეს, საუბედურო, ძალიან წარმატებული აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, ყველასთვის თუ არა, ძალიან ბევრისთვის მაინც ცნობილია. მაგრამ ეს ცოდნა სრული და პირდაპირი სახით ჯერ არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ გამოთქმულა. რატომ? იმიტომ, რომ აფხაზეთის ომის ფაქტის გამომძიებელ საპარლამენტო კომისიას, რომელიც შეიქმნა საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის (12.X.1992) პირველსავე შეკრებაზე (თავმჯდომარე – დეპუტატი ნ.ჭავჭავაძე) მუშაობის საშუალება არ მიეცა. გამომძიებელი, რომელსაც თავისი საქმე გულმოდგინედ, პირუთვნელად და ენერგიულად მიჰყავდა წინ (გივი ეხვაია), მოულოდნელად გარდაიცვალა ორმოცდახუთიოდე წლის ასაკში, ხოლო მისი შემცვლელი ალექსანდრე შუშანაშვილი (საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრი), რომელიც ასევე მყარი გადაწყვეტილებით მუშაობდა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა, ცოტა ხნის შემდეგ აგრეთვე გარდაიცვალა – საღ-სალამათი კაცი, – სამოციოდე წლის ასაკში. პირი, რომელსაც ამის შემდეგ მიენდო გამოძიების ხელმძღვანელობა – ანზორ ბალუაშვილი, ყოფილი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი კომუნისტების დროს – არც თავისი ორიენტაციით, არც თავისი პირადი თვისებებით არ იყო ის, ვისაც ამ გამოძიების ადეკვატურად ჩატარება შეეძლო. ომის დაწყების ისტორიაზე, ცხადია, მდიდარი მასალა მოეპოვება აფხაზეთის კანონიერ უზენაეს საბჭოს, რომელსაც სულ ბოლო დრომდე (თავის გარდაცვალებამდე) ხელმძღვანელობდა თამაზ ნადარეიშვილი, მაგრამ ეს ორგანო ფაქტობრივად არ იყო ისეთი რეალური ძალით აღჭურვილი, რომ მისგან მომხდარიყო ამ ომის ერთ-ერთი ორგანიზატორისათვის მაინც – ედუარდ შევარდნაძისათვის – ხელის დადება. ფართოდ გავრცელებული ცოდნა ამ დანაშაულის შესახებ, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ომის ორგანიზება მოხდა მოსკოვის სცენარის მიხედვით ერთობლივად შევარდნაძის ხროვისა და არძინბას ხროვის მიერ, ხოლო მისი წინასწარგანზრახული წაგება ქართული სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ იმავე მოსკოვის სცენარის შესაბამისად მოხდა შევარდნაძის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მის შეიარაღებულ ძალთა „მთავარსარდლის“ და მისი ხროვის მიზანმიმართული მოღალატური მოქმედების შედეგად მოწინააღმდეგის სასარგებლოდ. ამ ომის ორგანიზების სტრატეგიის (ამჯერად ჩვენ მხოლოდ იგი გვაინტერესებს და არა ომის შემდგომი მიმდინარეობა) ერთ-ერთი ობიექტური ფორმულირება მრავალ შესაძლოთა შორის (და, რამდენადაც ვიცით, დღესდღეისობით ერთადერთი ოფიციალურად გამოქვეყნებული სტამბური წესით) ჩვენ ხელთ გვაქვს ნ.ნათაძის (1992 წლის შემოდგომიდან 1995 წლის შემოდგომამდე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარის) წიგნში „რაც ვიცი“ (1992), სადაც იგი გადმოცემულია შემდეგნაირად:

„აფხაზეთის ომის დაწყებისა და ღალატით წაგების ისტორიის ძირითადი ნიშან-სვეტები შემდეგია: ჯერ, როგორც ვთქვი უკვე, აფხაზეთში მატარებლები იძარცვებოდა, პარალელურად არძინბას უკანონო გვარდია იქმნებოდა და პარალელურად სამეგრელოს რაიონების მიზანმიმართული და ღია დარბევა-გაძარცვა ხდებოდა. ფეთქდებოდა რკინიგზის ხიდები, შემდეგ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ე.ი. აფხაზეთის პირველ ხელისუფალთან არძინბასთან შეთანხმებით (რასაც მრავალი მოწმის ბეჭდური ჩვენება მოწმობს), მოხდა შეიარაღებული ძალების შეყვანა რკინიგზის დასაცავად ორი მიმართულებით: ზუგდიდიდან რკინიგზის გაყოლებით და გაგრაში საზღვაო დესანტის სახით. ამ სავსებით კანონიერ ნაბიჯს არძინბამ არაადეკვატური რეაქცია მისცა.: თავისი უკანონო შეიარაღებული ძალით – „გვარდიით“ – სოხუმიდან ათონისკენ გავიდა, რითაც ორი შეიარაღებული ძალის ფიზიკური დაპირისპირებულობის ვითარება შექმნა. შევარდნაძემ ამაზე არ ირეაგირა და სწორედ ეს გახლავთ იმის საბუთი, რომ ომის ორგანიზება ამ ორის ერთობლივი ღონისძიება იყო. მან ეს ფუნდამენტური ფაქტი არ შეიმჩნია (იმის ნაცვლად, რომ მაქსიმალურად ხმამაღალი განგაში აეტეხა) და თავისი ამ ღიად მოღალატური ქმედების გასამართლებლად თავის არსენალში ის ქვაკუთხედი „არგუმენტი“ მოიმზადა (და შემდეგ გამოიყენა), თითქოს ამ დროს ჯარის გადაადგილებას მის ნაცვლად საკუთარი ნებით განსაზღვრავდა... თავდაცვის „მინისტრი“ კიტოვანი. როგორც მოსალოდნელი და გარდუვალი იყო, ორ დაპირისპირებულ ჯარს შორის ძალიან მალე ტყვია გავარდა (ჯერ კიდევ სოხუმში მისვლამდე) და პოტენციური ომი ნამდვილ ომად გადაიქცა.

„სოხუმში ჯარი გაჩერდა (წინსვლის ნაცვლად), რადგან მილიციამ ქალაქი დატოვა (იგი გამოიყვანეს) თითქოსდა იმ საბაბით, რომ მისთვის საყვარელი მეთაური გვენცაძე „ტყვეობიდან“ (ქართველთა ტყვეობიდან!) გამოვიდა და მისი მოლოცვა მოინდომეს! შედეგი: გვარდია იძულებული გახდა ქალაქის სათვალყურეოდ გაჩერებულიყო და თავისი სუსტი სიმისათვის ძალიან სახიფათო ცდუნების – მარადიორობის ცდუნების - წინაშე დამდგარიყო.

„კიდევ დეტალს მოგახსენებთ. სოხუმისკენ მოძრაობისას ლოთი ქობალიამ (რომელსაც, როგორც გვახსოვს, თავისი „გვარდიადვე“ წოდებული შეიარაღებული ძალა ჰყავდა), შესთავაზა გვარდიას ყარყარაშვილის სახით: „ჩვენ წინ წავალთ, გვიცნობენ კიდეც და ალბათ არ გვესვრიან, თქვენ კი ზურგში მოგვყევითო“. ყარყარაშვილმა უარი უთხრა. მოწმეა ე. ჩხაიძე, რომელიც გვარდიაში იყო და რომელსაც ეს მოწმობა გამოქვეყნებული აქვს.

„ფრონტის ხაზი გუმისტაზე გაჩერდა. წინ იყო ეშერის მიწისქვეშა ლაბორატორია (გუმისტის გაღმა) და რამდენჯერაც ქართველი ჯარისკაცები საიერიშოდ მიუახლოვდნენ, იმდენჯერ დაბალ სიმაღლეზე „მიგმა“ გადაუფრინა და ცეცხლი გაუხსნა. არავითარი გაჯერებული, მთლიანი ფრონტით შეტევა არ იყო. იყო მცდელობა წინ წასვლისა, – მხოლოდ აჩადარასა და ზღვას შორის, მაგრამ არა ზემოთ, სადაც მთა იყო – მაგრამ მსხვერპლიანი და უშედეგო. სოხუმელისგან მქონდა ცნობა, რომ შუბარაზე (სოფელია) ტყის გზა თავისუფალია და დაუნაღმავია, ასე რომ შეიძლებოდა გუმისტაზე არსებული ფრონტის გვერდის ავლით მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა დაახლოებით ახალ ათონთან. ვუთხარი, ვისაც ჯერ-არს, მაგრამ უარყო. „დანაღმულიაო“. სინამდვილეში დანაღმული არ იყო.

„შტაბში მუდამ ტელევიზორი იყო ჩართული გასართობი პროგრამით. შედიოდა-გამოდიოდა, ვისაც ჰსურდა. ხშირ-ხშირად რეკავდა შევარდნაძე, რომელიც, რასაკვირველია, ყველას მიერ აღიარებული მთავარსარდალი იყო (მერე მის მიერ შეთხზული ვერსია, „უჩემოდ მოქმედებდნენო“, რასაკვირველია, ტყუილია).

„გუდაუთისკენ წინსვლის მცდელობა არ იყო, არც ტყვარჩელის დაკავებისა, რაც პრობლემას არ წარმოადგენდა. ითვლებოდა, რომ ეს შევარდნაძისა და ელცინის მოლაპარაკების შედეგია, რომელმაც შევარდნაძეს, – ე.ი. მოწინააღმდეგეს – წინსვლა აუკრძალა“.

თვითმხილველის მოგონება, რომელსაც ვაქვეყნებთ, მომხდარი პროვოკაციის სწორედ ცენტრალურ მომენტს – „ტყვიის გავარდნას“ – ეხება. ავტორი არის ადგილობრივი მაცხოვრებელი და ობიექტის თანამშრომელი, სამხედრო კვალიფიკაციის მქონე პიროვნება. მაგრამ მის გარდა ჩატარებული ოპერაციის მოწმენი არიან ყველა ისინი, ვის თვალთა წინაშეც ეს ფაქტობრივად საჯარო (მაგრამ დღეს ოფიციალური ორგანოების მიერ დამალული) პროვოკაცია გაიშალა.

ვინ და როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში

იმისათვის, რომ გაეცეს ცალსახა პასუხი სათაურშივე დასმულ ორ კითხვას, ჩემის ღრმა რწმენით, გასაკეთებელია ძალზე მნიშვნელოვანი საქმე: საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან ოფიციალურ დონეზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიასა და რუსეთის საქართველოში ორასწლოვან კოლონიალურ ბატონობას მიეცეს ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი და შეფასება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.

ყოველთვის მაწუხებდა ღირსების შელახული გრძნობა იმ გარემოებისა გამო, რომ ჩემი მშობელი ერი, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურას ზიარებული ერი მოკლებული იყო თავის სახელმწიფოებრიობასა და დამოუკიდებლობას.

მაწუხებდა ღირსების შელახული გრძნობა იმის გამო, რომ რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის კოლონიალური რეჟიმის ორასწლოვან ბატონობას საქართველოში ბოლო არ უჩანდა.

აქედან გამიჩნდა სურვილი მეფიქრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის პოლიტიკურ ანალიზზე და შეფასებებზე.

80-იანი წლების მოვლენების ფონზე ამ ანალიზმა და შეფასებებმა მკაფიოდ გამოკვეთილი ფორმები მიიღო. აქედან გამომდინარე დასკვნები ცალსახა იყო. ეს დასკვნები მე ჩამოყალიბებული მაქვს შემდეგი სახით: საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის უბოროტესი მტერი არის რუსეთის თვითმპყრობელური იმპერია.

დღეს საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და დამოუკიდებლობას ყველაზე დიდი საშიშროება მოელის რუსეთის პოსტსაბჭოთა პერიოდის ცივი ომის პირწმინდად წაგებით ღირსებაშელახული იმპერიისაგან. ამ სახელმწიფოს ხელისუფალნი ვერანაირად ვერ ურიგდებიან იმ გარემოებას, რომ საქართველო გახდა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო და საქართველოს ხელისუფლება არ ინიშნება მოსკოვში, კრემლის ურდოს ნებითა და გადაწყვეტილებებით.

საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღდგენა კრემლის ურდოში სამხრეთის მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვან აუნაზღაურებელ ტერიტორიულ და სამხედრო-სტრატეგიულ (პოზიციების) დაკარგვად მიიჩნევა.

ამ წარმოდგენაში ქართველი ერის ნებას, რომ გააჩნდეს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო, არანაირი ადგილი არ მოეპოვება, რადგან ქართველი ერი, მისი აზრით, მხოლოდ „მოსახლეობას“ წარმოადგენს და იმპერიის სამსახურში უნდა იყოს.

საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წუთებიდან, პირველივე დღიდან მიმდინარეობს მცდელობები საქართველოში დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის. ამისათვის რუსეთში დღეს კეთდება ყველაფერი გარკვეული გეგმით, რომლის განხორციელებისათვის მოქმედებაში მოყვანილია სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის მდიდარი არსენალიდან ისეთი საშუალებები, როგორიც არის: ეთნოკონფლიქტების გაღვივება, პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსპირირება და მართვა, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, ძალის პოზიციიდან და ძალის გამოყენების მუქარა, სამხედრო ბაზების არგაყვანის, ან მისი დიდი ხნით გაჭიანურების მცდელობები უსაფუძვლო არგუმენაციებით, აფსუათა და ოსთა ტერორისტულ-კრიმინალური რეჟიმების მხარდაჭერა და მფარველობა ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაციის, ფაქტიურად კი – კოლონიალური ომის წარმოებისა და რუსეთსა და მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ცრუ ბრძოლის ფონზე.

მე არ მაქვს არანაირი პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ჩემი დასკვნები და ანალიზი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან გამომდინარე, არის ორიგინალური. ამით მე მხოლოდ ვადასტურებ იმას, რომ ჩემი ნააზრევი ემთხვევა, ან ეთანხმება ქართულ საზოგადოებაში იმ თვალგახელილთა პოზიციებს, რომლებიც ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგანან ფხიზლად და ამ სადარაჯოდან უკიჟინებენ ხელისუფლებაში მყოფ ბრმათა ნაწილს იმაზე, თუ საიდან მოელის საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და დამოუკიდებლობას ყველაზე მეტი საშიშროება და საფრთხე.

არანაირ შემთხვევაში არავის არ უნდა ავიწყდებოდეს საქართველოში ამ რეალობისა და სინამდვილის მნიშვნელობა.

ამიტომ კითხვაზე, თუ ვინ და როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს, ჩემს წარმოდგენაში არის მხოლოდ შემდეგი პასუხი: რუსეთის იმპერიამ, აფხაზეთში აფსუათა სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებითა და მოქმედებაში მოყვანით, აფსუათა ტერორისტული შეიარაღებული რაზმების, ჩრდილო კავკასიიდან „მოხალისეთა“ გამოყენებით, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად არ ირიცხებოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, მაგრამ იყვნენ ფაქტიურად და საომარ მოქმედებში მონაწილეობდნენ საზარბაზნე ხორცის როლში.

რუსეთის მიერ 1992 წლის 14 აგვისტოს განხორციელებული აგრესია აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ ატარებს იმ ნიშნებს, რომლებიც მოცემულია სამხედრო აგრესიის იურიდიულ-სამართლებრივ განმარტებაში, რომელიც მოცემულია რუსეთში ოფიციალურ სახელმძღვანელოდ გამოცემულ იურიდიულ ლექსიკონებსა და იურიდიულ ენციკლოპედიებში.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

მე-7 გვერდიდან

ამ განმარტებებში ცალსახად მოცემულია აგრესიის განხორციელება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ საკუთარი სამხედრო შეუიარაღებული ძალების საომარ მოქმედებაში ჩართვით (პირდაპირი აგრესია), და იმ შეიარაღებული ფორმირებების გამოყენებით, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად არ შედიან აგრესორის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში (არაპირდაპირი აგრესია).

1992 წლის 14 აგვისტოს აფსუათა ტერორისტულმა შეიარაღებულმა ერთ-ერთმა რაზმმა, რომელიც მხოლოდ ფორმალურად არ შედიოდა რუსეთის სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში, გულრიფშის რაიონში აგუძერის დასახლებაზე გამავალი თბილისის გზატკეცილის მონაკვეთზე ჯვარედინი ცეცხლი გაუხსნა ამ გზატკეცილზე მარშით მიმავალ (სოხუმის მიმართულებით) საქართველოს ეროვნული გვარდიისა და მილიციის ნაწილებს წინასწარ მომზადებული საფარებიდან (გზატკეცილის ორივე მხრიდან).

ძნელი გასაგები არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ აფსუათა მიერ ცეცხლის გახსნა და ამით ომის დაწყება ყოველგვარი ეჭვების გარეშე მიანიშნებს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაზე, რომლის იურიდიული განმარტება მე მოვიყვანე ზემოთ.

ამ განმარტების გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებისათვის, თუ მას აღმოაჩნდება ნება, მიიღოს გადაწყვეტილება რუსეთის მიერ 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს წინააღმდეგ განხორცილებულ აგრესიის აღიარების შესახებ.

ვფიქრობ, რომ იმსახურებს ყურადღებას, თუ რა გარემოებაში და რა უძღოდა წინ აფსუების მიერ აგუძერის დასახლებაში გასროლილ ტყვიებს.

როგორც ცნობილია, გულრიფშის რაიონის აგუძერის დასახლებაში განლაგებული იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი (II ნაწილი), გასაიდუმლოებული სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც საკავშირო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ამ დაწესებულებას, თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, სამხედრო დაცვა გააჩნდა. დაცვას წლების განმავლობაში ინსტიტუტის დაარსებიდან უზრუნველყოფდა სსრკ შინაგანი ჯარების სამხედრო საყარაულო სამსახურისათვის სპეციალურად მომზადებული დაახლოებით ორასკაციანი სამხედრო ნაწილი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა საკავშირო ხელისუფლებას მოსკოვში. დაცვა აღჭურვილი იყო სათანადო ტექნიკური საშუალებებით და შეიარაღებით, განლაგებული იყო სამხედრო წესდების მოთხოვნილებების დონეზე ახლად აშენებულ საყაზარმო კეთილმოწყობილ შენობაში. 1992 წლის დასაწყისში აგუძერაში განლაგებული სამეცნიერო დაწესებულებების დაცვის საქმეში პირველად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. სამხედრო და გასაიდუმლოებული ობიექტის დაცვისათვის სპეციალურად მომზადებული, სპეცდანიშნულების, უშუალოდ რუსეთის დაქვემდებარებაში (სსრკ სამართალმემკვიდრე) მყოფი სამხედრო ნაწილი ჩანაცვლებული იქნა ამ საქმისათვის სრულიად მოუმზადებელი აფსუათა ბატალიონის „ბოევიკებით". სამწუხაროდ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ამაზე ჯეროვანი რეაგირება არ მოუხდენია და ეს გარემოება არ მოქცეულა იმდროინდელი საქართველოს ხელისფლების ყურადღების არეში. მაგრამ ეს გარემოება არ დარჩათ ყურადღების გარეშე დაწესებულების ქართველ თანამშრომლებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ცხადი იყო, რომ ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო რუსეთის სპეცდანიშნულების სამხედრო ნაწილების ისტორიაში და ის შემთხვევით სახეს არ ატარებდა.

ის, ვინც გაცნობილია სსრკ სამხედრო წესდების შინაარსსა და დანიშნულებას, ადვილად დაასკვნის, რომ ბრძანება განხორციელებული ცვლილებების შესახებ გასაიდუმლოებული ობიექტის დაცვის უზრუნველყოფაში მოსკოვიდან მოდიოდა.

მოსალოდნელი პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით შეიქმნა ინიციატორთა ჯგუფი, რომელმაც მოამზადა ფაქტთან დაკავშირებული საპროტესტო განცხადება საყარაულო სამსახურისათვის ყოველად მოუმზადებელ აფსუათა შეიარაღებული რაზმის აგუძერის დასახლებიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ. შეგროვდა ხუთასამდე აგუძერის მცხოვრებთა ხელმოწერა.

ხელმომწერთა მოთხოვნით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც მიმდინარეობდა ვ.არძინბას თავმჯდომარეობით, განცხადება წაიკითხა დეპუტატმა რ. ქარაიამ, რასაც მოჰყვა თავმჯდომარის გაღიზიანებული და დაუყოვნებელი რეაგირება: გადაეცით პასუხისგებაში ხელმოწერის ინიციატორები (გამოქვეყნდა პრესაში).

აფსუათა კონტროლს დაქვემდებარებულმა უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო საპროტესტო განცხადება. მან მოთხოვნა აფსუათა შეიარაღებული რაზმის აგუძერადან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ დაუკმაყოფილებელი დატოვა.

საქართველოს ხელისუფლებამ არც ამის შემდეგ მოახდინა რაიმენაირი რეაგირება ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაშინ როცა ის ომის მოახლოების საგანგაშო ზარებს რეკავდა.

კითხვაზე პასუხი, თუ როგორ გახდა შესაძლებელი რუსეთის სპეცდანიშნულების სამხედრო ორასკაციანი ნაწილის აფსუათა შეიარაღებულ „ბოევიკებით" პროვოკაციული მიზნით ჩანაცვლება, ვ. არძინბას ხელმოწერით გამოქვეყნებულ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში იკითხება. ამ დადგენილებით გამოცხადებულ იქნა აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების ფაქტიურად აფხაზეთის ხელისუფლების ქვეშ დაქვემდებარება.

სამწუხაროდ, ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მისამართით პროტესტი არ გაუკეთებია და არ მიუცია შეფასება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უფლებებით ითვისებდა ვ. არძინბა რუსეთის სამხედრო ნაწილებისა და მილიციის ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინირებას. განა არ ჩანდა, რომ ვ. არძინბას მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურეობრივი უფლებების აშკარად გადაჭარბებასა და ბოროტად გამოყენებას?

ამ გარემოებამ ვ. არძინბას საშუალება მისცა მოეხდინა აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ნაწილების „კოორდინირება", კერძოდ, აგუძერაში სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის რუსეთის უშუალოდ დაქვემდებარებული სპეცდანიშნულების სამსახურთა ნაწილი ჩაენაცვლებინა აფსუათა შეიარაღებული „ბოევიკების" რაზმით.

ეს მომენტი ფართოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანია რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის მომზადების საქმეში. იგი ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ვ. არძინბამ თავისი დადგენილებით (1991 წ. 29 დეკემბერი) კრემლის ურდოს დავალება შეასრულა.

ომის დაწყებისათვის ადგილიც სამხედრო ტაქტიკის მოთხოვნილების გათვალისწინებითა და წესით იქნა შერჩეული. ეს უნდა მომხდარიყო ქართველებით ჭარბად დასახლებულ ტერიტორიაზე, მისგან გამომავალი შედეგების გათვალისწინებით.

დიდად სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ საქართველოს გვარდიის ნაწილებსა და მილიციის ქვედანაყოფებს არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ იმის შესახებ, რომ აგუძერის დასახლებაში იმყოფებოდნენ აფსუათა შეიარაღებული „ბოევიკები", რომელთაც უკვე ჰქონდათ მიღებული ბრძანება მოეხდინათ შეიარაღებული პროვოკაცია ქართველთა ჯარის წინააღმდეგ.

ამდენად, მოწინააღმდეგის ტაქტიკური ჩანაფიქრის შესახებ მათ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ.

მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შეიტყვეს ქართული სამხედრო ნაწილების მეთაურებმა იმის შესახებ, თუ ვინ გაუხსნა მათ ცეცხლი. სამწუხაროდ, აფსუათა წინაღმდეგობა დაძლეულ იქნა ოთხი ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლის ფასად, რომლებიც ადგილზევე გარდაიცვალნენ ჯავშანსატრანსპორტიორი მანქანის აფეთქების შედეგად. ოთხიც მძიმედ დაიჭრა.

ადგილზე მიღებული ინფორმაციის შედეგად ქართველმა მეომრებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს საყარაულო შენობას და მოწინააღმდეგეს იქ დაბრუნებისა და შემდგომი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მოუსპეს.

მხოლოდ ამის შემდეგ მიეცათ მათ სოხუმის მიმართულებით მარშის გაგრძელების საშუალება.

ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ აგუძერის ტერიტორიაზე გამავალი თბილისის გზატკეცილის მონაკვეთი, სამხედრო ტაქტიკის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, იდეალური ადგილი იყო. გზატკეცილის ერთ მხარეს სოხუმის მიმართულებით, მარცხნივ, ჩამწკრივებულია რამდენიმე ხუთსართულიანი სახლი, მეორე მხარეზე კი მანდარინის მარადმწვანე პლანტაციაა, რაც ითვალისწინებდა (მოულოდნელობის ფაქტორის გათვალისწინებით) მოწინააღმდეგისათვის მაქსიმალური დანაკარგის მიყენებას ცოცხალ ძალასა და ტექნიკაში.

ალბათ გათვალისწინებული იყო ისიც, რომ აგუძერის მოსახლეობის 60%-ზე მეტი რუსული იყო, ხოლო თვით აგუძერას ქართველების მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა ერტყა გარშემო.

იბადება კითხვა: შეეძლოთ თუ არა აფსუებს სხვაგან მოეწყოთ უფრო მძიმე შედეგიანი შეიარაღებული შეტაკება? ვფიქრობ, არა.

ვფიქრობ, რომ ქართულ სამხედრო ნაწილებს, თუ არა შეიარაღებული პროვოკაცია აგუძერას მიდამოებში, სოხუმში შეეძლოთ შესვლა ბრძოლების გარეშე და ომის დაწყების შესაძლებლობაც მინიმუმამდე დაყვანილი იყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

1992 წლის 14 აგვისტოს რუსეთის პოსტსაბჭოთა იმპერიამ მეორედ მე-20 საუკუნის განმავლობაში განახორციელა სამხედრო-შეიარაღებული აგრესია და თავისი მიზანი ნაწილობრივ შეისრულა: ოკუპაცია გაუკეთა აფხაზეთის ტერიტორიას, დაამყარა იქ საოკუპაციო რეჟიმი.

ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებანი მრავლად არსებობს. ვფიქრობ, ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი სამხედრო-შიარაღებული პროვოკაცია ამ ფაქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი შესწავლა სპეციალისტების საქმეა.

მე კი მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ თავიდან დასმულ კითხვას უშეცდომოდ ვუპასუხე.

მურმან ჯოჯუა
5.12.2005. თბილისი

წამოდგენილი მემუარის ავტორი (ფაქტობრივად — ჩვენების მიმცემი ჩადენილი აგრესიის მექანიზმების შესახებ), ბ-ნი ჯოჯუა, თუმცა, როგორც თვითონ წერს, არა აქვს პრეტენზია ორიგინალური კონცეფციის წარმოდგენისა მომხდარის იურიდიული მხარის შესახებ, არამედ ჰსურს მხოლოდ ცნობილი ფაქტების და არგუმენტების აღრიცხვა (ნაწილობრივი) და სისტემაში მოყვანა, ალაგებს (ასისტემატიზირებს) ამ არგუმენტთა ერთ ნაწილს, რათა განსაზღვროს მათს ერთიან სისტემაში მის მიერ ნაჩვენები ახალი ფაქტის — პირველი ტყვიის გავარდნის ზემოაღწერილი ეპიზოდის — ადგილი. ვაქვეყნებთ მის ამ მსჯელობასაც.

საკითხის სამართლებრივი მხარე

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ოკუპაციისგან გათავისუფლება საქართველოს ხელისუფლების უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიცხვს განეკუთვნება. ნათქვამი ცალსახად ეხება სამაჩაბლოს ოკუპაციისაგან გათავისუფლების საქმესაც.

ამოცანის ამ სახით დასმა უშუალოდ გამომდინარეობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის გააზრებისა და ანალიზიდან და არ წარმოადგენს ვისიმე ფანტაზიის ან სუბიექტური აზროვნების ნაყოფს.

ამოცანის ამ სახით დასმა უშუალოდ გამომდინარეობს საქართველოს მიმართ რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკიდან, რასაც ის ახორციელებდა წარსულში. იგი დღესაც ავადმყოფური სიძულვილის ნიშნებით აგრძელებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობის (პროგრამა მაქსიმუმი) ან საქართველოში მარიონეტული ხელისუფლების მუდმივად დანიშვნის მხრით (პროგრამა მინიმუმი).

რუსეთის იმპერიის ურთიერთობიდან საქართველოსთან, ამ ურთიერთობების სამართლებრივი ანალიზისა და შეფასებიდან გამომდინარეობს მხოლოდ ერთი დასკვნა: რუსეთის იმპერია თავისი თვითმპყრობელური მიზნებისაკენ სწრაფვით არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უპირველესი და უბოროტესი მტერი.

დღეს სწორედ რუსეთიდან მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ და როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში?

ლის საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას ყველაზე მეტი საფრთხე. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა რუსეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში დღესაც შეფასებულია როგორც ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ტერიტორიისა და პოზიციის დაკარგვა.

რუსეთში მიჩნეულია, რომ საქართველოში და მთლიანად კავკასიაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ რუსეთის იმპერიის ინტერესები. აქედან გამომდინარე, რუსეთის აზრით, დაუშვებელია საქართველოს ცალკე სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობა, მით უმეტეს – ანგარიშგაწევა საქართველოს ტერიტორიაზე. მიჩნეულია, რომ უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ტერიტორიის (საქართველოს) დაკარგვა არის დროებითი მოვლენა და ამ ტერიტორიის დაბრუნება (მაქსიმუმი) ან მასზე ზეგავლენის აღდგენა (მინიმუმი) რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

მიჩნეულია, რომ ქართველი ერი არ ატარებს ერთიანი ეროვნულობის ნიშნებს და აუცილებელი არ არის, რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი ეროვნული ინტერესები დაიცვას საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის საფუძველზე და მისი მეშვეობით.

მიჩნეულია, რომ ქართველი ერი არის მხოლოდ არარუსი ეროვნების მოსახლეობა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი უფლება: ემსახუროს მთელი თავისი არსებობით რუსეთის თვითმპყრობელურ იმპერიას. ამ შემთხვევაში ის, ისევე როგორც საბჭოთა პერიოდში, ისევ დაიმსახურებს „ბრატსკი ნაროდის“ სტატუსს.

საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების ამოცანა არ შედის რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებში. 200 წლის განმავლობაში ასეთ სახელმწიფოსთან მეზობლობა არ არსებობდა და მისი არსებობა, რუსული თვალსაზრისით, არც შემდგომ პერიოდშია მიზანშეწონილი.

არ უნდა იყოს სადავო იმ მცდელობათა სინამდვილეში არსებობა, რასაც რუსეთი მიმართავს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის დამხობის მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად ის მოქმედებს პირდაპირ ან არაპირდაპირ ან ორივე საშუალებით ერთად, საკუთარი ძალებით ან სხვისი ხელებით, ან ორივეთი ერთად. ორსავე შემთხვევაში აგრესიის შესანიღბავად ხშირად გამოიყენება ხმარებისაგან ძალზე გაცვეთილი ნიღაბი: „ინტერნაციონალური მოვალეობის“ გრძნობის გამოვლინება. არ არის გამორიცხული, რომ ამ „ინტერნაციონალური მოვალეობით“ შეწუხებულებმა მოისურვონ, რომ მისი მოხდის მიზნით აღმოგვიჩინონ „დახმარება“ იგორ გიორგაძის ან მისი მსგავსის პრეზიდენტად „არჩევაში“. არ მაქვს არანაირი პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოთ წარმოვადგინე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ანალიზისა და შეფასების სრულყოფილი სურათი. ამის გაკეთება მრავალმხრივი დარგის სპეციალისტების საქმეა. სამწუხაროდ, დღემდე საქართველოს ხელისუფლებას არ მიუღია გადაწყვეტილება, რომ ჩატარდეს ასეთი ანალიზი, შეფასება და გაკეთდეს დასკვნები, რომელიც საფუძვლად დაედებოდა აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში თანამიმდევრულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, – პოლიტიკას, რომელიც დაისახავდა ამოცანად არა ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის „მოგვარებასა“ და დევნილთა დაბრუნებას აფხაზეთში საოკუპაციო და ტერორისტული რეჟიმების არსებობის პირობებში (დაუსრულებელი და უნაყოფო „მოლაპარაკებების“ მშვიდობიანი გზით), არამედ სინამდვილეში არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით აფხაზეთის რუსეთის ოკუპაციისაგან გათავისუფლებას.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია საკმარისი და აუცილებელი მასალები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ:

– 1992 წლის 14 აგვისტოს რუსეთის იმპერიამ, მეზობელმა სახელმწიფომ სუვერენული სახელმწიფოს საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა შეიარაღებული სამხედრო აგრესია (ერთდროულად ორივე სახის – პირდაპირი და არაპირდაპირი აგრესია) და მრავალჯერადი სამხედრო უპირატესობის გამოყენებით წარმოებული 14 თვიანი საომარი მოქმედებების შემდეგ და შედეგად აიძულა საქართველოს ხელისუფლება დაეტოვებინა მისი ისტორიულად კუთვნილი ძირძველი ტერიტორია აფხაზეთი, რის შემდეგაც მოახდინა მისი ოკუპაცია.

– განხორციელებული აგრესიისა და მის შემდგომ ომის მსვლელობაში, აგრეთვე ოკუპაციის ჩასატარებლად რუსეთმა გამოიყენა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფსუათა და ჩრდ. კავკასიიდან ორგანიზებული წესით ჩამოყვანილთა (რუსეთის მოქალაქეთა), რუსეთის იარაღით შეიარაღებული უკანონო ტერორისტული რაზმები და ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად არ შედიოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების საშტატო შემადგენლობაში და რომლებიც საომარ მოქმედებებში გამოიყენებოდნენ, როგორც საზარბაზნე ხორცი.

რუსეთის მიერ 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია, როგორც ვთქვით, მოიცავს ყველა იმ ნიშნებს, რომლებითაც განისაზღვრება სამხედრო აგრესიის ცნება არა მარტო საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით, არამედ საკუთრივ რუსეთში მოქმედ ოფიციალური იურიდიული განმარტებათა მიხედვითაც (დიდი იურიდიული ლექსიკონი, ენციკლოპედიური იურიდიული ლექსიკონი და სხვა).

ეს განმარტებები ითვალისწინებს სამხედრო-შეიარაღებული აგრესიის განხორციელების ორ ფორმას (სახეს):

1. პირდაპირი აგრესია, როცა აგრესორი სახელმწიფო-მსხვერპლის წინააღმდეგ ახორციელებს დაუფარავ აგრესიასა და აწარმოებს საომარ მოქმედებებს დასახული მიზნის მისაღწევად საკუთარი შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

2. არაპირდაპირი აგრესია, როცა იგივე მიზნის მისაღწევად და ამ აგრესიის შენიღბვის მიზნით აგრესორი სახელმწიფო მსხვერპლის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში იყენებს სხვა შეიარაღებულ რაზმებსა და ჯგუფებს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1992 წლის 14 აგვისტოს აგრესია გულმოდგინედ შენიღბულია ე.წ. „ქართულ-აფხაზური“ შეიარაღებული კონფლიქტის ძალზე გამჭვირვალე ნიღბით (სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების იძულებითი დასტურით), არსებობს ამ აგრესიის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი რეალობაში, რომელთაც სამართლებრივი ნორმებით აღიარებული უტყუარი მტკიცებულებების ნიშნები გააჩნიათ, სახელდობრ, ის ნიშნები, რომლებიც მოცემულია აგრესიის ზემოთ მოტანილ იურიდიულ განმარტებაში.

მინდა გავამახვილო ყურადღება მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე, რომელთაც გააჩნიათ მყარი მტკიცებულებების მნიშვნელობა და შესაბამისად საფუძველი უნდა გამხდარიყვნენ (და უნდა გახდნენ) საქართველოს ხელისუფლებისაგან გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ეხება 1992 წლის 14 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას. ამ აგრესიას ჰქონდა მოსამზადებელი პერიოდი საომარი მოქმედებების დაწყებისათვის ყველა შესაძლო ვითარების გათვალისწინებით.

ომის მოსამზადებელ პერიოდს წინ უსწრებს რამდენიმე პოლიტიკური ნაბიჯი. ამ ნაბიჯებიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ვ. არძინბას დანიშვნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ 1990 წლის 4 დეკემბერს და 1991 წლის 9 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კანონის მიღება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კომპრომისული დათმობის საფუძველზე, რის შედეგადაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში წარმოიშვა უმრავლესობის ფრაქცია ვ. არძინბას მეთაურობით.

ამასთან დაკავშირებით მოსკოვიდან მოვლენილი იყვნენ „სპეციალისტები“. თავის წიგნში „აფხაზეთი – 1992 წელი. პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა“ ს. ჩერვონაია აღნიშნავს: „აფხაზეთის მოვლენათა“ მოსამზადებლად ძირითადი დატვირთვა დაეკისრათ რუს აგენტებს (ყოფილი უშიშროების კომიტეტის შტატიან და შტატგარეშე თანამშრომლებს), რომლებიც მოქმედებენ როგორც იდეოლოგები, სამხედრო ინსტრუქტორები, კომერსანტები, მმართველები და სხვა მისთ“. (გვ.125, გამომცემლობა „ჯიხაია“, თბილისი, 1994წ.).

ამის შემდეგ იწყება უშუალოდ ომის მომზადების პერიოდი. ამ პერიოდში აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ვ. არძინბას ხელმოწერით მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლებიც შეიცავენ ომისათვის მზადების ნიშნებს და განეკუთვნებიან, ამ თვალსაზრისითაც, მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებს. ამ დოკუმენტების ტექსტისა და ანალიზისათვის დავიმოწმებთ კვლავ ჩერვონაიას წიგნს.

ამგვარ დოკუმენტებს შორისაა 1991 წლის 29 დეკემბერს მიღებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება (ვლადისლავ არძინბას ხელმოწერით) „საჯარისო ნაწილების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების დაწესებულებათა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალების დისლოკაციისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი ფუნქციონირების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ამ დადგენილების ტექსტი გვაუწყებს:

„აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„1. საჯარისო ნაწილები, დაწესებულებები, სასაზღვრო, შინაგანი ჯარები, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალები დისლოცირდება აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის ხალხის ნებისა და კონსტიტუციის შესაბამისად.

„მათი შემდგომი ყოფნა აფხაზეთში მთლიანად და სრულად შედის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში და გადაწყდება პოლიტიკური შეთანხმებებისა და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

„არც ერთ სამართლებრივ აქტს, ვისგანაც უნდა მომდინარეობდნენ ისინი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ დებულებას და ძირს უთხრიან რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობას, რეგიონში იწვევენ სამხედრო-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას და არ შეესაბამებიან რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციას, იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.

„2. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოები (სამხედრო კომისარიატები, სამოქალაქო თავდაცვა, სამხედრო-ტექნიკური საზოგადოებები), აგრეთვე 5482-ე, 3697-ე საჯარისო ნაწილები, მათი ქონება, ტექნიკა და შეიარაღება, ასევე შენობები, ნაგებობანი და სხვ. მომავალში რესპუბლიკის იურისდიქციას უნდა გადაეცეს, აფხაზეთის კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად, ცხადდება აფხაზეთის საკუთრებად.

„ამჟამად სამხედრო სტრუქტურების საშტატო-თანამდებობრივი განრიგი არ ექვემდებარება ცვლილებებს აფხაზეთის მხრიდან და საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე სახელმწიფოთა შორის შეთანხმებების საფუძველზე რეგულირდება დადგენილი წესით.

„3. აფხაზეთის სამხედრო კომისარიატების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბის, სამხედრო-ტექნიკურ საზოგადოებათა თანამდებობების პირებს ამიერიდან უფლება აღარა აქვთ ადრე დადგენილი წესით გადასცენ ან გაანადგურონ თავიანთი ქონება, ტექნიკა და შეიარაღება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი განკარგულების გარეშე.

„4. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ განსაზღვროს ამ დებულებაში მეორე და მესამე პუნქტების შესრულების წესი.

„5. სამხედრო კომისარს, სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსს, სამხედრო-ტექნიკური საზოგადოების („დოსაააფის“) თავმჯდომარეს წინადადება ეძლევათ 1992 წლის 15 იანვრამდე აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს წარუდგინონ წინადადებები მათდამი დაქვემდებარებულ სამხედრო დაწესებულებათა საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის შესახებ.

„6. მოცემული დადგენილება ძალაში შედის მისი მიღებისთანავე.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარე
ვ.არძინბა
ქ.სოხუმი
1991 წლის 29 დეკემბერი“
(146)“

იმავდროულად იქნა მიღებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების ხაზით“. დადგენილებაში ნათქვამია:

„სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტა და საკავშირო სტრუქტურების, მათ შორის საკავშირო შსს-ს საჯარისო ნაწილების გაუქმებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი საბჭო აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების ხაზით შემდეგი შემადგენლობით:

საბჭოს თავმჯდომარე – ვ.არძინბა – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე – ა.არშბა – პოლკოვნიკი, აფხაზეთის შსს მინისტრის I მოადგილე

თავმჯდომარის მოადგილე – ლ. გოგუნი – პოდპოლკოვნიკი

საჭოს წევრები: თ. ჭკადუა – პოლკოვნიკი, აფხაზეთის სამხედრო კომისარი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

დასაწყისი იხ. მე-9 გვერდზე

ს. დბარი – პოლკოვნიკი, ქ.სოხუმის სამხედრო კომისარი

ბ.მირველოვი – პოლკოვნიკი, ქ.გაგრის სამხედრო კომისარი

ა.კლიმოვი – მილიციის მაიორი, 5482-ე საჯარისო ნაწილის მეთაური

გ.დიაკონოვი – 3697-ე საჯარისო ნაწილის მეთაური

გ.აგრბა – პოდპოლკოვნიკი

„დროებითმა საბჭომ საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების ხაზით თავის პრაქტიკულ მუშაობაში იხელმძღვანელოს შესაბამისი დამტკიცებული დებულებით.

„აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ვ.არძინბა

ქ.სოხუმი

1991 წლის 29 დეკემბერი“ (147)“

„ამ დადგენილებებში „ხალხის ნებისა“ და „აფხაზეთის კონსტიტუციის“ მოხსენიება წმინდა წყლის დემაგოგიაა. არანაირი „აფხაზეთის კონსტიტუცია“ (ამ დროს ერთადერთი მოქმედი კონსტიტუცია იყო 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია) არ ითვალისწინებდა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მის ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების საჯარისო ნაწილების მეშვეობით მართვის იმ სისტემის უზურპაციას, რომელიც განეკუთვნებოდა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს კომპეტენციას. ასეთი სახელმწიფო კი, დანარჩენ 14 რესპუბლიკასთან ერთად, რომლებიც 1991 წლამდე ქმნიდნენ სსრ კავშირს, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ საქართველო და არავითარ შემთხვევაში მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომია ან ოლქი. კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის უხეში შელახვით ფაქტობრივად კალმის ერთპიროვნული მოსმით (უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებითაც კი არა, არამედ პრეზიდიუმის დადგენილებით), არძინბამ საბჭოთა არმიის ქონება თვითნებურად გამოაცხადა „აფხაზეთის საკუთრებად“ და ამ ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის საჯარისო ნაწილების ყოფნა-არყოფნა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებულ კომპეტენციას მიაკუთვნა, რითაც მან პოლიტიკური თვითმარქვიობა ჩაიდინა. ამ წინაასაახალწლო დღეებში მას ყველაზე ნაკლებად „ხალხის ნება“ აინტერესებდა. იგი საჩქაროდ „ითვისებდა“ საჯარისო ნაწილებს, ტექნიკას, შეიარაღებას, სარგებლობდა ხელსაყრელი მომენტით, სანამ თბილისში უკვე 22 დეკემბრიდან ქუჩის ბრძოლები მიმდინარეობდა, ყოფილი პრეზიდენტი იზოლაციაში მოექცა და პრაქტიკულად დაემხო, ხელისუფლების ახალი ორგანოები კი ჯერ არ ჩამოყალიბებულიყო.

„მაგრამ ვერც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ სამხედრო უწყებათა დროებითი დამბლა „თბილისის რევოლუციის“ დღეებში და ვერც საკუთარი გაურკვევლობა იმ საქმეებში, რომლებიც სხვის ქონებასა და სამართლებრივ კომპეტენციას ეხება, მაინც ვერ გააბედვინებდა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ესოდენ კადნიერ გადაწყვეტილებათა მიღებას, მას რომ ისინი მეთაურთა შემადგენლობასთან არ შეეთანხმებინა. მათ, ალბათ, ჰქონდათ სათანადო ინსტრუქციები, რის გამოც საოცრად ადვილად მიენდვნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „კომპეტენციას“, რომელსაც არანაირი სამხედრო წესდება არ ითვალისწინებდა. არძინბამ უმაღლესი მთავარსარდლის სიმტკიცით დანიშნა საბჭოთა არმიის პოლკოვნიკები და პოდპოლკოვნიკები მისივე მეთაურობით შექმნილი „დროებითი საბჭოს“ წევრებად, ამასთან, დაიქვემდებარა ისინიც, ვინც თავისი სამსახურებრივი მოვალეობების მიხედვით არავითარ „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს“ არ უნდა დაჰქვემდებარებოდა. ყოველივე ეს იყო ერთიანი, წინასწარ შეთანხმებული სახმედრო-სამრეწველო კომპლექსის უმაღლეს ეშელონებში დაგეგმილი აქცია.

„იმის შესახებ, თუ რამდენად გაშინაურებული იყო არძინბა ამ ეშელონებში, მჭევრმეტყველურად მიუთითებს მისი მიმოწერა საკავშირო თავდაცვის მაღალი თანამდებობის მოხელეებთან, რომლებიც 1991 წლის დამლევიდან ახალ ადგილზე დაინიშნენ. კერძოდ, თანამეგობრობის („ესენგეს“) შეიარაღებული ძალების ჰუმანიტარული აკადემიის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ ა. კოლინიჩენკოსადმი მიწერილ წერილში (1992 წლის 21 მაისი) ვ. არძინბა იმ კაცის მოურიდებლობით, საკადრო დანიშვნებს არმიაში საკუთარი კომპეტენციის სფეროდ რომ მიიჩნევს, – წერს: „აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გთხოვთ დანიშნოთ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული მაიორი ვალერიან გიორგის ძე აგუმავა აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარების ცალკეული პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში (ქ.სოხუმში დისლოცირებული №5482-ე საჯარისო ნაწილი). გთხოვთ ზემოხსენებული საკითხი გადაწყვიტოთ „ესენგეს“ გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების საკადრო სამმართველოთა მეშვეობით. მაიორი ა.აგუმავა რეკომენდებულია... თანამდებობაზე აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული დროებითი საბჭოს მიერ, პასუხისმგებელია ამ ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისათვის“ (148).

„როგორც ვხედავთ, სოხუმში დისლოცირებული №5482 საჯარისო ნაწილი, რომელიც 1991 წლის დეკემბერში მიაკუთვნეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს „კომპეტენციას“, უკვე გარდაქმნილია „აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შინაგანი ჯარების ცალკეულ პოლკად“. ეს არის უკანონო სამხედრო ფორმირება, რომელიც არ არის გათვალისწინებული არანაირი კონსტიტუციებით, საარმიო წესდებებითა თუ შეთანხმებებით „ესენგეს“ შიგნით თუ გარეთ. არავითარი უხერხულობა ამ უკანონობის გამო არძინბას არ უგრძვნია, მეტიც, არმიის გენერალიტეტის უმაღლესი სფეროების მფარველობაში დარწმუნებული არძინბა სრულიად აშკარად თვითონ აკომპლექტებს ამ ნაწილის მეთაურთა შემადგენლობას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების კადრების მთავარი სამმართველოს მეშვეობით ატარებს ასევე უკანონოდ შექმნილი, მის საკუთარ ერთმმართველობას დაქვემდებარებული „დროებითი საბჭოს“ რეკომენდაციებს. №5482 სამხედრო ნაწილის მეთაურს, მაიორ ა.კლიმოვს იგი ნიშნავს ამ „საბჭოს“ წევრად, ხოლო მალე იძლევა განკარგულებას ავტონომიური რესპუბლიკის ხარჯზე ამ ნაწილის სასურსათო მომარაგების შესახებ. ნაწილის მეთაურის ა.კლიმოვის მიმართვის პასუხად („...გთხოვთ გამონახოთ საშუალება №5482 სამხედო ნაწილის სასურსათო საქონლით უზრუნველსაყოფად თანდართული სიის მიხედვით“) არძინბა ადებს რეზოლუციას ვაჭრობის მინისტრისა და აფხაზეთის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის სახელზე: „გთხოვთ, მიიღოთ ყველა შესაძლო ზომა ამ საკითხების სასწრაფოდ გადასაჭრელად. ვ. არძინბა. 31.01.92.“ (149)“.

„1991-1992 წლების ზამთარში, როდესაც სამოქალაქო მოსახლეობის სასურსათო მომარაგება კატასტროფულ მდგომარეობამდე იყო მიყვანილი და უკვე იწყებოდა შიმშილით სიკვდილისა და თვითმკვლელობათა ტრაგიკული სათვალავი, ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობისა და კოოპერაციის სამმართველოები უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული განკარგულებით კისრულობენ ვალდებულებას უსასყიდლოდ გაიღონ – „366 დღის ანგარიშით“ და „500 კაცის მოსამარაგებლად“ – ათასობით კილოგრამი ფქვილი, ბურღული, მაკარონის ნაწარმი, ხორცი, თევზი, ცხიმი, კომბინირებული ცხიმები, შაქარი და ა.შ.. არძინბას პირადი გვარდიისათვის, რევოლუციური ტრადიციების კვალობაზე „ცალკეულ პოლკად“ რომ იწოდებოდა, სახსრები აფხაზეთის ხალხს უნდა გაეღო.

„არძინბა, ჩანს, ფიქრობდა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს იურისდიქციაში მოქცეული სამხედრო ნაწილები საკმარისი არ არის იმ ამოცანების შესასრულებლად, რომელიც მათ დაეკისრათ „366 დღის ანგარიშით“ 1992 წლის დამდეგს, და ამიტომ იგი ხელს აწერს კიდევ ერთ დადგენილებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (№46-XII,1992 წლის 31 მარტი) – „აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო სამსახურში გაწვევისა და „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“ კანონის დამცავი ზომების შესახებ“. არძინბა, რომელსაც არ სურდა ანგარიში გაეწია ისტორიული რეალიებისათვის, არ მოერიდა საქართველოს ხელისუფლების ნეგატიური რეაქციის, ხალხის აღშფოთებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის გაოცების პროვოცირებას და მოახდინა რეანიმაცია უკვე არარსებული საბჭოთა კავშირის კანონისა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“ შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე – და ეს მაშინ, როცა საქართველო, რომლის ნაწილიცაა აფხაზეთი, არც კი შედიოდა „ესენგეში“ და, ბუნებრივია, აღარ ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის ძველი კანონებით. არძინბა კი ამ დროს მოითხოვს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“ კანონის განუხრელ შესრულებას, დასჯით ემუქრება „რიგი საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სასწავლებლების“ ხელმძღვანელებს, რომლებიც „ვერ ახდენენ სამხედრო სამსახურისათვის წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდების მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზაციას“, და აცხადებს აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევას არმიაში.

„ამაზე უფრო აბსურდული სიტუაცია ძნელი წარმოსადგენია: რომელ არმიაში იწვევს ახალწვეულთ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანონიერი თავმჯდომარე, თუ რუსეთსა და „ესენგეს“ სხვა რესპუბლიკებთან (და „ესენგეს“ გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებთან) აფხაზეთს უშუალოდ არავითარი კავშირი არა აქვს? თუ ქართულ ჯარში არძინბა თავის ახალწვეულთა გაგზავნას არამცთუ არ აპირებს, ასეთ შესაძლებლობას არც კი იხსენიებს აღნიშნულ დადგენილებაში და აღარც საქართველო ელის აფხაზეთიდან „საგაზაფხულო გაწვევის“ მეომრებს: საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები უკვე კარგა ხანია სრულიად სხვაგვარად – ნებაყოფლობისა და კონტრაქტის საფუძველზე ყალიბდება და არავითარი აუცილებელი სამხედრო ვალდებულება – გაწვევა აქ აღარ არსებობს; და თუ, დასასრულ, ყველა დაწერილი კანონისა და მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთს, რომელიც საქართველოს შემადგენელი ნაწილია, ისევე როგორც ნებისმიერი ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკა – რუსეთისა, ხომ არავითარი საკუთარი ჯარი არა ჰყავს?!

„მაგრამ გამოსავალს სოხუმში ამ პრინციპით პოულობენ: „თუ არ შეიძლება, მაგრამ ძალიან გინდა, მაშინ შეიძლება!“ გაწვევა თურმე მოწოდებული იყო აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგანი ჯარების იმავე „ცალკეული პოლკის“ შესავსებად (ამრიგად, ვიღებთ გვარიან, ბრჭყალებში რომ ვთქვათ, პოლკს, რომელსაც 500 კაცი უკვე 1993 წლის დამდეგამდე ჰყავს სურსათით უზრუნველყოფილი. აფხაზეთის რამდენი დამცველი შეერევა მას კიდევ, თუკი ნაბრძანებია გასაწვევი და წვევამდელი ასაკის ყველა ახალგაზრდის გამოვლენა – იმათიც კი, ვინც ბოროტი განზრახვით თავს არიდებს ჯარში სამსახურს „სამუშაოზე თუ სასწავლებელში მოწყობის“ საბაბით? ჩანს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ კარგად იცოდა, რომ 1992 წელს მის პოლკში ყოველ მათგანს გამოუჩნდებოდა საქმე).

„ამრიგად, დოკუმენტის ტექსტი იუწყებოდა:

„სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რაიონულსა და საქალაქო სამხედრო კომისარიატებს, სამართალდამცავ ორგანოებს, მიუხედავად აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ზომებისა, პასიური პოზიცია უჭირავთ სამობილიზაციო რეზერვების მომზადების, გასაწვევ პუნქტებში მოქალაქეთა მიწერის, სამხედრო სამსახურში ახალგაზრდების გაწვევის თავალსაზრისით და ამით არღვევენ კანონს „სამხედრო ვალდებულების შესახებ“.

„რიგი საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელები ვერ ახდენენ სამხედრო სამსახურისათვის წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდების მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზაციას. დაშვებულია გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სამსახურსა და სასწავლებელში მიღების შემთხვევები ახალწვეულთა მიერ ჩაწერისა და სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ სათანადო საბუთების წარდგენის გარეშე.

„სამხედრო სამსახურში გაწვევის მოწესრიგებისა და „საყოველთაო სამხედო ვალდებულების შესახებ“ კანონის განუხრელი შესრულების მიზნით აფხაზეთის რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„1.ამა წლის აპრილ-ივნისში გაწვეულ იქნენ სამხედრო სამსახურში აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგანი ჯარების პოლკში ის მოქალაქეები, რომელთაც გაწვევის დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი და არა აქვთ გადავადების უფლება.

„2. შეიქმნას რესპუბლიკური საგაწვევო კომისია რაიონული საგაწვევო კომისიებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და მათი საქმიანობის კონტროლის მიზნით სოხუმის გაერთიანებული სამხედრო-სამობილიზაციო სამართველოს უფროსის თავმჯდომარეობით.

„3.დადგინდეს, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევა აფხაზეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხორციელდება მიღწეული მოლაპარაკებების შესაბამისად და გაწვევის განწესის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია საჯარისო ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისათვის პასუხისმგებელი დროებითი საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

„4.აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროკურატურამ აღმასრულებელ ორგანოებსა და სამხედრო-სამობილიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობით უზრუნველყონ სამხედრო სამსახურში გაწვევის წესის განუხრელი დაცვა. ის პირნი, რომლებიც თავს არიდებენ გაწვევას, პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„5.დაევალოს საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, წარმოადგინონ სამხედრო-სამობილიზაციო სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ და როგორ დაიწყო ომი აფხაზეთში?

მართველოსა და განყოფილებებში გასაწვევი ასაკის მოსწავლეთა და სტუდენტთა სიები მიღებული ფორმით.

„6. დაევალოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან არსებულ სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილებებსა და სამმართველოებს, ამა წლის 1 მაისამდე მოამზადონ მონაცემები გასაწვევი ასაკის პირთა შესახებ.

„7.დაევალოს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიებს (ადამიანის უფლებებისა და ეროვნებათშორის ურთიერთობებში, სამართლებრივ საკითხებში), ა.წ. 1 მაისისათვის მოამზადონ და განსახილველად წარუდგინონ აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ და „ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ“.

„8. დადგენილება ძალაში შედის მისი მიღებისთანავე.

აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ვ.არძინბა

ქ.სოხუმი

1992 წლის 31 მარტი“ (150)

„მომავალი ომისათვის სოხუმში კარგად ემზადებოდნენ: „მიღებული ფორმით“ შედგენილი სიები, ეთნიკური ფილტრაციის ჩატარების საშუალებას რომ იძლეოდა, წინასწარ დგებოდა; კონტროლდებოდნენ გაწვევი კომისიებიც (აგვისტოში მათ „სამობილიზაციო პუნქტები“ შეერქვა); პასუხისგებაში აძლევდნენ იმათ, ვინც „თავს აარიდებდა გაწვევას“, ხოლო მგზნებარე არქეოლოგის (ვიწრო წრეებში „ჰენიოხის“ სახელით ცნობილი) ი.ვორონოვის ხელმძღვანელობით მომუშავე „ადამიანის უფლებათა კომისიამ“ სწორედ აქ იპოვა თავისი ადგილი და საქმეც გაიჩინა.

„მომავალი პუტჩის სამხდრო უზრუნველყოფას არ ჩამოუვარდებოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის საქმიანობის სხვა უბნები და მიმართულებები. ხელისუფლების ეს უმაღლესი ორგანო ცდილობდა თავის ხელში მოექცია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მთელი თავისი სისრულით. ნიშანდობლივია ამ მხრივ 1992 წლის 5 მარტს მიღებული – ისევ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ერთპიროვნული ხელმოწერით, ყოველგვარი განხილვისა და კენჭისყრის გარეშეც კი – აფხაზეთის რესპუბლიკის კანონი „რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს დაქვემდებარების შესახებ“. მართვის ყველა ბერკეტი, ძალისმიერი, საფინანსო თუ სამეურნეო სტრუქტურები, მოგების მომტანი ყველა უბანი, მათ შორის საკურორტო ზონაც („სარეკრეაციო რესურსები“) ხელში უნდა ჩაეგდოთ, არაფერი არ უნდა გაეშვათ ხელიდან, არავისთვის არ უნდა გაეყოთ არც პასუხისმგებლობა, არც განუსზღვრელი ძალაუფლება; ყველაფერი რკინის მუშტში უნდა მოექციათ. კანონი ღაღადებდა: „წინამდებარე კანონით დგინდება აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ზოგიერთი ორგანოს დაქვემდებარება.

„მუხლი 1. აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტი მის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გამოყვანილ იქნეს აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურიდან და დაექვემდებაროს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს.

„მუხლი 2. რესპუბლიკაში განსახელმწიფოებისა და პრივატიზაციის ჩასტარებლად ნორმალური პირობების უზრუნველყოფის მიზნით გამოყვანილ იქნას სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტი აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურიდან და დაექვემდებაროს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

„მუხლი 3. ეკოლოგიური ვითარების გაუარესების ტენდენციისა და ამ ვითარების გასაუმჯობესებლად და რესპუბლიკის სარეკრეაციო რესურსების შესანარჩუნებლად რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობის გათვალისწინებით გამოყვანილ იქნას გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტი აფხაზეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურიდან და დაექვემდებაროს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს.

„მუხლი 4. დაევალოს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს დაამუშაონ და განსახილველად წარმოადგინონ აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის სახელმწიფო კომიტეტის და გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ დებულებათა პროექტები.

„აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ვ.არძინბა

ქ.სოხუმი,

1992 წლის 5 მარტი“ (151)

„რესპუბლიკაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყველა დანიშვნა, რასაც არძინბა აწარმოებდა, რომელმაც კარგად შეისისხლხორცა სტალინური სიბრძნე – „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ – მიმართული იყო ერთიანი გუნდის შესაკრავად, – გუნდისა, რომელიც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ერთგული, „შემოწმებული“ ადამიანებისაგან იქნებოდა. მათს საქმიანსა და პროფესიულ თვისებებს ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდათ, როგორიც ჰქონდა პოლიტიკურ თანამოაზრეობას, ნაციონალურ წარმოშობას) (უმნიშვნელოვანეს უწყებათა ხელმძღვანელობა ყალიბდებოდა რუსეთისა და აფხაზებისაგან ქართული ეროვნების მუშაკთა თანმიმდევრული გამოძევებით), ნათესურ, მეგობრულ კავშირებს, „სლავური სისხლისა“ და „აიდგილარას“ პრეზიდიუმის ოფიციალურ რეკომენდაციებს. ეს უკანასკნელნი თამაშობდნენ თითქმის აუცილებელ „დახასიათებათა“ როლს, რომელთა გარეშე, საბჭოთა პერიოდის მსგავსად, შეუძლებელი იყო სამსახურებრივი გადაადგილება.

„1992 წლისათვის უკვე შემუშავდა გარკვეული ბიუროკრატიული შტამპი: აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ საქმიანობაში მისი აქტიური მონაწილეობის დადასტურება თითქმის სრული გარანტია იყო მისი პოლიტიკური კეთილსაიმედოობისა. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ ასეთ რეკომენდაცია-დახასიათებას.

„აფხაზეთის სახალხო ფორუმი „აიდგილარა“. შემოს. № 55 1992 წლის 13 მაისი.

„აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში

„აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე (ოქმი №11, 1992 წლის 13 მაისი) იმსჯელა აფხაზეთის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პოსტზე კანდიდატურების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს ნოდარ ვიქტორის ძე ჭანბას.

„ნ. ჭანბა აფხაზეთის სახალხო ფორუმი „აიდგილარას“ აქტიური მოღვაწეა, ფორუმის ჩამოყალიბებისას დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა. იგი ინიციატივიანია, შეუძლია ადამიანთა გაერთიანება, აქვს ფართო თვალსაწიერი და თანამედროვე აზროვნება. აფხაზეთის სახალხო ფორუმ „აიდგილარას“ თავმჯდომარის მოადგილე რ.ებჟნოუ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. გას. №41-210/6. „10“. 06.1992“ (152)

ამ და სხვა დოკუმენტების ზედაპირული შეფასებაც მათი დანიშნულების თვალსაზრისით საკმარისია იმისათვის, რომ მათში აღმოჩენილ იქნას ომისათვის მზადების ნიშნები და რუსეთის ხელწერა.

წარმოუდგენელია, რომ ზემოთმოყვანილი დადგენილების მიღება შეეძლო აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს და მასზე ხელი მოეწერა ვ.არძინბას.

მაგრამ ადვილად გასაგებია ამ დადგენილებათა მიღება რუსეთის ხელსუფლების მითითებით და მოთხოვნით, და ის, რომ ვ.არძინბა ამ ხელისუფლების შტატიან სამსახურში იმყოფებოდა.

ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტების მიღებას ომისათვის მზადების სათანადო მოქმედებებიც მოჰყვა, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისი მნიშვნელობით გულრიფშის რაიონის (ამ უმეტესად ქართველებით დასახლებული რაიონის) ცენტრში აგუძერას დასახლებაში აფსუათა შეიარაღებული „ბოევიკების“ ჩაყენება თბილისის გზატკეცილიდან ორი ასეული მეტრის დაშორებით. მათი დასახელებულ პუნქტში ჩაყენება, განხორციელებული 1991 წლის 28 დეკემბერს, მიღებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოხსენებული დადგენილებიდან გამომდინარეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის „კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების“ შესახებ.

აქ ლაპარაკია, რომ „კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების“ შედეგად სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის აგუძერას განყოფილების სამხედრო (საყარაულო სამსახურისათვის სპეციალურად მომზადებული) დაცვა ჩანაცვლებული იქნა ამ საქმისათვის ყოვლად მოუმზადებელი აფსუათა შეიარაღებული „ბოევიკების“ ასკაციანი რაზმით.

ამ რაზმის გამოჩენამ აგუძერას დასახლების ქართული ნაწილის კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. ხუთასამდე მცხოვრების ხელმოწერით მოსალოდნელი პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა საპროტესტო მიმართვა აფსუური შეიარაღებული „ბოევიკების“ რაზმის აგუძერადან დაუყოვნებლივ გაყვანის კატეგორიული მოთხოვნით. მიმართვა უმაღლესი საბჭოს სესიაზე წაიკითხა დეპუტატმა ო. ქარაიამ და გადასცა ადრესატს.

სამწუხაროდ, ვარძინბამ ეს მიმართვა რეაგირებისა და პასუხის გარეშე დატოვა. ამით დაფიქსირდა, რომ რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმის ჩანაცვლება აფსუათა „ბოევიკების“ რაზმით არ იყო შემთხვევითი მოვლენა.

მართლაც, შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ამ რაზმის გულრიფშის რაიონის ცენტრში ცენტრალური ტრასის ახლოს განლაგება ომისათვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული იყო საომარი მოქმედების დაწყებისათვის ყველაზე ხელსაყრელი გარემოება – მოწინააღმდეგისთვის ჯვარედინი ცეცხლის გახსნის (მოულოდნელობის ფაქტორის გათვალისწინებით) შესაძლებლობა ტრასის ორივე მხარიდან ხელოვნური (საცხოვრებელიი სახლები) და ბუნებრივი (მანდარინების პლანტაცია) საფარის გამოყენებით და მისთვის მაქსიმალური დანაკარგის მიყენებით.

წარმოუდგენელია გასაიდუმლოებული ობიექტის სპეცდანიშნულების საყარაულო სამსახურის სამხედრო ნაწილის აფსუათა შეიარაღებული „ბოევიკების“ რაზმით ჩანაცვლება ვ.არძინბას ინიციატივით, მაგრამ სრულიად გასაგებია ამის გაკეთება რუსეთის შინაგანი ჯარების ხელმძღვანელების მითითებითა და განკარგულებით.

სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტი საქართველოს ხელისუფლების ყურადღების გარეშე დარჩა, თუმცა გამაფრთხილებელი განგაში აგუძერის დასახლების ქართველი მცხოვრებლებისაგან დროულად იყო გამოცხადებული.

არ არის გამორიცხული, რომ ამით ხელიდან იქნა გაშვეული ომის აცილების რეალური და უკანასკნელი შესაძლებლობა.

1991 წლის 14 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეის ბლოკპოსტზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ სწორედ აგუძერის დასახლებაში განლაგებულმა აფსუათა „ბოევიკების“ შეიარაღებულმა რაზმმა დატოვა დაცვის ობიექტი, დაიკავა წინასწარ შერჩეული სამალავი პოზიციები (გზატკეცილის გასწვრივ განლაგებული სახლების სხვენი, მანდარინის პლანტაციებში მომზადებული სამალავები) და ჯვარედინი ცეცხლი გაუხსნა სოხუმის მიმართულებით მიმავალი ქართული ჯარის მეომრებს.

საყურადღებოა, რომ აფსუათა შეიარაღებული „ბოევიკების“ რაზმი თავის სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდა რუსი სამხედრო ინსტრუქტორების მეთაურობითა და მითითებებით.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ აფსუათა შეიარაღებული „ბოევიკების“ რაზმის თავდასხმა სოხუმის მიმართულებით მიმავალ ქართველ მეომრებზე დეტალურად იქნას გამოკვლეული, რადგან ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მტკიცებულებათა შორის, რომლებიც უშუალოდ შეეხებიან აგუძერაში მომხდარ ფაქტს: ომის დაწყებას რუსეთის შეიარაღებული ძალების საშტატო შემადგენლობაში ფორმალურად არ შემავალი აფსუათა შეიარაღებული ბოევიკების რაზმის მიერ (თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს რაზმი იმყოფებოდა რუსეთის სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში).

ეჭვს არ იწვევს, რომ ამ რაზმს თბილისის გზატკეცილზე სოხუმის მიმართულებით მიმავალი მეომრებისათვის ცეცხლის გახსნის ბრძანება ვ.არძინბას გარდა მიეცა რუსეთის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობის მიერ ან მისი მითითებითა და დავალებით. თავის რადიო და სატელევიზიო გამოსვლებში ვ.არძინბა აღნიშნავდა, რომ გაიცა ბრძანება ცეცხლის გახსნის შესახებ „აგრესორისათვის“ შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა საკმარისი ნებისყოფა, რომ მიეღო აუცილებელი და სწორი გადაწყვეტილება: ელიარებინა რუსეთის მხრიდან შეიარაღებული აგრესიის განხორციელების ფაქტი და მის მხარეზე აფსუათა და ჩრდ. კავკასიიდან ე.წ. „მოხალისეთა“ ტერორისტული შეიარაღებული რაზმებისა და ჯგუფების მონაწილეობა.

საქართველოს ხელისუფლებამ არც ომის მსვლელობის დროს მიიღო ეს გადაწყვეტილება და არ

გაგრძელება მე-12 გვერდზე

მე-11 გვერდიდან

დაფიქსირა სამართლებრივად რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

ეს არ გაკეთდა არც სოხუმის დაცემის, აფხაზეთის დატოვების შემდეგ და აფსუათა და „მოხალისეთა“ ტერორისტული რაზმების მიერ ქართული მოსახლეობის მიმართ წმენდის განსაკუთრებული სისასტიკით ჩატარების შემდეგ, რამაც ქართული მოსახლეობა აიძულა დაეტოვებინა საკუთარი ისტორიული სამკვიდრო მიწა-წყალი და სახლები.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების დროულად მიუღებლობამ რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიასთან მიმართებაში საქართველოსათვის ფრიად სავალალო და დამღუპველი შედეგი გამოიღო. რუსეთმა ფაქტიურად მიიღო შესაძლებლობა აფსუათა და „მოხალისეთა“ ტერორისტული რაზმების და საკუთარი სამხედრო ნაწილების უშუალო მონაწილეობით განეხორციელებინა აფხაზეთის ოკუპაცია, დამყარებინა საოკუპაციო რეჟიმი და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობა ვარძინბას ტერორისტული ხელისუფლების სახით. ყოველივე ამის შედეგად რუსეთმა რუსეთ-საქართველოს საზღვარი ფაქტიურად ფსოუდან ენგურამდე გადმოიტანა და დღეს ახორციელებს აფხაზეთის თითქმის სრულ კონტროლს.

საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობამ საშუალება მისცა აგრესორ სახელმწიფოს რუსეთს სამართლებრივად დაფიქსირებინა ე.წ. ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა, როგორც თითქოს და „ომი საქართველოსა და აფხაზეთს შორის“ იმ „საერთაშორისო“ გადაწყვეტილებების მიღებით, რომლებიც მიღწეულნი იქნენ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაეროს ჩათვლით) რუსეთის ზეგავლენით, საქართველოს ხელისუფლების იძულებითი დასტურით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაფიქსირა არძინბას ტერორისტული რეჟიმის ომის მხარედ აღიარება რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომად აღიარების ნაცვლად. „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის“ „მოგვარების“ მანდატი ფაქტიურად ერთპიროვნულად აგრესორმა რუსეთმა მიიღო.

ეს „მოგვარება“ დღემდე გრძელდება დაუსრულებელი და უნაყოფო „მოლაპარაკებების“ წარმოებით არძინბას ტერორისტული რეჟიმის წარმომადგენლობასთან რუსეთის ზედამხედველობით. ამ „მოლაპარაკებების“ დაუსრულებლად და უნაყოფოდ წარმოება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებში შედის. ამ დროს გრძელდება აფხაზეთში რუსეთის „სამშვიდობო“ მისია. რუსეთის საქართველოს მიმართ იმპერიული ამბიციებით შემუშავებული პოლიტიკა არ ითვალსიწინებს აფხაზეთის დატოვებას საკუთარი ნება-სურვილით, ესე იგი ასეთ „მოლაპარაკებებს“ არც მომავალში ექნება დასასრული.

აფხაზეთის ოკუპაცია რუსეთის მიერ გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 1993 წლის 27 სექტემბერს რუსეთ-საქართველოს ომი არ არის დამთავრებული, ის მხოლოდ „ცივ“ ფორმებში მიმდინარეობს, რომლის „ცხელ“ ფორმაში გადასვლა გამორიცხული არ არის, თუკი ეს აუცილებელი გახდება რუსეთისათვის.

მდგომარეობა მოითხოვს, რომ დაფიქსირდეს ოფიციალურად ის ფაქტი, რომ რუსეთი საქართველოსთან გამოუცხადებელი, მაგრამ დაუფარავი ომის მდგომარეობაში იმყოფება.

ომისა და საომარი მდგომარეობის შეწყვეტა მხოლოდ საზავო ხელშეკრულებით ხდება. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველო რუსეთს მოუგებს საპროპაგანდო და იურიდიულ ომს.

ბალტიისპირეთის პატარა ქვეყნების მაგალითი იძლევა იმის ილუსტრაციას, რომ ეს შესაძლებელია. მაგრამ ამისთვის საჭიროა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადამჭრელი გადაწყვეტილებების მიღება: 1992 წლის 14 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და ომის აღიარება. უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა რუსეთს აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებაზე, მის შეიარაღებაზე და ქართული მოსახლეობის მიმართ გენოციდის განხორციელებაზე აფსუათა ტერორისტული შეიარაღებული რაზმების, აგრეთვე რუსი სამხედრო მოსამსახურეების და შეიარაღებული მოქალაქეების მეშვეობით (იხ. ზემოთ).

გასაგებია, რომ საქართველოს წინაშდელი კოლაბორანტული ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების არმიღების გამო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მათ შორის აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა, პოლიტიკურ ჩიხშია მოქცეული. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ეყოფა თუ არა საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ნებისყოფა, გაუკეთოს რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების ისტორიას ადექვატური ანალიზი და შეფასება სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ადეკვატური კვალიფიკაცია მისცეს რუსეთ-საქართველოს ბოლო ეპიზოდს, 1992 წლის 14 აგვისტოს, აგრეთვე მოახდინოს ამის შემდგომ მიმდინარე ფაქტობრივი ომის სამართლებრივი შეფასება, რათა გამოიტანონ დასკვნები სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად.

გადაწყვეტილების მომზადება უნდა ხდებოდეს მსოფლიო თანამეგობრობის ინფორმირებულობის პირობებში და ნატოსთან ურთიერთობის გააქტიურების ფონზე. მაგრამ ამავე დროს საჭიროა უკუგდებულ იქნას აფხაზეთის დაბრუნების პოლიტიკა დღეს მიმდინარე „მოლაპარაკებების“ მეშვეობით და აფხაზეთისათვის „უფრო ფართო ავტონომიის“ მინიჭების დაპირებით. ასეთი პოლიტიკა წარუმატებლობისათვისაა განწირული.

აფხაზეთის რუსეთის ოკუპაციისაგან გათავისუფლება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ამოქმედებით, საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური და პრინციპიალური მხარდაჭერით არის ის ერთადერთი მშვიდობიანი გზა, რომელსაც შეუძლია შებოჭოს რუსეთის დიდმპყრობელური ამბიციები საქართველოს მიმართ.

მურმან ჯოჯუა
10.12.2005 წ.

ქათმის გრიპი — არასაქიმო თვალით

(და ცოტა სკეპტიკური თვალით)

(ინტერვიუ სახალხო ფრონტის ლიდერთან ნოდარ ნათაძესთან)

„საქართველო“. ბატონო ნოდარ, თქვენ არც ექიმი ხართ, არც ქათმების ფერმის პატრონი. ალბათ, ეზოში საქათმეც არ გაქვთ. მაგრამ ქათმის გრიპზე დიდი მითქმა-მოთქმაა, შემაშფოთებელი მითქმა-მოთქმა. გაქვთ თუ არა თქვენი აზრი ამ თემაზე?

ნ.ნათაძე. აზრი — ვერა, შიში — კი. მაგრამ ჩემი შიშის გამოთქმას მირჩევნია ჯერ სრულად მოგიყვანოთ ძალიან მოკლე წერილი მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალიდან „THE ECONOMIST“, რომელიც დაბეჭდილია ჯერ კიდევ 2 თვის წინ. აი, მისი თარგმანი.

„ბოლო კვირეებში მსოფლიოს ჯანდაცვის მაღალი მოხელეები ვერ აუდიან შეკრებებს ფრინველის გრიპის გამო. აქტივობის ამ აფეთქებამ თავის კულმინაციას მიაღწია ამ კვირას, როცა მოხდა შეკრება „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის“ შტაბ-ბინაში ჟენევაში. მოიხაზა გეგმები, თუ როგორ ჯობია რეაგირება ვირუსის გამოჩენაზე, რომელიც დაერია შინაურ ფრინველს მთელ მსოფლიოში და შეიძლება ადამიანის გრიპის მომაკვდინებელი პანდემია გამოიწვიოს.

შეკრებამ გამოავლინა ფართო ერთსულოვნება იმაზე, რომ ყველაზე უკეთესი მოკლევადიანი სტრატეგიაა ახლავე ჩარევა და ამ ცხოველური დაავადების აღმოფხვრა. ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა იაპონია და მალაზია, სწრაფად ირეაგირეს და ჩააქრეს მისი აფეთქებები თავის ქვეყნებში. ასე რომ ახლა ისინი თავისუფალნი არიან ამ ვირუსისაგან. მაგრამ აზიის ღარიბი ქვეყნები, როგორნიც არიან ვიეტნამი, კამპუჩია, ტაილანდი და ლაოსი, მოკლებულნი არიან იმ ვეტერინარულ საშუალებებს, რაც სჭირდება ამ ცხოველური დაავადების გავრცელების კონტროლს, და ლაბორატორიებს, რათა სანიმუშო ეგზემპლარების ტესტირება მოახდინონ. ამგვარად, მათ არა აქვთ საშუალება სწრაფად ჩააქრონ დაავადების აფეთქებები. მაგრამ რამდენადაც ეს ყველაფერი საჭიროა მსოფლიოს ჯანმრთელობის ინტერესებისათვის, უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ მსოფლიოს მდიდარ ქვეყნებს ფულის გაღება მოუხდებათ მის დასაცავად, რაც აღინიშნება სიტყვებით „მსოფლიოს საზოგადოებრივი კეთილდღეობა“.

„მსოფლიოს ბანკმა განაცხადა, რომ 500 მლნ დოლარს იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებისათვის, რომელნიც იბრძვიან გრიპის აფეთქების ჩასაქრობად. მთლიანობაში, მისი აზრით, კრიზისის დაძლევას დასჭირდება მილიარდი დოლარი. უახლოეს დროში გაეროს დარგობრივი ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ მათ სჭიდებათ 80 მლნ დოლარი — 60 მილიონი „საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას“ და 20 მლნ დოლარი — „მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას“. „ცხოველთა ჯანდაცვის ორგანიზაციას“ აქვს ჯერჯერობით დაუფინანსებელი გეგმა ფრინველთა გრიპის კონტროლისა. ჯერ კიდევ 2005 წლის დასაწყისში ყველა ამგვარი სააგენტოები ერთად ითხოვდნენ 100 მილიონს, შემდეგ ეს ციფრი ავიდა 175 მილიონზე, ახლა, 9 ნოემბრისათვის, ამ რიცხვმა 500 მილიონს მიაღწია“.

„თუმცა ჯერჯერობით ეს დაავადება ძირითადად შინაურ ფრინველს ემუქრება, ჟენევის შეკრებამ აქცენტირება მოახდინა იმის აუცილებლობისა, რომ შეიქმნას მისგან ადამიანების დასაცავად საჭირო ანტივირუსული წამლებისა და ვაქცინების მარაგი ადამიანური პანდემიის გაჩენის შემთხვევისათვის. ბევრი აზიური ქვეყანა შეშფოთებულია ინფორმაციით იმის შესახებ, რომ უფრო მდიდარი ქვეყნები იქმნიან ანტივირუსული წამლების მარაგებს, მაშინ როცა თვით ამ ღარიბებს ასეთი წამლები არ გააჩნიათ. 2 ნოემბერს ამერიკამ ცნობილი გახადა, რომ იგი დახარჯავს 7,1 მილიარდს თავისი ქვეყნის მომზადებისათვის გრიპის შესაძლო პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯება წამლების შესასყიდად. საერთაშორისო დახმარებისათვის განკუთვნილი იქნება მხოლოდ 250 მილიონი“.

„ასეთი დიდი განსხვავება შინაური ხარჯვის ზომასა და საგარეო დახმარების ზომას შორის ყველასთვის ცნობილი თემაა. მდიდარი ქვეყნები მოვალენი არიან თავისი მოსახლეობის დაცვისათვის მზად იყონ იმ შემთხვევისათვის, თუ ვერ განხორციელდება ფრინველის გრიპის თავის წყაროშივე ჩაკვლის გეგმა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ხარჯი, რომელიც დასჭირდება საკუთარი მოსახლეობის დაცვას ასეთ შემთხვევაში, ბევრად აღემატება იმას, რასაც საჭიროებს დაავადების ჩაქრობა თავისი წყაროს სიახლოვეშივე. მდიდარი ქვეყნების ინტერესებში იქნებოდა, ისინი რომ წაეხმარებოდნენ იმ უფრო ღარიბ ქვეყნებს, რომელთაც ასეთი დახმარების მიღება ჰსურთ“. შთამბეჭდავია, არა?

„საქართველო“. დიახ, ძალიან. სამწუხაროდ, ძალიან. თქვენი ციტირებიდან ორი რამე ჩანს, რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია. ერთი ისაა, რომ ამ გრიპის წინააღმდეგ წამალი არსებულა. კაცობრიობა ამ საშიშროებას უიარაღოდ არ შეჰყურებს. მეორე ისაა, რომ კაცობრიობის დაცვის ამოცანა, როგორც ირკვევა, ებჯინება ეკონომიკურ პრობლემას. თუ ამერიკის მოსახლეობის დაცვას სჭირდება 7 მილიარდი დოლარი, ათი ამერიკისას დასჭირდება 70 მილიარდი დოლარი. მთელი დედამიწის მოსახლეობა კი 30 ამერიკისოდენაა, მეტი არაა. ეს არც ისეთი დიდი თანხებია, რომ კაცობრიობამ ვერ გაიღოს. თუ ამ წამლებისა და ვაქცინების წარმოებას ამერიკის წარმოება ვერ ასწრებს, მსოფლიო წარმოებისათვის ეს გადაუჭრელი პრობლემა არ იქნება. მაშ გამოდის, რომ პრობლემა მხოლოდ ეკონომიკური რესურსი კი არ ყოფილა, არამედ კეთილი ნებაც?

ნ.ნ. ლოგიკურად ასეა. უფრო მეტიც, ლოგიკურად პასუხი არა აქვს კითხვას: რა გარანტია არსებობს იმისა, რომ მსოფლიოს ბედნიერი მოისურვებს მისი ნაკლებ ბედნიერი ნაწილის გადარჩენას, როცა იცის, რომ დედამიწის შესაძლებლობები საკმარისია მხოლოდ იმაზე ორჯერ დიდი მოსახლეობის რჩენისათვის, რაც დედამიწას დღეს ჰყავს, მაგრამ არა სამჯერ მეტისათვის, ან მით უმეტეს, ოცჯერ მეტისათვის? მოგეხსენებათ, არსებობს ე.წ. „ოქროს მილიარდის“ მალთუსიანური კონცეფცია, რომელიც გვეუბნება, დედამიწის 6 მილიარდიანი მოსახლეობიდან მხოლოდ 1 მილიარდი უნდა გადარჩეს და განვითარება განაგრძოს, ჯანდაბას დანარჩენის თავიო. ამ ერთი მილიარდის გადარჩევა არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური ტესტირების წესით — „შენ კარგი ხარ, ლამაზი ხარ, ჯანმრთელი და ნიჭიერი ხარ, შენ აქეთ წამოდი. შენ კი უშნო ხარ, ფიზიკურად სუსტი ხარ, ნიჭით არ ბრწყინავ, შენ იქით გადექო“. იგი უნდა მოხდეს გაბატონებული ერებისა და სახელმწიფოების მთლიანი გადარჩენის და სხვათა ვერგადარჩენის ან აქაიქ, კანტიკუნტად გადარჩენის სახით. რა უდგას წინ კაცობრიობის მომავლის ასეთნაირად წარმართვას? იურიდიულად — არაფერი. მდიდარსა და ბედნიერს არავითარი სამართლებრივი ნორმა არ სთხოვს, რომ გაჭირვებულს და უბედურს უშველოს. გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად — არაფერი. მდიდართა და განვითარებულთა ხელში ძალის აკუმულირება უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე „დანარჩენთა“ ხელში. „რევოლუციური გადატრიალების“ შედეგად, როცა „დანარჩენი“ 5 მილიარდი, სასოწარკვეთით გამწარებული, ამ ერთ „ოქროს“ მილიარდს შეუტევს პრინციპით „ან გამარჯვება, ან სიკვდილი“, უფრო ზუსტად კი — „ან გამარჯვება და სიცოცხლე, ან ნელი და ჩუმი სიკვდილი“? არც ერთი ამ სამ პერსპექტივათაგანი არაა იმგვარი, რომ კაცობრიობისათვის დიდი ოპტიმიზმის წყარო იყოს. ამიტომ არსებობს მეოთხე პერსპექტივა. ამ უკანასკნელს სხვა არაფერი კვებავს, გარდა ადამიანის შინაგანი რესურსისა, მისი გონებისა და სიღრმისეული ადამიანური ბუნების რესურსისა. ეს შესაძლებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს აინტერესებს ყველა სხვა ადამიანთა ბედი და არაა თანახმა, ისინი უსულგულო არსებასავით სახმარ საგანსავით გაწიროს. ადამიანის ეს ნამდვილი ბუნება დღეს — და, ალბათ, განჭვრეტად მომავალში, — სახიერდება არა ე.წ. „პოლიტიკურ კლასში“, რომელიც, სხვადასხვა შემთხვევითი და არაშემთხვევითი გარემოებების გამო, დღეს ძალაუფლებისა და ფულის ბერკეტებთან დგას, არამედ მოსახლეობის ფართო მასაში, რომელიც ე.წ. „რიგით ადამიანსაც“ მოიცავს და ჭეშმარიტ „გონებისა და სულის ელიტასაც“, ანუ იმათ, ვინც კაცობრიობის რეალური შემოქმედი ლიდერია. „ოქროს მილიარდის“ სტრატეგიის და სხვა ანალოგიურ კაციჭამიურ სტრატეგიათა დაძლევა მხოლოდ ამ ელიტის ხელთ არსებული ჰუმანიტარული ცოდნისა და სულისკვეთების მატარებელთა წრის გაფართოებით, კაცობრიობის, როგორც მთელის, გონებრივი და მორალური ზრდის გზითაა შესაძლებელი.**

„საქართველო“. ეს — ზოგადად. საქართველოს ვითარებაში ამ ახალ საშიშროებასთან და მის „გაპიარებასთან“ დაკავშირებული მითქმა-მოთქმა ალბათ იცით?

ნ.ნ. სამწუხაროდ, ვიცი. აქ რამდენიმე შესაძლო ვერსიაა. პირველი და ყველაზე მარტივი, რომელიც ექიმისაგან გამიგია: სახელმწიფო იმიტომ აცხადებს, ქათმის გრიპი შემოვა და მოსახლეობის მეოთხედს დახოცავსო, რომ რომელიღაც მაფიას „საღიას“ ქათმების შემოტანა უნდა და კონკურენტს იცილებს. გაგეცინებათ,

ალბათ, მაგრამ ამ ვერსიას სხვა, არასასაცილო კუდებიც აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში დღეს მიმდინარეობს ურთიერთადამოუკიდებელი, მაგრამ ერთი ცენტრიდან მართული ორი პროცესი. ერთია ეკონომიკის ხელოვნური ნგრევა, ხალხის გაღატაკება და ამით მისი იძულება, რომ ემიგრაციაში წავიდეს. მეორეა ეკონომიკური სიმძლავრეების, მათ შორის — ჰესების, პორტების, მიწის გადაცემა უცხოელთა საკუთრებაში, სახელდობრ, მათი გაყიდვა ჩალის ფასად. ამ პროცესთა მმართველი ცენტრი არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. მიზანი შემდეგია: როცა ორივე პროცესი რაღაცა გარკვეულ ნიშნულს მიაღწევს, — ვთქვათ, საქართველოში დარჩება მხოლოდ მილიონნახევარი ადამიანი და ეკონომიკურ სიმძლავრეთა 60% გადავა უცხო საკუთრებაში, — მაშინ ვიღაცა „დაუსტვენს", ნიშანს მისცემს და საქართველოში შემოვარდება უცხო მოსახლეობის უზარმაზარი მასა. იგი დასაქმდება უცხოელთა საკუთრებაში გადასულ საწარმოებში და ეკონომიკური ნგრევის სახელმწიფო სტრატეგია შეიცვლება ეკონომიკური აღმშენებლობის სტრატეგიით. საქართველოში დაიწყება ეკონომიკური ბუმი. ქვეყანა აყვავდება (რადგან ამისათვის საკმარისზე მეტი რესურსები აქვს), მაგამ ეს მოხდება დარჩენილი ქართველი მოსახლეობის გარეშე. შეიქმნება აყვავებული უქართველობა საქართველო. აი, ამ გეგმის ფონზე მიავრობის გადაწყვეტილება, ხალხი ქათმის გრიპით „დააპნიკოს", უაზრობად აღარ მოჩანს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მოსახლეობას ახალი სტიმული მისცენ — არიქა, გაიქეცით უცხო ქვეყნებში, სადაც ქათმის გრიპის წამალი არსებობს, და თავს უშველეთო, ამ ლოგიკაში კარგად თავსდება რუსეთის ამასწინანდელი განცხადება, ნუ გეშინიათ, ვაქცინა მაქვსო. მეორე მხრივ, ამას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ქათმის გრიპი ადამიანზე უკვე გადავიდა. ეს მოხდა ჩვენს მეზობელ თურქეთში. მოხდა მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლების პესიმისტური წინასწარმეტყველება, გაზაფხულისათვის მაინც გრიპი ადამიანებზე იქნება გადასულიო, უკვე გამოთქმული იყო.

„საქართველო". ამგვარად, გამოდის, რომ თქვენი ჰიპოთეზა, საქართველოს მთავრობას ხალხის ემიგრაციაში განდევნა უნდაო, ამაო შიშია?

ნ.ნ. სამწუხაროდ, საქმე არც ასე მარტივად არის. ადამიანზე ქათმის გრიპის გადასვლა ჩვენს ფართო რეგიონში ჯერჯერობით მხოლოდ თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდა, რომელიც ნაკლებ წინწასული მოსახლეობითაა დასახლებული. ეს მოსახლეობაა ქურთები, რომლებიც ამ სახელმწიფოს მიერ მინუსად უფრო არიან მიჩნეულნი, ვიდრე პლუსად. ამ ნაღვლიანი მსჯელობის საფუძველს მაძლევს, ჩემდა სამწუხაროდ, ბატონ დემირელის წერილი თურქეთის ინგლისურენოვან „თაიმსში" მისი სახელმწიფოს მეთაურობის დროს. მე, რასაკვირველია, თქვენთან ერთად ვიმედოვნებ, რომ ეს თანხვედრები, რაც წელან აღვნიშნე, შემთხვევითი ხასიათისაა, რომ არავითარ ბოროტ წინასწარგანზრახვას ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, რომ, როგორც იტყვიან, „ამჯერად გადავრჩით". მაგრამ ყველაზე მძიმე გარემოება, რომლითაც მსჯელობა დავიწყეთ, მაინც ძალაში რჩება. იგი (ეს გარემოება) რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. პირველი. ქათმის გრიპის პანდემიის (ყოვლის მომცველი ეპიდემიის) საშიშროება არსებობს. მეორე. ამ პანდემიის წინააღმდეგ სამედიცინო იარაღი არსებობს. მესამე. ეს იარაღი აქვს ზოგს, მაგრამ არა ყველას. მეოთხე. ამ „ზოგს" აქვს საერთო მახასიათებელი — ისინი ყველაზე განვითარებული, მდიდარი და ძლიერი ნაწილი არიან თანამედროვე კაცობრიობისა. მეხუთე (წინა ოთხიდან გამომდინარე). არის მომაკვდინებელი ახალი ვირუსის გავრცელება-ვერგავრცელების პროცესის მიზანმიმართული რეგულირების საშუალება. ეს საშუალება მდგომარეობს წამლის მიწოდება-არმიწოდებაში საკმარისი რაოდენობით, დაფინანსება-არდაფინანსებაში და დახმარების რეგულირების სხვა ხერხთა გამოყენებაში. ახლა დავსვათ ულმობელი და ამავე დროს სავსებით ლოგიკური კითხვა: როგორ გამოიყურება — და როგორ უნდა გამოიყურებოდეს — ზემოხსენებული გარემოება ჩვენისთანა ქართველი ჟურნალისტების თვალში (მაპატიეთ, ჩემი თავიც ჟურნალისტებს მივათვალე, რადგან წარსულში ასეთი გამოცდილება მაქვს) იმის ფონზე, რაც ჩვენთვის ცნობილია „ოქროს მილიარდის" კონცეფციის შესახებ და ქვეყნის დეპოპულაციის იმ მიზანმიმართული პოლიტიკის შესახებ მსოფლიოს ერთ სახელმწიფოში მაინც — სახელდობრ, საქართველოში? იმას, რასაც ახლა ამ ჩვენს საუბარში გამოვთქვამთ, მეთოდოლოგიური ეჭვი ჰქვია. მისი ქონა შეუვალი მოვალეობაა არა მხოლოდ ფილოსოფიაში, რომელიც მისი მშობლიური სფეროა, არამედ პოლიტიკაშიც, ნებისმიერი სახის თავდაცვაშიც და, საერთოდ, ყველა საქმეში, რომელშიც განგებამ და ბუნებამ ვიღაცას ვიღაცაზე ზრუნვა და ფიქრი დააკისრა.

„საქართველო". თქვენ მიგაჩნიათ, რომ საქართველო ამგვარი შემოტევის პირველი მსხვერპლია?

ნ.ნ. მე არ მინდა ვთქვა „მსხვერპლი". მე ვამბობ „მსხვერპლად მონიშნული ქვეყანა". ამ შემოტევას ჩვენ შეგვიძლია არ დავნებდეთ და არ უნდა დავნებდეთ. პირველია საქართველო თუ არა, არ ვიცი. ამდენად ინფორმირებული მსოფლიოს შესახებ არ ვარ. მოგეხსენებათ, პრესა ამ თემების გაშუქებისათვის მაინცდამაინც დიდად მონდომებული არ არის. მაგრამ საქართველოში რომ ეს შემოტევა უკვე წარმოებს, ამას მეც და თქვენც საკუთარი თვალით ვხედავთ.

„საქართველო". ვიღაა, თქვენის აზრით, ის „ვიღაცა", ვისაც მსხვერპლად ვუნდივართ?

ნ.ნ. ეს ჩვენი თემის ყველაზე რთული ნაწილია. კაცობრიობა დღეს ახალი მეცნიერულ-ტექნიკური, და, შესაბამისად, ეკონომიკური და სოციალური რევოლუციების კარიბჭესთან დგას. ბიოლოგები გვეუბნებიან, რომ სიცოცხლის პროცესების შესწავლა უკვე მიმდგარია მათი სრული ან, ყოველ შემთხვევაში, პრინციპული გაშიფრვის ზღურბლთან, ტექნიკის განვითარება კი გვპირდება, რომ ამ პროცესების საკუთარი ნებისაებრ დუბლირებას შეძლებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების მფლობელს უფრო დიდი უპირატესობა ექნება ძალისა მათ არამფლობელთან შედარებით, ვიდრე თოფის მქონეს მშვილდოსანთან ჰქონდა ან ტანკში მჯდომს კეტოსანთან აქვს. დედამიწის ბატონობისაკენ მოსწრაფე იქნებიან ისინი, ვინც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ამ ახალ ხვეულს თავში მოექცევიან ან, ყოველ შემთხვევაში, მის ათვისებას შეძლებენ. ამიტომაცაა, სხვათა შორის, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების ჩაკვლის ესოდენ მძაფრი და ულმობელი პოლიტიკა ტარდება. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ისეთი მავნე ფიგურა მთავრობაში, როგორც განათლების მინისტრი ლომაიაა, დღეს არავინ არის ქონების განიავების მინისტრის ბენდუქიძის გარდა. დედამიწაზე ბრძოლა ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება, ეს ასე იყო და არის. ადამიანთა შორის განსხვავება იყო ქონებითი. ეს განსხვავება იყო საზოგადოების შიგნითაც და საზოგადოებებს შორისაც. განსხვავება იყო ძალითაც. ახლა მოდის ყოვლის გადამფარავი განსხვავება ცოდნისა და ტექნოლოგიების ფლობით. ამ განსხვავებაზე დამყარებული უთანაბრობა ან, თუ გნებავთ, ასეთი უთანაბრობის ნორმად ქცევის მცდელობა არანაკლებ ულმობელი იქნება, ვიდრე რომელიმე სხვა უთანაბრობა ყოფილა, და ბევრად, შეუდარებლად უფრო მასშტაბური, ვინაიდან დღეს საკითხი უკვე დედამიწაზე დატევა-ვერდატევასაც ეხება და კიდევ ზოგ სხვა რამესაც.

„საქართველო". რაკი არის შემოტევა, ბუნებრივია, უნდა არსებობდეს მისგან თავის დაცვის გეგმაც, თუ გნებავთ, ასეთი დაცვის ზოგადი კონცეფცია მაინც. როგორ ფიქრობთ: რა იქნება — ან უკვე არის — მისი შინაარსი და ძირითადი მიმართულება?

ნ.ნ. რამდენიმე პუნქტს დაგისახელებთ. პირველი. დედამიწა არ ყოფილა და არც იქნება ერთპოლუსიანი. ყველა ზეგანვითარებულის ბრძოლა ყველა ნაკლებგანვითარებულის წინააღმდეგ ან, უბრალოდ, ამგვარი ტოტალური ურთიერთდაპირისპირება მათ შორის მსოფლიო მასშტაბით შეუძლებელია ისევე, როგორც არ მომხდარა დღემდე ყველა მდიდრის დაპირისპირება ყველა ღარიბთან ან ყველა ძლიერისა ერთად ყველა სუსტთან. ბრძოლა (და ომებიც) იქნება მთლიან საზოგადოებებს (ქვეყნებს) შორის და ამ ბრძოლებში უპირატესობის ერთ-ერთი ფაქტორი იქნება სუსტთა და ნაკლებადმცოდნეთა ადამიანურად ღირსეული სტატუსის გამონახვა ამ საზოგადოებების (ქვეყნების) შიგნით. მეორე. ჯერ კიდევ ბერძნებისათვის იყო ცნობილი, რომ სუსტებს და ღარიბებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ თავის დაცვა ძლიერებისა და მდიდრებისაგან, როცა პირველთა ჯამური ძალა და სიმდიდრე აღემატება მეორეებისას. ეს ეხება ადამიანთა ურთიერთობებსაც საზოგადოების (სახელმწიფოს) შიგნით და საზოგადოებათა (სახელმწიფოთა) ურთიერთობებსაც ერთმანეთს შორის. მაგრამ სუსტთა და ღარიბთა ძალა ჯამურად ყოველთვის იქნება ძლიერებისა და მდიდრებისაზე დიდი, რადგან განმსაზღვრელ როლს ითამაშებს ცნობიერებისმიერი ფაქტორი: ვინ მიაკუთვნებს თავისთავს არამდიდრებს და არაძლიერებს და, ამგვარად, ამათ მოპირისპირე „ბანაკში" დადგება. მესამე. არის (როგორც უკვე ვთქვით) და კაცობრიობის განვითარებისდაკვალად ძლიერდება ჰუმანიტარული ფაქტორი. ადამიანი სწავლობს იმის დანახვას, რაშიც ყველანი თანასწორნი ვართ უდიდეს ინდივიდუალურ განსხვავებათა ფონზე და რაც ადამიანის თვით ბუნებას შეადგენს: პიროვნულობისას, მორალისუნარიანობისას, სიკეთე-ბოროტების გარჩევისას და ა.შ. ამიტომ ადამიანი არაა თანახმა, რომ თუნდაც სხვა ცივილიზაციის ადამიანი სრული განადგურებისა და მოსპობისათვის გაიმეტოს. ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ კაცობრიობის მატერიალური და კულტურული პირობები მეტნაკლებად პარალელურად ვითარდებოდეს, და არა საქანელას წესით, როცა ერთი მხარის აწევა მეორის დაწევას ნიშნავს და პირუკუ.

„საქართველო". მაგრამ თქვენ რაც დაასახელეთ, როგორც შესაძლო მომავალი, რომელიც უნდა ავიცილოთ, ხომ უკვე მომხდარია! განა დასავლეთი, როგორც მთლიანი, არ არის კაცობრიობის ის ზეგანვითარებულ ნაწილი, რომელსაც შეუძლია, თუკი მოინდომა, დანარჩენი კაცობრიობა მოკაკვოს, დაიქვემდებაროს, მოსპოს? თუ დღეს არა, განვითარების მომდევნო ეტაპებზე მაინც?

ნ.ნ. თქვენს ნათქვამში რეალობა არის, მაგრამ არც ასე ცალსახად. განვითარებაში მაინც პარალელიზმი არსებობს. ცოდნისა და ტექნოლოგიის სრული იზოლაცია არ არსებობს. დანარჩენი მსოფლიოც წინ მიდის. ჯამურად, დასავლეთის ძალასაც თავისი მიახლოებით საპირწონე მაინც ჰყავს. მესამე ფაქტორს რაც შეეხება წელან დასახელებულთა შორის, ის ხომ ძლიერდება და ძლიერდება! მახსოვს ოცდაათიოდე წლის წინ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალის ყდაზე ფერადი ფოტო: ძვლად და ტყავად ქცეული ინდო ბავშვი, რომელიც ამ დღეში შიმშილმა ჩაგდო. ეს სურათი ვერ ასვენებს და ვერ მისცემს ნაყოფიერი მუშაობის საშუალებას, ვთქვათ, ამერიკელ მეცნიერს, რომელზეც ამერიკული საზოგადოება დგას. ამიტომ ამერიკამ იმ წლებში აუარებელი მილიარდები დახარჯა ინდოეთის შიმშილობასთან საბრძოლველად და მისი სოფლის მეურნეობის სასტიმულირებლად. ადამიანური ფაქტორი საკუთრივ სტრატეგიულ დაპირისპირებაშიც ერევა. ერთია ბრძოლა იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე შეავიწროვო — ვთქვათ, რამდენიმე სტრატეგიული ბაზა ან საბადო წაართვა. მეორეა ბრძოლა იმისათვის, რომ იგი მოსპო ან დაქვემდებარების ადამიანურად მიუღებელი, მეტისმეტად დამამცირებელი პირობები მოახვიო. ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე პოულობს ბრძოლის ახალ „ტექნოლოგიებს" — მაგალითად, კამიკაძეობას ინდივიდუალურ და სახელმწიფოებრივ დონეზე (მაგ. ასე: „დედამიწას უკაცრიელს გავხდი ჩემთვისაც და შენთვისაც"). ამიტომ კონფლიქტი, ასე თუ ისე, რაციონალურ ფარგლებში ჩაეტევა.

„საქართველო". ერთია პროგნოზი მსოფლიოსათვის, მეორეა — საქართველოსათვის. შიმშილით მომაკვდავი დღევანდელი ქართველი ბავშვი ან სასოწარკვეთილი დედის მიერ სანაგვეზე გადაგდებული ბავშვი ჯერ არც ერთი მსოფლიო ჟურნალის ყდაზე არ ყოფილა გამოსახული. გამორიცხავთ, რომ საქართველოს ჩუმად განადგურება მოუნდომონ?

ნ.ნ. რა თქმა უნდა, არ გამორიცხავ. საქართველოს მიზანმიმართული მტერია რუსეთი, რომელსაც, ჯერ ერთი, უნდა საქართველო კვლავ ხელში ჩაიგდოს, რასაც ცოცხალ საქართველოს ვერ მოუხერხებს, მეორეც — მას უნდა საქართველო იყოს გაუვალი რადიაციული, ეპიდემიური, სოციალური უდაბნო, რათა ამერიკელები შუა აზიისკენ ვერ გავიდნენ. გარდა ამისა, მას ამოძრავებს (დღესდღეობით) ფსიქოლოგიური ფაქტორი — ბოღმა. ჩვენ უსასტიკესად გვიტევს (დემოგრაფიულად და სხვაგვარადაც) თურქობა ჩვენი მიწაწყლის ათვისების მიზნით, გვიტევს სომხობა (პირველ ყოვლისა — მისი მსოფლიო დიასპორა) ამავე მიზნით, აგრეთვე შავი ზღვისაკენ „დერეფნის" მიღების მიზნით. გვიტევს (წარმოიდგინეთ) და ძალიან მწვავედ გვიტევს მსოფლიო ებრაული ლობი, ჯერ ერთი, საქართველოს ტერიტორიის ათვისების (აქ მეორე ფაქტობრივად ებრაული ბაზის შექმნის) მიზნით, მეორეც, საქართველოს, როგორც გამართული გეოსტრატეგიული კონკურენტის („დასავლეთის ბაზა და ფორპოსტი აღმოსავლეთში") ფეხზე დადგომის არდაშვების მიზნით. დასასრულ, გვიტევს მსოფლიო, როგორც ასეთი, ჩვენი ძალიან ღირებული ბუნებრივი და, ზოგადად, გეოგრაფიული რესურსების ძალიან ადვილი ხელთგდების მიზნით. ჩვენ დღეს ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი ბრძოლა გვაქვს — უფრო სწორად, უნდა გვქონდეს, მაგრამ ვერ გვაქვს. საქართველოში ორგული (რამდენიმე უცხოური ძალის აგენტი) და უუნარო ხელისუფლების ყოლის შედეგად.

„საქართველო". პერსპექტივა რა არის? უფრო ზუსტად: პერსპექტივა გვაქვს თუ არა გვაქვს?

ნ.ნ. გვაქვს. ობიექტური პირობების მიხედვით ჩვენ ყველა კონკრეტული ბრძოლა მოსაგები გვაქვს. ეს პოზიტიური ამოცანაა და არა ნეგატიური. ანუ: ეს არის არა უვარგისი ხელისუფლების მოცილების ამოცანა (რაც არასაკმარისია), არამედ ვარგისი ხელისუფლების მომზადებისა და შექმნის ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებლია ერის ძირითადი გონებრივი, სულიერი და მორალური პოტენციალის ამოძრავების გარეშე, სახელდობ, მისი ჩაბმის გარეშე პოლიტიკაში, რომელშიც დღეს, დიდწილად, პროფესიონალურ ცოდნას, ნიჭიერებას, ნებისყოფას, მორალს, გამბედაობას, აზროვნებას, და — რაც ყველაზე უარესია, — ერთგულებას მოკლებული ადამიანები მოქმედებენ, უფრო ზუსტად — სტატისტობენ.

ბრმა ოპტიმისტი არ ვარ. არ ვფიქრობ, რომ ყველა ეს ღირსება, რაც ჩამოთვალე, ერთსა და იმავე ადამიანებში არის ან იქნება თავმოყრილი და ეს ადამიანები ჯამში შეადგენენ იმ 30-50 ათას გამართულ კაცსა და ქალს, ვინც საქართველოს გადარჩენას სჭირდება დღეს. მტკიცე გული და შგნება დღეს უფრო იშვიათი თვისებაა, ვიდრე კვალიფიკაცია. ამიტომ დღეს, შესაძლებელია, უფრო საჭიროა, მორალურად პირველხარისხოვანმა ადამიანებმა თავისი მომზადების ამაღლებაზე იზრუნონ, ვიდრე კვალიფიკაციის მქონეებმა — ზნეობრივ დავაჟკაცებაზე. ორივე, რა თქმა უნდა, აუცილებელია — და რაც ჩქარა, მით უკეთესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის ახალი სუპერძალა

1. აღმოსავლეთ-აზიური ფონი

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ერთად აღებულნი, დედამიწის მოსახლეობის 49%-ს მოიცავენ. მათი შედარებით რიგითი ათი სახელმწიფო უკვე ფიგურირებს მსოფლიოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში, როგორც „აღმოსავლეთ აზიური ათეული“, ხოლო მათთან მომავალში გარდუვალი კავშირი სამ „დიდ ვეფხვთან“ – იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ჩინეთთან ერთად – როგორც „10+3“ ანუ როგორც „აზიური ცამეტეული“. მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება ეს პოტენციური ერთობლიობა მაშინ, როცა სამხრეთი და ჩრდილოეთი კორეა ერთი სახელმწიფო იქნებიან (რასაც საზოგადოებრივი აზრი, მაგალითად, ჟურნალ The Economist გაკვრით ახსენებს, როგორც ბუნებრივად მოსალოდნელ ვითარებას). ამ სახელმწიფოებს დღეს ვაჭრობის ნახევარზე მეტი ერთმანეთთან აქვთ. ჩინეთი და ინდოეთი (რომელიც იმ „13“-ში არ შედის) ყველაზე ხალხმრავალნი და მზარდი პოტენციისანი არიან. მათი ურთიერთობა ხასიათდება, როგორც „პოტენციური პარტნერებისა და პოტენციური მეტოქეებისა“. იაპონია დღეს ამ რეგიონში (ჯერჯერობით) ყველაზე „წონიანი“ ეკონომიკაა, მაგრამ უეჭველია, რომ ჩინეთის უაღრესად დინამიური ეკონომიკური ზრდა ამ ვითარებას მალე შეცვლის. ჩინეთისა და იაპონიის დაახლოებას ხელს უშლის როგორც სტრატეგიული შიშები და მათთან დაკავშირებული სტრატეგიული დავები (მაგალითად, იაპონიასა და ჩინეთს შორის მდებარე წყლებში არის წყალქვეშა ფლოტისათვის უაღრესად საჭირო მცირე კლდოვანი კუნძულები, რომლებიც შეიძლება ოდესმე დიდი შეიარაღებული დავის საგანი გახდეს), ისე ისტორია. ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია ამ მეორე ფაქტორის განვითარების პერიპეტიებიც (საფეხურები): ჩინეთი დღეს ნაწყენია, რომ იაპონიის ლიდერი კოიზუმი მისულია თაყვანის საცემად ტაძარში, რომელშიც მეორე მსოფლიო ომში დაცემულ სხვა იაპონელებთან ერთად სამხედრო დამნაშავეებად აღიარებული ის იაპონელი სარდლებიც არიან კულტის საგანი, ვინც ჩინეთის წინააღმდეგ ომში მოიპოვა სახელი. მან იცის ისიც, რომ იაპონია ჩინეთის სამხედრო გაძლიერების წინაშე „შიშით კანკალებს“, რის გამოც კოიზუმიმ ამ ცოტა ხნის წინ ოფიციალური ბოდიშის მოხდის ცერემონია შეასრულა იმ სიტყვიერი ფორმულირებით, რომელსაც მისგან ჩინური მხარე ითხოვდა.

ყოველივე აღნიშნულის გამო ენთუზიასტური საუბარი „ახალ აზიაზე“, როგორც ამომავალ ძალაზე, რა თქმა უნდა, არის. მაგრამ ამ ახალ აზიაში შინაგანი წინააღმდეგობებიც აუარებელია, ასე რომ რაიმე გაფორმებული კავშირების შექმნა აქ უახლოეს დროში მოსალოდნელი არ არის. ჩინეთმა სცადა აზიურ სახელმწიფოთა კლუბის მაგვარის შექმნა, რომელსაც, სხვათა შორის, „სათავდაცვო განზომილებაც“ ექნებოდა, რათა ამერიკელების გავლენას შებრძოლებოდა, მაგრამ ეს განზრახვა მას ჩაუშალეს ამერიკის აზიელმა მეგობრებმა, რასაც, სხვათა შორის, იმითაც მიაღწიეს, რომ ამ კლუბში ინდოეთის მოწვევის ინიციატივა წამოაყენეს (ინდოეთი არანაირად არაა ამერიკელებისადმი დაპირისპირების მომხრე). ჩინეთის მისწრაფებაა რეგიონალური ლიდერის როლის მოპოვება და, რა თქმა უნდა, ამერიკის გავლენის შესუსტება. შანხაის ორგანიზაცია (ჩინეთი, რუსეთი, შუა აზიის 4 ქვეყანა. The Economist-ის აზრით, იგი ჩინეთის ინიციატივას წარმოადგენს და არა რუსეთისას) შეიქმნა ამერიკელების შუა აზიისაკენ მოძრაობის შეფერხების მიზნით. ჩინეთის ინიციატივებმა ამ მიმართულებით გლობალურად წონიანი მასშტაბი ვერ შეიძინა იმის გამო, რომ ინდოეთის აყოლიება ვერ მოხერხდა (და ვერც ოდესმე მოხერხდება) ისეთ ინიციატივებში მონაწილეობისათვის, რომლებიც ამერიკის გავლენის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამ რეგიონის „მძიმე წონები“, რომელთა ზრდასაც სხვანი შეფარული შიშით შესცქერიან, არიან ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია და მომავალი გაერთიანებული კორეა.

2. ჩინურ-ამერიკული ურთიერთობა დღეს

ეს ურთიერთობა ამჟამად, The Economist-ის უკიდურესად თავაზიანი ლექსიკონი რომ ვიხმაროთ, ასე გამოიყურება.

ამერიკის დეფიციტი ჩინეთთან ვაჭრობაში, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ (როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს) უზარმაზარ ციფრს – 30 მილიარდ დოლარს – შეადგენდა, ახლა უკვე 200 მილიარდს აღწევს. დღეს ეს ამერიკელებს უკვე აწუხებთ, ამიტომაც (მაგრამ არა მხოლოდ ამიტომ) ამერიკის პოლიტიკაში (უფრო სწორად – პოლიტიკურ რიტორიკაში) უკვე არის „ჩინეთზე დამრტყმელი“ საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სულისკვეთება. ამ სულისკვეთებას ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ებრძვიან – ანუ ზრდილობიანად თრგუნავენ – პრაქტიკული მოსაზრებების გამო, რამდენადაც ესმით, რომ უმჯობესია ამ ორ ქვეყანას შორის კონკრეტულ წინააღმდეგობებს (ამ შემთხვევაში ლაპარაკია ეკონომიკურ წინააღმდეგობებზე) ჰქონდეს „ორი მეგობრის დისკუსიის“ სახე, ვიდრე რომელიმე სხვა. ამ დარგში, მაგალითად, ფიგურირებს ამერიკელების სურვილი, რომ ჩინეთმა ხელი არ შეუწყოს თავისი ვალუტის – იუანის – გაიაფებას, რაც აძლიერებს მის პოზიციას ამერიკელებთან ვაჭრობაში, და დამყოლი იყოს ინტელექტუალური საკუთრების ქმედითი დაცვის ორგანიზებაში (რაც შეაჩერებს ამერიკიდან ჩინეთში მეცნიერულ-ტექნიკური იდეების უსასყიდლო ან თითქმის უსასყიდლო გადატუმბვის ნაკადს). ვითარება იმდენად მწვავეა ამერიკელებისათვის, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (პირველ ყოვლისა – ამა თუ იმ დარგის მეწარმეთა და მათ პოლიტიკურ ლობისტთა სახით) მოითხოვს ნაბიჯის გადადგმას, რომელიც შეუთავსებელია ამერიკულ ტრადიციასთანაც და მისი დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპთანაც – ვაჭრობის თავისუფლებასთან. საქმე იქამდეა მისული, რომ დარგობრივი ჯგუფები



ჯორჯ ბუში, მაო ძე დუნი, ჰუ ჯინ ტაო

ბის დიდი რაოდენობა ითხოვს ჩინეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაში – არც მეტი, არც ნაკლები – პროტექციონისტული ზომების მიღებას, ანუ ამერიკის შინაგანი ბაზრის დაცვას ამა თუ იმ ჩინური კონკურენციის შემოღწევისაგან. ბუში ამ ტენდენციას ცალსახად და მკაფიოდ ეწინააღმდეგება (რადგან იგი ამერიკის სახელმწიფოსათვის, ჯამში, ბევრად უფრო დიდი ზიანის წყარო იქნება, ვიდრე მოგებისა). მაგრამ ზოგი დღემდე შეუძლებელი რამ ამ მიმართულებით მაინც ხდება. მაგალითად, ჩინელებს გადაუკეტეს გზა სავსებით ლოგიკური და კანონიერი ეკონომიკური ოპერაციის ჩატარებისკენ – საშუალო მასშტაბის ენერგეტიკული (სანავთობე) ფირმის ყიდვისაკენ კალიფორნიის შტატში. (ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ამგვარივე მოთხოვნა პროტექციონისტული პოლიტიკისა ჩინური საქონლის წინააღმდეგ, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაშია, სხვათა შორის, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წესდებასთანაც, დიდი ხანია ისმის საფრანგეთშიც. მას დაუთმეს კიდეც: იქ განხორციელდა მოკლევადიანი შეზღუდვა ჩინურ საქონელზე და გარკვეული არ არის ჯერ, როგორ წავა საქმე ამ მოკლე ვადის ამოწურვის შემდეგ. (ამგვარად, ის საქართველოსთვის ენერგიულად „რეკომენდირებული“ (უფრო ზუსტად კი – ნაიძულევი) პრინციპი, რომ გლობალიზაციის შიში ჩამორჩენილობაა და რომ პროტექციონიზმი მომაკვდინებელი ცოდვაა, თუნდაც უმისობა ქვეყანაში წარმოებას კლავდეს, არც ისეთი წმინდათაწმინდა ყოფილა, როგორც მას ყოველდღე ოპონენტები ხატავენ. რედ.). ცნობილი ჰარისისეული გამოკითხვების თანახმად, ათი გამოკითხული ამერიკელიდან ოთხი ფიქრობს, რომ ჩინეთი ამერიკაზე ძლიერი იქნება (ეკონომიკურად) 10 წელიწადში (სინამდვილეში პროგნოზი, რომელსაც ჩვენი მკითხველი იცნობს, სხვას ამბობს: ჩინეთის ეკონომიკა თავისი მთლიანი მოცულობით, – და არა ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, – 2020 წლისთვის მიაღწევს იმ ნიშნულს, რომელიც ამერიკას 2000 წელს ჰქონდა. რედ.). გამოკითხულთა ნახევარზე მეტი კი ფიქრობს, რომ ამ დროის მონაკვეთში ჩინეთი სამხედრო ძალით გაუსწრებს ამერიკას (რაც კიდევ უფრო შორსაა ჭეშმარიტებისაგან). მოსახლეობის ეს განწყობილება თავის გამოხატულებას პოულობს კაპიტოლიუმის ბორცვზეც (კონგრესში) მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციის პოზიცია „სინოფობობისაგან“ (ჩინეთის მოშიშრობისაგან) მკვეთრად განსხვავებულია. სახელმწიფო დეპარტამენტის თავკაცის მოადგილე რობერტ ცოლიკი, რომელიც ბუშის პოზიციას ახმოვანებს ხოლმე, ერთის მხრივ, აცხადებს, რომ ჩინეთთან ურთიერთობა უნდა მიმდინარეობდეს იმ მიმართულებით, რომ ეს დიდი ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკაში „პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილ აქციონერად“ გავხადოთ. მეორეს მხრივ, იგი აღიარებს, რომ ამერიკაში არსებობს „შეშფოთებათა ქვაბი“, რომელიც ჩინეთის წინაშე სხვადასხვა სახის შიშებს მოიცავს. ამათ რიცხვშია შიშიც ჩინეთის სამხედრო მშენებლობის გამო. შეშფოთებაა იმის გამოც, რომ ჩინეთის სახით ამერიკას საქმე აქვს სახელმწიფოსთან, რომელიც რელიგიას დევნის, და მრავალი სხვა რამის გამოც. ამ სახის შიშები განაპირობებს იმას, რომ საკანონმდებლო ორგანოში აღწევს იდეა გარკვეული შეზღუდვების შემოღებისა ამერიკიდან ჩინეთში „ორმაგი გამოყენების“ (ანუ სამოქალაქო და სამხედრო გამოყენების) მქონე ტექნოლოგიების გადინების წინააღმდეგ. ასე რომ, არსებობს იმის შიში, რომ ამა თუ იმ მიზეზით გაღიზიანებულმა კონგრესმენებმა „სინოფობიური“ კანონების მრავალი მიმართულებით შემოღება მოიწადინონ.

3. ჩინური დიპლომატიის პოზიცია და კონკრეტული წინააღმდეგობები

ჩინური პოლიტიკის პოზიციაა მშვიდობიანობისკენ სწრაფვა და ამავე დროს მსოფლიო პასუხისმგებლობის თავზე აღება, სახელდობრ, მსოფლიო განვითარებაში ამ მშვიდობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობისა. ფაქტობრივად, ეს ნიშნავს განაცხადს მსოფლიოს ლიდერის როლსა და სტატუსზე. ჩინეთის მეთაური ჰუ-ჯინ-ტაო წამდაუწუმ ხმარობს გამოთქმას „ჰარმონიული მსოფლიო“. ეს ფრაზა, ნაწილობრივ, იდეოლოგიური „ბუფერიც“ არის ამერიკული ჰეგემონიის წინააღმდეგ, რომელიც ღია და გაღრმავებული ანალიზის საგანიცაა (სხვათა შორის) თეორიულ შრომებშიც ბეჟინსკისთან და სხვებთან. არც ჰუს ეს მსჯელობა სხვადასხვა იდეოლოგიის ქვეყანათა „დემოკრატიული“ თანამშრომლობის შესახებ, არც მსოფლიოს „მრავალპოლუსიანობას“ აუცილებლობის თემა ახალი არ არის (ეს მოტივი მისდევს და მისდევს ჩინეთის იდეოლოგიას ცივი ომის დამთავრების დროიდან მაინც). მაგრამ ეს მუდმივი თავაზიანი ფონი არ უშლის იმას, რომ ამ ბოლო ხანებში ჩინეთის პოლიტიკას ამერიკის მიმართ გამკვეთრება ეტყობა (ამ გამკვეთრების ელემენტია, მაგალითად, ის, რომ ჩინეთს თავისი სანაპიროდან ტაივანი ჰყავს მიზანში ამოღებული 730 რაკეტით და მრავალი სხვა). მაგრამ, როგორც შენიშნავს The Economist, „ჩინეთი შორსაა იმ აზრისაგან, რომ ამერიკასთან რაიმე პირდაპირი დაპირისპირების პოზიციაში დადგეს“. თუ ამერიკელებს ჩინეთის საპირისპიროდ დიდი სამხედრო ძალა ჰყავთ დაყენებული აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთი, სამაგიეროდ, ეძებს ურთიერთობათა ინტენსიფიკაციას ამ რეგიონის სახელმწიფოებთან. ჩინეთი კი არ უპირისპირდება ამერიკას, არამედ ცდილობს თანდათან ჩაენაცვლოს მას თავისი დიდი ეკონომიკური ზრდის ფონზე, რომელიც საშუალებას აძლევს მას აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებისათვის მომგებიანი ბაზარი იყოს.

გაგრძელება მე-15 გვერდზე

მე-14 გვერდიდან

იგი ამერიკელებს აქ, შეძლებისდაგვარად, თამაშგარეთ ტოვებს. „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“, რომელიც ზემოთ ვახსენეთ (ჩინეთი, რუსეთი, შუა აზიის 4 სახელმწიფო) თავის პირდაპირ მიზნად ისახავს, რომ ამერიკელებს შუა აზიაში დამკვიდრება აღუკვეთოს. ანალოგიურ ვითარებათა არსებობის შედეგად ამერიკის კონგრესის კომისიამ, რომელიც იხილავს ამერიკულ-ჩინურ ეკონომიკურსა და სტრატეგიულ ურთიერთობებს, მაინც დაასკვნა, რომ „ჩინეთის მეთოდური და მზარდი სამხედრო მოდერნიზაცია წარმოადგენს მზარდ საშიშროებას“ ამერიკისთვის წყნარ ოკეანეში, აგრეთვე, რომ „ჩინეთის მხარდაჭერა და ჩართვა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (რაც მოხდა 2001 წელს. რედ.) მეორეხარისხოვანია ჩინეთის მისწრაფებასთან შედარებით, რომ შუა აზიაში ამერიკელების გავლენა შეამციროს. და რომ ჩინური კომპანიები აგრძელებენ მასობრივი განადგურების იარაღებისა და ძირითადი ტექნოლოგიების გადაცემას ჩრდილო კორეისთვის. მიუხედავად თავისი ამ მცდელობისა, ჩინეთი, ციტირებული ჟურნალის აზრით, მაინც მოკლებულია იმის უნარს, რომ შეზღუდოს ამერიკელების ძალა. მას შეუძლია იმის ორგანიზება, რომ ჩინეთი ამა თუ იმ კონფერენციის მიღმა დატოვონ, მაგრამ ამით, ჟურნალის თქმით, თვით ამ კონფერენციას მნიშვნელობა ერთმევა. ჩინეთის დიპლომატიის შეტევითი ხასიათის მაჩვენებელია ისიც, რომ იგი ცდილობს ბზარი შეიტანოს ამრიკელებისა და ევროპელების ურთიერთობაში იმით, რომ ამ უკანასკნელებს სთხოვს გააუქმონ აკრძალვა მისთვის იარაღის მიყიდვაზე (რაც ევროპისთვის უაღრესად სასარგებლო კომერციულ პერსპექტივას ხსნის), თუმცა ამჟამად ევროპა ამ წინადადების მიღების არანაირ იმედს არ იძლევა. ჩინური დიპლომატია გამომწვევად გააქტიურებულია ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობაში, რომლებსაც ამერიკასთან ცუდი ურთიერთობა აქვთ და ამავე დროს ჩინეთისთვის ინტერესს წარმოადგენენ, როგორც მისი მთავარი საგარეოეკონომიკური საჭიროების — ენერგიის წყაროების მოპოვების — დაკმაყოფილების წყაროები (მათ შორის ირანი და ვენესუელა). ჩინეთი არ ერიდება ირანის აქტიურ დაცვას მისი ბირთვული ამბიციების შეზღუდვისაგან გაეროს დონეზე, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ჩინეთი მაინც ერიდება გაეროში იმგვარი წინადადებების ვეტოირებას, რომელთა ინიციატივა ამერიკელებისაგან მოდის. ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციაც, შესაბამისად, ფრთხილია ჩინეთთან და ჩინეთის შესახებ საუბარში. მაგალითად, ზემოხსენებული ცოლიკი ახმოვანებს რიტორიკულ კითხვას, თუ რა ჯობია, — ის, რომ ამერიკამ და ჩინეთმა ითანამშრომლონ კაცობრიობის მძიმე პრობლემათა გადაჭრაში, თუ ის, რომ არ ითანამშრომლონ? — მაგრამ ჩინეთის ეს მზარდი როლი არც ისე დიდია, რომ, ვთქვათ, ბუშმა თავი შეიკავოს დევნილ დალაი-ლამასთან შეხვედრისგან (რომელიც ჩინეთის შინაგანი ასიმილატორული პოლიტიკის ყველაზე ავტორიტეტული მამხილებელია დღეს) ან ღია საუბრისაგან ჩინეთში დემოკრატიის საჭიროებაზე.

4. სამხედრო მხარე

თუმცა ჩინეთი ეკონომიკურად მიმზიდველია აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებისათვის, ეს უკანასკნელნი მაინც შიშით შესცქერიან მის სამხედრო განვითარებას და, The Economist-ის სიტყვით, ამერიკელებში ამ ზრდისადმი დიდად სასურველ საპირწონეს ხედავენ. პენტაგონი ოფიციალურად აცხადებს, რომ ჩინეთის ეს ზრდა სახიფათოა, რადგან მას ძალუძს ჩინეთს ხელთ მისცეს საშუალებები „იმ დიაპაზონის სამხედრო ოპერაციებისათვის, რომლებიც ტაივანზე უფრო შორს მიდის“. მეორე მხრივ, იგივე პენტაგონი ამბობს, დღეს (თუმცა არ ვიცით, რა იქნება ხვალ) ჩინეთის ჩვეულებრივი (არაბირთვული) სამხედრო ძალა თავისი ქმედუნარიანობით არ სცილდება საკუთარი ქვეყნის პერიფერიას და არ არის მზად ტაივანის მიღმა წყლებით დაინტერესებისათვის (ე.ი. წყნარი ოკეანისათვის საბრძოლველად ფლოტის მშენებლობისათვის. რედ.). თუმცა ამერიკელების შეგონებებს სამხედრო მშენებლობის დამუხრუჭების თაობაზე (პირდაპირს თუ არაპირდაპირს) ჩინეთი არანაირ ყურადღებას არ აქცევს (და, მაგალითად, თავის უკვე 730 მოკლერადიუსიან მობილურ სარაკეტო დანადგარს, რომელიც ტაივანისკენ აქვს დამიზნებული, წელიწადში 200-მდე ახალს უმატებს), იგი მაინც, პენტაგონის აზრით, არ აპირებს ტაივანის პრობლემის სამხედრო ძალით გადაჭრას. არც სჭირდება, ვინაიდან არასამხედრო დაახლოებას ამ კუნძულთან მისთვის გარდუვალად მოაქვს სასურველი შედეგი სამომავლოდ, მით უფრო, რომ ტაივანმა, რომელიც ფაქტობრივად უკვე დამოუკიდებელია, ამ ცოტა ხნის წინ დამარცხება აგემა მმართველ პარტიას, რომელიც ტაივანს არ აიგივებს ჩინეთთან, და მკვეთრად გამოხატული პროჩინური პარტიები აირჩია.

100000 კაციანი დემონსტრაცია ჰონგ-კონგში

5. რას ურჩევენ ამერიკას?

მყიფე მშვიდობიანი წონასწორობის მდგომარეობაში, რომელიც ზემოთ ავღწერეთ და რომლის მარადიულობა, რა თქმა უნდა, სერიოზულად არავის სწამს, მსოფლიოს ერთერთი ყველაზე ბრძენი ჟურნალი The Economist-ი (ბრიტანეთი) ამერიკას (და, ზოგადად, დასავლეთს) ურჩევს, თავის ურთიერთობაში ჩინეთთან ორი სრულებით შეუვალი „იმპერატივით“ იხელმძღვანელოს. პირველი. შეძლებისდაგვარად ინტენსიურად ამუშაოს თავისი „კუნთები“, რათა ჩინელები დაიყოლიოს „უკეთ მოეპყრან თავის მეზობლებსაც და თავის მოქალაქეებსაც“. ჩინეთის ლიდერები, ჟურნალის თქმით, ამგვარ შეგონებას ზოჯერ „ისმენენ“ და თავის პოლიტიკაში არც თუ დიდი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი შესწორებები შეაქვთ. მეორე. დასავლეთმა (პირველ ყოვლისა — ამერიკამ) უნდა „ჰარმონიულად იმუშაოს ჩინეთის გვერდიგვერდ, რომელიც ახლაღა იწყებს თავისი გზის ძებნას საკუთარი თავის, როგორც დიდი ძალის, ჩამოყალიბებისაკენ“ ანუ იმის გააზრებისაკენ, თუ როგორი მსოფლიო ძალა უნდა იყოს იგი. ჟურნალი აღნიშნავს, რომ ჩინეთიც, ასე ჩანს, თავისი წამყვანი როლის მოპოვებას აპირებს არა დაპყრობით, არამედ სხვებთან „ვაჭრობითა და კოოპერირებით“, როგორც ეს ამერიკამ გააკეთა ბოლო ათწლეულებში. თუ „მრუმე“ (BLEAK) პროგნოზს მოვახდენთ, უნდა ვთქვათ, რომ აუცილებელია (გარდუვალია) ამერიკისა და ჩინეთის დაჯახება. მაგრამ სრულებითაც არაა აუცილებელი, რომ მრუმე პროგნოზი მოვახდინოთ. პირიქით, კოოპერაციის შესაძლებლობები ფართოა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად რეალური აღმოჩნდება ჩინეთში კომპარტიის მონოპოლიის მოშლისა და დემოკრატიის განვითარების პროცესი (ჩინეთში საყოველთაო არჩევნები უმაღლესი სახელმწიფო ორგანოსი ჯერ კიდევ მომავლის პერსპექტივაა, რომელსაც ხალხს ჰპირდებიან უყოყმანოდ, მაგრამ დროის დაუკონკრეტებლად).

არის თუ არა ბრძენი ჟურნალის მიერ ჩინეთის დემოკრატიზაციის ამოცანის ესოდენ ცალსახა დაკავშირება მისი მრავალგანზომილებიანი სტრატეგიული მომავალი როლის განსაზღვრასთან სავსებით გულწრფელი, არ ვიცით. ამგვარი გულწრფელობა ტოლფასი იქნებოდა იმის თქმისა, რომ დემოკრატიული საზოგადოებები, რაგინდ ვიწროდ ეტეოდნენ ერთსა და იმავე პლანეტაზე, სამხედრო კონფლიქტში ვერ შევლენ. ამიტომ, ალბათ, უფრო ახლოს ვიქნებით ჭეშმარიტებასთან, თუ ჟურნალის ამ პუბლიკაციას უფრო ჩავთვლით იმის დემონსტრაციად, თუ როგორი უნდა იყოს დღეს დასავლეთის იდეოლოგია ჩინეთთან ურთიერთობაში, ვიდრე იმის კონსტატაციად, თუ რა ვითარება არის დღეს და, შესაბამისად, ხვალ და ზეგ რა იქნება.

6. ჩინეთი და ჰონგ-კონგი

ჩინეთის ღია და ფარული პოლიტიკური გეგმების განსაჭვრეტად, უთუოდ, აუცილებელია მისი შინაგანი სტრუქტურის რაგვარობის გათვალისწინება ორ ასპექტში მაინც. პირველია იმის გარკვევა, თუ როგორია (რამდენად სტაბილურია და რამდენად მყარია) 1300 მილიონი ჩინელის თვითიდენტიფიკაცია ერთმანეთთან. ობიექტურად, — თავისი ზომის მიხედვით — ჩინეთი საკმარისად დიდია, რომ მსოფლიოს წინაშე იარსებოს და იფუნქციოს არა ერთი ერის სახით, არამედ რამდენიმე დიდი ერის სახით. რამდენად აქვს ამ თითქმის მილიარდნახევარ სულს გაცნობიერებული თავისი ერთობა ერთმანეთს შორის და თავისი საკუთარი თავის იდენტიფიკაცია სახელმწიფოსთან? (სახელდობრ, აქვთ თუ არა მათ ის ცხოველი განცდა თავისი ორგანული კავშირისა ჩინეთთან, რომელიც მათი როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ქცევის საფუძველს შექმნის ძალიან ახლო მომავალში (და უჩინრად, უეჭველია, ახლაც ქმნის)? ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო საინტერესოა და ინფორმაციულად მნიშვნელოვანია მათი დღევანდელი ცხოვრების ის მომენტები, რომლებშიც ფიგურირებენ მათი ქვეყნის დღეს (ან ახლო წარსულში) განსხვავებული სტატუსის მქონე ტერიტორიები. რადგან ასეთი ტერიტორიების წინაშე განსაკუთრებულად მწვავედ დგას ხოლმე ქვეყნისაგან თავისი ასე თუ ისე გამოჯვნის ცდუნება. ჰონგ-კონგი თავისი შვიდმილიონნახევრიანი მოსახლეობით და მრავალი ათწლეულის მანძილზე საშუალო-ჩინურზე უკეთესი ეკონომიკური და ცივილიზაციური დონით ერთ-ერთი ასეთი ტერიტორიაა.

როცა ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილი განსაკუთრებული სტატუსითაა, მას, ჩვეულებრივ, უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან და მის მოსახლეობასთან უპირატესობის გრძნობა უჩნდება ხოლმე, რაც სრულებითაც არ უწყობს ხელს მის მომავალ გულწრფელ რეინტეგრაციას ქვეყნის შემადგენლობაში. პირწმინდად ჩინურმა ჰონგ-კონგმა (ქალაქმა თავისი უშუალო გარემოითურთ) მთელი ისტორიული ეპოქა გაატარა ჩინეთის გარეთ და სულ რამდენიმე წლის წინ დაბრუნდა მის შემადგენლობაში. ბუნებრივია, რომ ჩინეთის სახელმწიფოსაც, ჰონგ-კონგის ახალ ადმინისტრაციასაც და ჰონგ-კონგის მოსახლეობასაც ამასთან დაკავშირებით პრობლემები ექნებათ.

ბუნებრივია, რომ ადგილობრივებს მეტი დემოკრატია უნდათ, ვიდრე ჩინეთის არც თუ თვალის მომჭრელად დემოკრატიულ სახელმწიფოშია საერთოდ მიღებული. სავსებით დემოკრატიულ არჩევნებს ადგილობრივი მასშტაბით ცენტრი მას ჯერჯერობით მხოლოდ ჰპირდება „მომავალში“, არაოფიციალურად კი ნათქვამია (ხმა გაშვებულია), რომ ეს უნდა მოხდეს 2017 წლისათვის. დღეს სახელისუფლებო ორგანოებში (აღმასრულებელშიც და ადგილობრივ „საკანონმდებლო საბჭოშიც“, რომელიც The Economist-ის დახასიათებით, „ქვაზი-პარლამენტია“— წევრთა ნახევარი არჩევნებით კომპლექტდება, ნახევარი — „ზემოდან“ დანიშვნით. ცოტა ხნის წინ შედგა ასიათასიანი დემონსტრაცია (რიგით მესამე მას აქეთ, რაც ჰონგ-კონგი კვლავ ჩინეთშია), რომელმაც მოითხოვა „დემოკრატიის“ განვითარების ამ და სხვა ეტაპთა თარიღების ოფიციალური გამოცხადება. ეს ჭიდაობა ეხება ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსის, „საკანონმდებლო საბჭოს“ და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანოთა არჩევისა და თანამდებობათა შევსების წესს, მაგრამ არა ჰონგ-კონგის სტატუსთან დაკავშირებულ რაიმე საკითხებს.

უფრო მნიშვნელოვანია ამავე ჟურნალის მიერ გაკვრით ნახსენები ფაქტი, რომ კუნძულ ტაივანზე ჩატარებულ არჩევნებში მძიმე დამარცხება იგემა ბოლო წლების მმართველმა პარტიამ, რომელსაც არც აქაური ძველი მმართველები — ჩინეთისავე ნაციონალისტური პარტიის გომინდანის და მისი დიდი ხნის გარდაცვლილი ლიდერის გენერალისიმუს ჩან-კაი-შის მიმდევრები — უნდოდა, არც კონტინენტური ჩინელები, არამედ თავის იდეოლოგიას „ტაივანურობაზე“ — ტაივანელთა არაჩინურ სპეციფიკაზე — აგებდა (მის შესახებ ჩვენს მკითხველს ვრცელი მასალა მივაწოდეთ ორი ნომრის წინ. რედ.). ამ პარტიის ადგილი აქაურ უმაღლეს ორგანოში კონტინენტური ჩინეთისადმი სიმპათიით განწყობილმა დეპუტატებმა დაიკავეს.

იზრაელი და პალესტინა დღეს

გაზას ზოლიდან შარონმა გამოიყვანა ებრაული ჯარიც და მოსახლეობაც (8000 სული). არაფატი მოკვდა და პალესტინელებს სამშვიდობოდ განწყობილი ახალი ლიდერი ჰყავთ. ყველა თანახმაა, რომ ამერიკული გეგმა „გზათა რუკა“ კარგია, რადგან იგი, ქმნის რა პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაკანონებული საზღვრებით, სტაბილური მშვიდობის პერსპექტივას სახავს. მაგრამ როდიდან? პალესტინელთა ახალი ლიდერი აბასი მონდომებულია, პირდაპირ დაიწყოს კონკრეტული მოლაპარაკება საზღვრების, ლტოლვილებისა და იერუსალიმის გაყოფის შესახებ. შარონი პასუხობს, „ახლა კი არა, მას შემდეგ, რაც ტერორისტთა ჯგუფებს დაშლით (რაც აბასს არ შეუძლია). როცა დაშლით, იერუსალიმი არც მაშინ იქნება გასაყოფი. გარდა ამისა, „გზათა რუკა“ დროებით საზღვრებს გულისხმობს და არა სამუდამოს. აბასი ფიქრობს ჰამაზი იმით დააშოშმინოს, რომ მონაწილეობა მიაღებინოს არჩევნებში, მაგრამ იზრაელი ვერ შეურიგდება ხელისუფლებაში ამ ორგანიზაციის მოსვლას (ან მის მიერ მრავალი ადგილის მიღებას), რომელსაც დროშაზე უწერია იზრაელის, როგორც სახელმწიფოს, მოსპობა. პალესტინელებს ახლა მსოფლიოს თვალში „ტესტი“ უტარდებათ: იქნებიან თუ არა მშვიდობიანად ახლა, როცა გაზის ზოლი მიიღესო. მაგრამ პალესტინელებს ეშინიათ, რომ, თუ ეს მოხდა და ყველაფერი ჩაწყნარდა, მსოფლიო მათ პრობლემას დაივიწყებს. ისინი მოელიან და ითხოვენ ბუშისაგან პირობას, რომ იორდანეს დასავლეთი სანაპიროს დიდი ნაწილიც მათი იქნება და იერუსალიმიც გაიყოფა. შეიტანს თუ არა ძალთა და განწყობილებათა ამ განლაგებაში რაიმე ცვლილებას ის გარემოება, რომ შარონი ფაქტობრივად პოლიტიკიდან განზე გადის, ისევე როგორც არაფატის წასვლამ სცენიდან ხელი შეუწყო დაზავების მცდელობას ამ ცოტა ხნის წინ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

დღეს ჰამაზი უკვე გამარჯვებულია პალესტინის არჩევნებში და უკვე გაცხადებული აქვს, რომ 1967 წლის საზღვრებს ითხოვს. ჰაერში ახალი — და, ალბათ, განსაკუთრებით დაუნდობელი — გარდუვალი ომის სუნი ტრიალებს.

ამერიკელთა ძე შეცდომილი

ამ მეტაფორით აღინიშნება ვინმე აჰმედ ჩელები, ამერიკაში მათემატიკურ განათლებამიღებული ერაყელი, რომლის ცრუ ინფორმაციამ მასობრივი განადგურების იარაღის კვალის ხან აქ, ხან იქ გამოჩენის შესახებ ამერიკელები „შეიტყუა“ ერაყის ომში (რომ ამერიკა იქ შეტყუებულია, ამის წინააღმდეგ კამათს დღეს, როგორც ჩანს, ვერავინ იდებს თავს). თითქმის ორი წლის წინ ამერიკულმა პოლიციამ რეიდი მოახდინა მის სახლზე ბაღდადში, კოლინ პაუელი მას ბრალდებას უყენებდა იმ დეზინფორმაციის გამო, რომელმაც უკვე 2000 ამერიკელი იმსხვერპლა. გასულ შემოდგომაზე ჩელები კვლავ ეწვია აშშ-ს. მოინახულა უმაღლესი თანამდებობის პირები კონდოლეზა რაისის ჩათვლით. მან ილაპარაკა ვიწრო აუდიტორიის წინაშეც და თავი შეადარა... ადენაუერს, რომელიც, მართალია, გაძევებული იყო ინგლისელთა მიერ, მაგრამ შემდეგში გერმანელთა კანცლერი გახდა. თვით ჩელების, მისი რეპუტაციის ჩავარდნა რომ არა, ნეოკონსერვატორები ანუ ბუშის გუნდი ერაყის ლიდერობის საუკეთესო კანდიდატად თვლიდნენ.

როგორც გვეუბნება ჟ. The Economist ამერიკაში ყველა როდია აღტაცებული ამ კოლორიტული ფიგურით. ორი კონგრესმენი მოითხოვს მის დაკითხვას დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს (CIA) მიერ ომისწინა დაზვერვის ჩავარდნათა მიზეზების თაობაზე, გამოძიების ფედერალური ბიურო კი დაინტერესებულია ვერსიით, რომ მისგან გაჟონილია გარკვეული ინფორმაცია ირანში. თვით ჩელები რომ მრავლის მცოდნეა, ამის საბუთია ის, რომ ერაყის ომის წინ, როცა ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ პენტაგონელი ქორები და პრეზიდენტის აპარატი, ერთის მხრივ, და „სი-აი-ეიელები“ (დაზვერვის ცენტრალური სააგენტოელი) სკეპტიკოსები, მეორეს მხრივ, ჩელები ქორების ერთერთი მთავარი ინსტრუმენტი იყო.

რატომ ეფერებიან ამ ესოდენ წინააღმდეგობრივ ფიგურას? მრავალ მიზეზთა შორის ჟურნალი ასახელებს ძირითადს: ჩელების ფართო კავშირი აქვს შიიტურ წრეებთან, რომელთა საშუალებითაც მოხერხდა ამერიკელებისათვის სასურველი შედეგების მიღწევა შარშანდელი იანვრის არჩევნებში და ერაყის კონსტიტუციის შედგენა.

ცენზურა — ინგლისში?

ცნებათა ეს დაუჯერებელი კომბინაცია (სად ინგლისი, თანამედროვე დემოკრატიის სამშობლო, და სად ცენზურა, ეს სოციალიზმის სამარცხვინო გადმონაშთი!) მეტყველებს იმაზე, რომ წინააღმდეგ ზოგ-ზოგი ყვითელნისკარტა „პოლიტიკოსების“ რწმენისა, სხვა ქვეყნებში არსებობს ინტერესები (სახელდობრ — სახელმწიფო ინტერესები), რომელთა გამოც მიღებულია იმის გონივრული რეგულირება, თუ რომელი ინფორმაცია როდის გავიდეს ან არ გავიდეს ღია ბაზარში. ჟ. The Economist მოგვითხრობს ერთი მემუარული ჟანრის წიგნის ამბავს, რომელმაც დროის ერთი მოკლე შონაკვეთის მანძილზე ლამის მთლიანად გადაფარა ბრიტანელთა ინფორმაციული ინტერესის სივრცე. ეს გახლავთ სერ ქრისტოფერ მეიერის, ინგლისის ყოფილი ვაშინგტონელი ელჩის მოგონებები, რომელთა ლაიტმოტივი ისაა, რომ უკეთესი პრემიერ-მინისტრი, როგორიც იყო, მაგალითად, მარგარეტ თეჩერი, უფრო მომგებიანად წაიყვანდა ბრიტანულ პოლიტიკას ერაყის ომთან დაკავშირებით, ვიდრე ბლეირმა წაიყვანა. სახელდობრ, ავტორი ფიქრობს, რომ შეიძლებოდა უფრო ფართო კოალიციის შექმნაც ამ ომის საწარმოებლად და მისი დაახლოებით ექვსი თვით გადაწევაც დროში, რაც ინგლისს ამა და ამ უპირატესობებს მოუტანდა. შეიძლებოდა აგრეთვე ვაშინგტონთან ურთიერთობის სრულყოფა იმით, რომ ამ ურთიერთობის პროცესში მიღწეული ყოფილიყო ინგლისისათვის სასარგებლო ამა და ამ ნაბიჯების გადადგმა, როგორც თანამშრომლობის პირობა. ჟურნალი არ ეთანხმება ამ შეფასებას, როგორც სხვის ომში ბრძნობას და როგორც მცდარ წანამძღვრებზე დამყარებულს, და, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ამ წიგნს სიამოვნებით წაიკითხავენ დაუნინგ-სტრიტზე (ინგლისის მთავრობის რეზიდენციაში), ვინაიდან მასში მოხსნილია კრიტიკოსთა ზოგი ბრალდებები ბლეირის პოლიტიკის მიმართ. მაგალითად, ის ბრალდება, რომ ერაყის ომის საკითხში ბლეირი იქცეოდა როგორც „ბუშის ფინია“ („პუდელი“). მაგრამ ყველაზე საინტერესოა ჟურნალის შემდეგი შენიშვნა: იმ გარემოებასთან ერთად, რომ წიგნს არ ახასიათებს კონფიდენციალურ დეტალთა სიმრავლე, „შესაძლოა ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ მთავრობამ არ. სცადა მისი გამოქვეყნებისთვის ხელის შეშლა“. სხვაგვარად წარიმართა, ჟურნალის სიტყვით, სხვა ახალგადამდგარი დიპლომატის, სერ ჯერემი გრინკოტის წიგნის ბედი, რომელიც იმავე ერაყული ამბების ისტორიის შინაგან მექანიზმებს ეძღვნება. ეს ავტორი, ჟურნალის დახასიათებით, „უფრო მშვიდი და უფრო ფიქრიანი კაცია, ვიდრე მგზნებაზე სერ ქრისტოფერი“ და მან, როგორც ჩანს, უფრო მეტის გამოტანა მოინდომა სააშკარაოზე ჩავლილ პროცესთა დეტალების გამომზეურების სახით, ვიდრე ამ უკანასკნელმა. ამიტომაც ინგლისის საგარეო საქმეთა მდივანმა ჯეკ სტროუმ ამ მემუარს „უსვინდისო“ (unconseionable) უწოდა (ეს სიტყვა „მოუზომავს“, „ზღვარგადასულსაც“ ნიშნავს). ამიტომაც, ჟურნალის სიტყვით, იმის შანსი, რომ ეს „უფრო საინტერესო“ წიგნი გამოქვეყნდება, მცირეა.

პუტინის ეშმაკობა ესმით. ირანისაც, მაგრამ ბოლომდე?

პუტინზე წერისას ჟ. The Economist, ცხადია, დიპლომატიას არ ივიწყებს, მაგრამ მის ნორმებს იცავს იმის დაუფარავად, რომ ეს დიპლომატიაა და არა მხოლოდ შეძლებისდაგვარად სრული ჟურნალისტური ინფორმაცია. დღევანდელ ეტაპზე მისი საბოლოო „რეცეპტი„ პუტინისადმი დასავლეთის ყველაზე უფრო გონივრული მოპყრობისა ასეთია: დროდადრო რბილი საჯარო შეჯორვა (საყვედური), როგორც ამას წინათ გაზის თაობაზე უყო კონდოლეზა რაისმა, დაბალანსებული შემრიგებლური ერთობლივი ფოტოგრაფირებით ყველა ხელსაყრელი შემთხვევის დროს. რუსეთის ლიდერისადმი დიპლომატიურ სირბილეს დღეს ხელს უწყობს და განაპირობებს, სხვა ფაქტორთა შორის, ისიც, რომ ამ წლის დასაწყისიდან იგი „დიდი რვეულის“ („დიდი შვიდეული“, რომელსაც რუსეთი დაემატა) მორიგე თავმჯდომარეა და ა.წ. ივლისში ამ ჯგუფის „სამიტი“ (შეხვედრა უმაღლეს დონეზე) პეტერბურგში იგეგმება. პუტინისადმი პირადი მიდგომის ევოლუცია უარესობისაკენ (რაც ბუნებრივია მისი პრეზიდენტობის ვადის დასასრულის მიახლოებისდაკვალად) დიპლომატიურ ენაზე მოტივირებულია იმით, რომ რუსეთში ბოლო ხანებში იკლო პოლიტიკურმა თავისუფლებამაც და ეკონომიკურმაც („იუკოსის“ და მისი ლიდერის ხოდორკოვსკის საქმე) და ა.შ. შემდეგ სახელდება უფრო წონადი მოტივები, მაგალითად ის, რომ დასავლეთმა დაინახა, რომ, თურმე, პუტინის მიერთება ამერიკელთა ანტიტერორისტულ პოლიტიკასთან 2001 წლის 11 სექტემბერის შემდეგ მისი კურსის სტრატეგიული ცვლილება კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ ტაქტიკური. შემდეგ სახელდება ის, რომ ბოლო წლებში უფრო იჩინა თავი რუსეთის პრეზიდენტის „კა-გე-ბელის ინსტინქტებმ“, რომ იგი იბრძვის პირველ ყოვლისა რუსეთისათვის სუპერძალის სტატუსის მოსაპოვებლად, ენერგეტიკული ექსპორტის ასტრონომიული შემოსავლით გულმიცემული, რომ, მიუხედავად დამარცხებისა უკრაინის არჩევნებზე ზემოქმედებასთან მიმართებაში, იგი თავისას არ იშლის და „დემოკრატიას განიხილავს“ მხოლოდ როგორც მისთვის სასურველი სიტუაციის ლეგიტიმაციის საშუალებას, და არა როგორც თავისთავად მიზანს. მისმა ქცევამ, ჟურნალის სიტყვით, „ილუზიები გაუქარწყლა დასავლეთელებს“, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ შესაძლებელია რევანშისტული საშინაო პოლიტიკა განიხილებოდეს საგარეო პოლიტიკისაგან იზოლაციაში“.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ პუტინთან თანამშომლობა არ შეიძლება? არ ნიშნავს. და ამ უარყოფით პასუხს მოსდევს თემა, რომელიც ამ ეტაპზე ინფორმაციულად მთავარია: ისახება (რა თქმა უნდა, დიდი კითხვის ნიშნით) პუტინთან ირანის ბირთვული განიარაღების საქმეში თანამშრომლობის პერსპექტივა. რომელი ლოგიკით? იმით, რომ რუსეთიც ბირთვული არსენალების ერთერთი მფლობელია და ბირთვისანთა ჯგუფში ახალი ქვეყნის შემოსვლა მასაც უმცირებს ამ უპირატესობას ისევე, როგორც ამერიკას. რუსეთი, ჟურნალის აზრით, „ნაწყენია“ იმით, რომ ირანმა უგულებელყო მისი წინადადება ირანის „მშვიდობიანი“ ბირთვული პროგრამის რუსეთის ტერიტორიაზე გაგრძელების შესახებ (მაგრამ თემას, ეს თანამშრომლობა ხომ არ იძლევა საბაბს, ირანმა პირდაპირ საჩუქრად მიიღოს რუსული ბომბი და იგი თავის ნაწარმად წარმოადგინოს, იგი არ ეხება). რუსეთის პოზიციის ამ ოპტიმისტურ შეფასებას, თითქოს, ეთანდება ის ფაქტები, რომ რუსეთის საგარეო მინისტრი საჯაროდ ემხრობა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკას და პუტინი იმეორებს წინადადებას ურანის გამდიდრების ერთობლივი რუსულ-ირანული პროგრამის ამუშავების შესახებ (რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, შეიძლება ირანისათვის ბომბის თითქმის ან მთლიანად მზა სახით გადაცემის გეგმას ნიღბავდეს. ირანს დღეს მისივე პროგრამით ბომბის ხელში დაჭერამდე კიდევ წლები, ეგებ 10 წელიც კი უკლია).



„ირანის პრეზიდენტი ფიქრობს ბირთვულ გეგმებზე“

ეს ვითარება კვლავ რიტორიკული კითხვისკენ გვიბიძგებს. არის თუ არა ინტერესთა არსებითი სხვაობები რუსეთსა და დასავლეთს შორის? რა თქმა უნდა, არის, თვით ირანთან მიმართებაშიც კი. რუსეთისთვის ირანული კრიზისი არის „ხელსაყრელი შესაძლებლობა“ (OPORTUNITY), მისი პოლიტიკის სტიქია ხომ „კონტროლირებადი დაძაბულობების“ არსებობაა, რომელთა ფონზეც, — მანამდე,სანამ დიპლომატია ძალაშია — რუსეთის წონა, როგორც გაეროში „ვეტოს“ უფლების მქონისა, ამ მართული დაძაბულობის პარალელურად იზრდება. ინტერესთა დაპირისპირების შემდგომი ასპარეზებია (არასრული სიით) მარტის არჩევნები უკრაინაში (სადაც რუსეთს თავისი დამარცხების აღიარება არ უნდა), საპრეზიდენტო არჩევნები ბელარუსში და ზოგი სხვა.

საბოლოოდ საკითხი ებჯინება ყველაზე რეალისტურ თემას: რა შეიძლება მოიმოქმედოს დასავლეთმა,თუ დიპლომატიამ ვერ გაჭრა როგორც რუსეთთან, ისე ირანთან მიმართებით ყველაზე მთავარ საკითხში — ირანის ბირთვული განიარაღების მიღწევაში? ჩამონათვალი ამ სანქციებისა ძალიან ღატაკია (ირანის „ბრალეულ“ პოლიტიკოსთათვის მოგზაურობის შეზღუდვა, სპორტული კონტაქტების შეზღუდვა და ა.შ.). თვით ეკონომიკურ სანქციებზეც კი, ისევე როგორც ყველა სხვა სანქციებზე, რომლებსაც გაერო სჭირდება, ძალიან ძნელია (თუ არ შეუძლებელი) ევროპის სახელმწიფოებისა და იაპონიის დაყოლიება, რომელთაც ირანთან უზარმაზარი სანავთობე კონტრაქტები აქვთ. ამ მხრივ მსოფლიო უფროა დამოკიდებული „თავის ნავთობდოლარებზე შემომჯდარ ირანზე“, ვიდრე ირანი მსოფლიოზე. ამ რეალურად უკანასკნელი (ანუ დღეს ყველა სხვათა საფუძველში მდებარე) თემის მიღმა კიდევ ერთი მეტად სერიოზული თემა დგას. იზრაელს დღეს აქვს სრული მორალური (და ფაქტობრივი) შესაძლებლობა, ჰაერიდან დაარტყას ირანის ბირთვულ ობიექტებს, რადგან ირანის პრეზიდენტმა ღიად განაცხადა მაღალი ტრიბუნიდან, იზრაელის სახელმწიფო დედამიწის პირს უნდა მოვაცილოთო. იზრაელის ყოფილ საჰაერო ძალების სარდალს, ამჟამად გენშტაბის უფროსს ჰალუცს განცხადებული აქვს, ირანის ბირთვული პოლიტიკის მოთოკვის საქმეში „შორს წავალთო“. ჟურნალისტის კითხვას, რამდენად შორს წახვალთო, მან კონკრეტული პასუხი გასცა: „2000 კილომეტრზე“.